

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი**

**მაია ქავთარია**

**ბერძნული და ლათინური პირის მძონე ნახესხები სიტყვების  
ევოლუციის ტენდენციები ინგლისურ ენაში**

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
პროფესორი **თინათინ მარგალიტაძე**



თბილისი

2016

## სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	4
<b>თავი I</b>	
1.1. ისტორიული მიმოხილვა .....	12
1.2. ინგლისური ლექსიკის წყაროები .....	28
1.2.1. კელტური გავლენა .....	30
1.2.2. სკანდინავიური ენების გავლენა .....	33
<b>თავი II</b>	
2. ბერძნული და ლათინური ძირის მქონე სიტყვების ინგლისურ ენაში შემოსვლის პერიოდები და ქრონოლოგია .....	42
2.1. ლათინური ენის გავლენა ძველ ინგლისურზე .....	43
2.1.1. კონტინენტური ნასესხობა .....	49
2.1.2. ლათინური კელტური გადასახლებისას .....	51
2.1.3. ლათინური ენის გავლენის მეორე პერიოდი .....	53
2.1.4. ქრისტიანობის გავლენა ინგლისურ ცივილიზაციაზე .....	54
2.1.5. მშობლიურ სიტყვებზე ახალი მნიშვნელობების მინიჭება .....	56
2.1.6. ლათინური საშუალო ინგლისურში .....	59
2.1.7. გვიანი პერიოდის ლათინური ნასესხები სიტყვები .....	60
2.2. ბერძნული ძირის მქონე სიტყვების ინგლისურ ენაში შემოსვლის პერიოდები და ქრონოლოგია	
2.2.1. ბერძნული სიტყვები ძველ ინგლისურში .....	69
2.2.2. ბერძნული სიტყვები საშუალო ინგლისურში .....	73

### **თავი III**

ბერძნულ-ლათინური ნასესხობების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ინგლისურ ენაში

3.1. სემანტიკური ცვლილებების ტიპები და გამომწვევი მიზეზები .....	77
3.2. უშუალოდ ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები .....	85
3.3. ფრანგულის მეშვეობით ინგლისურ ენაში შემოსული ლათინური ძირის მქონე ნასესხები სიტყვების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები .....	108
3.4. ბერძნული ენიდან ნასესხები სიტყვების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები .....	124
<b>დასკვნა</b> .....	148
<b>დანართები</b> .....	154
<b>ბიბლიოგრაფია</b> .....	169

## შესავალი

**The English Language is the sea which receives  
tributes from every region under the Heaven.**

Ralph Waldo Emerson (1803-1882)

**Borrowings are monuments to human beings'  
physical mobility and mental laziness.**

Anatoly Liberman (1937)

ინგლისურ ენაში მრავალი ბერძნული და ლათინური ძირის მქონე სიტყვაა შესული. ნებისმიერი დისციპლინის ტერმინოლოგიური ლექსიკონი თითქმის მთლიანად ბერძნული და ლათინური წარმომავლობისაა. ბერძნულ-ლათინური ძირის მქონე სიტყვები მკაფიოდ დასტურდება არა მარტო ინგლისურში არამედ ნებისმიერი თანამედროვე ევროპული ენების განმარტებითსა და ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში. აღნიშნული რეალობა კანონზომიერ მოვლენად არის მიჩნეული. ეს ჭეშმარიტება ბუნებრივი განვითარების შედეგია. ისტორიულად ევროპული ცივილიზაცია ბერძნულ-რომაული კულტურის პირდაპირი მემკვიდრეა. საუკუნეთა მანძილზე ევროპული განათლებისა და მეცნიერების ენა ლათინური იყო (როგორც ბერძნული რომაელებისათვის). საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკური ეკლესიის ენას ლათინური

წარმოადგენდა. XVII საუკუნემდე საუნივერსიტეტო განათლება ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ბერძნული ენაც ლათინურის მეშვეობით ვრცელდებოდა სამეცნიერო წრეებში, როგორც კულტურული დონის დამადასტურებელი ფაქტორი. ყოველივე ეს არსებით გავლენას ახდენდა სულიერი კულტურის, უპირველესად ცალკეული ენების სიტყვათა მარაგის გამდიდრება-გაფართოებაზე.

ენაში უცხო სიტყვების არსებობა თავიდანვე შეინიშნებოდა და განათლებული პირებიც ინტერესდებოდნენ მათი ენაში შემოსვლის თარიღითა და აუცილებლობით. მოგვიანებით ლინგვისტებმა უცხო სიტყვებს ნასესხები სიტყვები უწოდეს, რომელთა მშობლიურ ენაში ასიმილაციის ხარისხი მათი გამოყენების სიხშირესა და პოპულარობაზე იყო დამოკიდებული. ნასესხები სიტყვების ჯგუფში გამოიყოფა:

ა. *პოპულარულ სიტყვათა* ჯგუფი, სიტყვები, რომლებიც ყოველდღიური მოხმარების საგნებს აღნიშნავენ და მსესხებულ ენაში ზეპირსიტყვიერების გზით შევიდნენ. ქრონოლოგიურად მათი შესახებ ენათა ურთიერთობის ადრეულ პერიოდებს უკავშირდება;

ბ. *წიგნური სიტყვები*, რომლებიც მსესხებულ ენაში განათლებისა და მეცნიერების ენიდან შევიდა. მათი შესახების თარიღი ძირითადად დამწერლობისა და ბეჭდვის განვითარების შემდგომ პერიოდებს უკავშირდება. ცნებების „პოპულარული“ (popular) და „წიგნური“ (learned) შემოდება გერმანელი ლინგვისტის, ალოის პოგატჩერის (Alois Pogatcher) სახელთანაა დაკავშირებული და ემყარება მიმდებ ენაში ფონოლოგიური ინტეგრაციის ცვალებად ხარისხს. პოპულარული სიტყვების შესახებ დამყარებულია ზეპირ გადაცემებზე ყოველგვარი მეცნიერული მედიატორის გარეშე. ამ ტიპის ყველა სიტყვა უნდა ყოფილიყო მოქმედი, აქტიური დონორ ენაში და უნდა გამოეხატა ამ ენის ლექსიკონში მომხდარი ყველა ბგერათა ცვლილება, სანამ მისი შესახება მოხდებოდა. აუცილებელი იყო ნასესხებ სიტყვას შესახების მომენტიდან განეცადა ის ფონოლოგიური ცვლილებები რაც მიმდინარეობდა მსესხებულ ენაში. ასეთი განსაზღვრება მხოლოდ იმ ნასესხები სიტყვებისათვის იქნებოდა მიზანშეწონილი, რომელიც აღნიშნავდა იმ საგანს

ან ცნებას, რომელიც ნაცნობი იქნებოდა მსესხებელ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების უმრავლესობისათვის. (Pogatscher, 1888:35)

ნასესხები სიტყვების პოგათჩერისეული დაყოფა გარკვეულწილად ემთხვევა კემპბელისეულ „ადრეულ“ და „გვიანდელ“ ნასესხებ სიტყვათა ჯგუფებს. სიტყვათა ამგვარად განაწილება ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასაც ასახავს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ პოგათჩერისეული „პოპულარული“ და „წიგნური“ ნასესხები სიტყვები სოციოლინგვისტურ ფაქტორებსაც გამოყოფს. ასეთი დიქტომია არ ითვალისწინებს ადრეულ ქრისტიანულ პერიოდში ნასესხებ სიტყვებს, რომელთა შესხებაც ნაწილობრივ პრე-ქრისტიანულ პერიოდსა და VII საუკუნეში მოხდა. მისთვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო „პოპულარული“, ხალხური ლათინური გამოთქმაც.

თუკი კემპბელის „ადრეულ“ და „გვიანდელ“ ნასესხებ სიტყვებსა და პოგათჩერისეულ „პოპულარულ“ და „წიგნურ“ ნასესხებ სიტყვებს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ეს ტერმინები ერთსა და იმავე პერიოდს ემთხვევა. თუმცა ამ შემთხვევაში ქრისტიანობა ვერ გახდება ამ ჯგუფებს შორის გამყოფი, რადგანაც ფონოლოგიური განვითარების თვალსაზრისით ადრეულ ქრისტიანულ პერიოდში ნასესხებ სიტყვებსა (რომელთა შესხებაც VI საუკუნის ბოლომდე ხდებოდა) და ადრეულ პრე-ქრისტიანულ სიტყვებს შორის საერთო ბევრია. გარდამავალ პერიოდს მოჰყვა „წიგნური“ სიტყვების შესხება, რომლებიც ინგლისურ ენაში ისევ ხალხური ლათინურისა და ფრანგული ენების გავლით შემოიჭრა. ამ სიტყვების შესხების თარიღი ძირითადად ბენედიქტიანელთა რეფორმის შემდეგ X-XI საუკუნეებს უკავშირდება. პოგათჩერი ტერმინში „წიგნური“ ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს სიტყვების ლიტერატურულ გადასვლას განათლებულ მოსაუბრეთა შორის. ფუნკეს განმარტებით კი არ არის გამორიცხული ხალხური ლათინური (Vulgar Latin) და მაღალი ლათინური (High Latin) ფორმების ერთდროულ თანაარსებობა. სწორედ ამ მოსაზრების საფუძველზე ხსნის იგი ძველ ინგლისურში OE. anpolla-ampulla < L. ampulla, OE. antefn-antipona < L. antiphon, OE. colyandre, coryandre < L. coriandri არსებობას (Funke, 1914:43). ეს კი ნიშნავს, რომ „წიგნური“ არ ნიშნავს „კონსერვატულის“ ცნებას იმ გაგებით, რომ მას უნდა განეხორციელებინა და გაემეორებინა კლასიკური ლათინურის

გამოთქმის სტანდარტები მსესხებელ ენაში. „წიგნური“ სიტყვების სოციოლინგვისტურ კლასიფიკაციასთან მიმართებაში ფუნქცია ორ კრიტერიუმს გვთავაზობს:

- ა. ფონოლოგიური თვალსაზრისით „წიგნური“ ნასესხები სიტყვები არ განიცდიდნენ მსესხებელი ენის ზოგად ბგერათა ცვლილებებს, ხოლო დონორი ენის ბგერათა ცვლილებები შეიძლება გარკვეულწილად ასახულიყო მათში. ჩვენს შემთხვევაში, როგორც ვლინდება ხალხური ლათინურის ან რომანული ბგერათა ცვლილებები, რომლებიც ძველი ინგლისური პერიოდის ნასესხებ სიტყვებში მულავენდება არ ცვლის მათ „წიგნურ“ ხასიათს. ეს აზრი კი ეწინააღმდეგება პოგათჩერისეულ განმარტებას, რომ ნასესხები სიტყვები პოპულარულია თუკი ისინი მსესხებელი ენის ბგერათა ცვლილებებსაც გამოხატავენ. ამ კრიტერიუმის მიხედვით ზოგიერთი ძველი ინგლისური ქრისტიანული სიტყვა, რომლებშიც აშკარაა ძველი ინგლისური ბგერათა ცვლილებები, საერთოდ უნდა გამოვირიცხოთ ნასესხებ სიტყვათა ჯგუფიდან. მაგალითად ძველი ინგლისური *glesan*, *(p)sealm*, *ælmesse*. პოგათჩერი კი თვლის, რომ მსესხებელ ენაში მიმდინარე ფონოლოგიური ცვლილებები არ ცვლის ნასესხები სიტყვის ხასიათს („პოპულარულს“ თუ „წიგნურს“).
- ბ. ნასესხები სიტყვის ლათინური ფორმა, რასაც პოგათჩერი „უცხო სიტყვის ფორმას“ (*Gestalt des fremden Wortkörper*) უწოდებს მსესხებელ ენაში ნაწილობრივ უცვლელი რჩება. ამ კრიტერიუმის დადგენა უფრო რთულია ვიდრე ფონოლოგიურისა. მაგალითად, ძველი ინგლისური *antefn* უთუოდ რომანული გამოთქმის გავლენის ქვეშაა, თუმცა იგი სემანტიკური ფონით მაინც „წიგნური“ ნასესხები სიტყვაა. თუკი შევაჯამებთ პოგათჩერის, ფუნქსა და სივერსის კვლევებს მივიღებთ ნასესხები სიტყვების ორ ჯგუფს, რომელთა სესხებაც VII საუკუნემდე მოხდა: 1. „პოპულარული“ ნასესხები სიტყვები, რომელთა სესხებაც ზეპირსიტყვიერებით მოხდა და 2. „წიგნური“ ნასესხები სიტყვები; ეს უკანასკნელი კი თავისმხრივ ორ ქვეჯგუფად იყოფა: ა. სიტყვათა ნაწილი, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი

ტექსტებიდან იყო ნასესხები, გამოითქმებოდა საეკლესიო ლათინურის სტანდარტების მიხედვით;

ბ. მეორე ქვეჯგუფი, რომელთა სესხებაც შედარებით მოგვიანებით მოხდა და მათი გამოყენება მხოლოდ წერილობით ტექსტებში ხდებოდა (Luick, 1964:§210). განმასხვავებელი ნიშანი საეკლესიო ლათინურსა დასასკოლო ლათინურს, “Schulaussprache des Latein” შორის იყო ღია მარცვლის დაგრძელება ორ ხმოვანს შორის, მაგალითად, L. grādus > grādus, OE grād (grade, rank).

ინგლისური ენის ლექსიკურ ფონდზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ოთხმა ენამ: ბერძნულმა, ლათინურმა, სკანდინავიურმა და ფრანგულმა. ამ ენების გავლენის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ნასესხები ელემენტები თითქმის მთლიანად იკავებენ ინგლისური ენის ლექსიკონს; ხოლო დანარჩენ სიტყვებს უმნიშვნელო ადგილი უკავიათ (Moore, Moore, 1997:IV). საკმაოდ ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც სესხების პირველწყაროს დაძებნა, რადგანაც ბერძნული სიტყვები, ხშირად ლათინიზებული სახით შედიოდა ინგლისურ ენაში, ხოლო ლათინური სიტყვები ხშირად ფრანგული ენის გავლით გადადიოდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე. მაგალითად, **texture**- პირდაპირ ნასესხებია ლათინურიდან, თუმცა ფორმით უფრო ჰგავს ფრანგული **texture**-დან ნასესხებს, ვიდრე ლათინური **textura**-დან. იგივე შეიძლება ითქვას **figure**-ს შესახებაც; სიტყვა ნასესხები უნდა იყოს ლათინური **figure**-დან ვიდრე ფრანგული **figure**-დან, თუმცა ამ სიტყვის პირდაპირი წყარო არ არის დაზუსტებული. ასევე შეიძლება განვიხილოთ **telegraph**–ნასესხები სიტყვა პირდაპირ ბერძნული **tele**(τηλε, შორი) და **grapho** (γραφω, წერა)-დან, რომელიც ფორმით თითქოს ნასესხები უნდა იყოს ფრანგული **telegraphe**-დან, ვიდრე ლათინური **telegraphus**. **Theater** - წმინდა ბერძნული სიტყვაა (Papanis, 1995:10), რომელიც რომაელებმა ისესხეს, ხოლო მათგან ფრანგებმა და ასე ჯაჭვისებური გზით შევიდა ეს სიტყვა ინგლისურ ენაში.

**Gr. theatron** → **L. theatrum** → **OF. t(h) eater** → **theater (θεατρον)** (Greenough, Kittredge :95-96,49-50).

**ნაშრომის მიზანი.** სადისერტაციო ნაშრომის „ბერძნული და ლათინური ძირის მქონე ნასესხები სიტყვების ევოლუციის ტენდენციები ინგლისურ ენაში“



მიზანი იყო შეგვესწავლა ბერძნული და ლათინური ძირის მქონე სიტყვების სესხების პერიოდები, მიზეზები და სესხების აუცილებლობა, ნასესხები სიტყვების სემანტიკური სახეცვლილება წყარო ენიდან ინგლისურ ენაში გადასვლის ეტაპზე, აგრეთვე გამოგვეკვლია მათი ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ინგლისურ ენაში. ნაშრომის მიზანი ასევე იყო ბერძნულ-ლათინური ნასესხობების განხილვა იმ ისტორიული მოვლენების ფონზე, რომლებმაც აშკარა გავლენა მოახდინა ინგლისური ენის ლექსიკის ჩამოყალიბებაზე.

**თემის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე.** სამეცნიერო ლიტერატურაში ბერძნულ-ლათინური ძირის მქონე სიტყვები შესწავლილია მხოლოდ რამდენიმე კუთხით, ესაა სიტყვათა სესხების ქრონოლოგია ინგლისური ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში და მათი ფონოლოგიურ-ორთოგრაფიული ფორმების ჩამოყალიბების გზები. ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე მდგომარეობს სწორედ ბერძნულ-ლათინური ნასესხობების კომპლექსურ შესწავლაში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკური ცვლილებების კუთხით ნასესხები სიტყვების შესწავლა ანალიტიკური ტიპის კვლევებში წარმოდგენილი არ არის.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი და მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნული პრობლემატიკის შემდგომი კვლევისათვის არა მარტო ბერძნულ-ლათინური ძირის მქონე ნასესხებ სიტყვებთან, არამედ ნებისმიერი სხვა ენიდან ნასესხებ სიტყვებთან მიმართებაშიც. ნაშრომში გაშუქებული მონოგრაფიებისა და ჩვენი კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინგლისური ენის ისტორიის თეორიულ კურსში, „ინგლისური ენის ისტორიის“ სახელმძღვანელოს მოსამზადებლად ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის, აგრეთვე სასემინარო მეცადინეობისას.

**ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის** 1. ალოის პოგატჩერის *მოძღვრება ბერძნული, ლათინური და რომანული ნასესხები სიტყვების ფონემათა კვლევა ძველ ინგლისურში* (Alois Pogatscher, Zur Lautlehre der Griechischen, Lateinischen und

Romanischen Lehnworte im Altenglischen, 1888). ნაშრომი წარმოადგენს ინგლისური ლექსიკის პირველ კვლევას ფონოლოგიურ დონეზე. განხილულია ხმოვნების ცვლილება ხალხური და კლასიკური ლათინური და ბერძნული ენებიდან ნასესხებ სიტყვებში. შეიძლება ითქვას, პოგათჩერის ნაშრომი წარმოადგენს პირველ დაკვირვებასა და კვლევას ბერძნულ-ლათინური ძირის მქონე ნასესხებ სიტყვებზე ძველ ინგლისურ ენაში. მონოგრაფია აღწერს ცალკეულ ბერძნულ-ლათინურ ბგერებს და მათ შესატყვის ძველ ინგლისურ ფონეტიკურ ერთეულებს. რა ცვლილებები განიცადეს მათ წყარო ენიდან დონორ ენაში გადმოსვლისას. სწორედ ამ ცვლილებების ანალიზის საფუძველზე გვაძლევს პოგათჩერი სიტყვათა სესხების თავის ვერსიას. იგი ნასესხებ სიტყვებს ჰყოფს: 1. ხმოვანთა დიდ გადაწვეამდე ნასესხებ სიტყვათა ჯგუფად და 2. ხმოვანთა დიდი გადაწვეის შემდეგ პერიოდებში ნასესხებ სიტყვათა ჯგუფად.

1. მერი სერჯინტსონის *უცხო სიტყვების ისტორია ინგლისურში* (Serjeantson M., A History of Foreign Words in English, 1968) წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მისი ნაშრომი წარმოადგენს უცხო სიტყვათა პირველი გამოჩენის აღწერას. უცხო სიტყვები წარმოდგენილია ტექსტებიდან და დადგენილია მათი გამოყენების სიხშირე და თემატურობა. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ლათინური, ფრანგული და სკანდინავიური ენებიდან შემოჭრილ სიტყვებს. ნასესხები სიტყვების ნიმუშები მოცემულია ტექსტების თანხლებით. აქაც ძირითადი აქცენტი ფონოლოგიურ ცვლილებებზეა.

2. ჩარლზ ბარბერის სახელმძღვანელო *ინგლისური ენა. ისტორიული შესავალი* (Barber Ch., The English Language: A Historical Introduction, 1993) დაწვრილებით განიხილავს ინგლისური ენის ისტორიას ინდო-ევროპული საწყისებიდან დღევანდელ დღემდე. განხილულია ინგლისური ენა მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში. სოციოლინგვისტიკისა და ისტორიული ლინგვისტიკის მიღწევების გათვალისწინებით ავტორი გამოყოფს ისტორიული ლინგვისტიკის ძირითად თეორიულ და ტექნიკურ ცნებებს. სახელმძღვანელოში ცალკე

თავია დათმობილი სამეცნიერო ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამდიდრებაზე, რაც ტექნოლოგიურ პროგრესს ახლდა თან.

**კვლევის მეთოდები.** ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან შევარჩიეთ და გავაანალიზეთ 1 000-მდე ნასესხები სიტყვა. სიტყვათა ეტიმოლოგია შერჩევის დროს მოწმდებოდა რამდენიმე ეტიმოლოგიურ წყაროში. თითოეული საკვლევი სიტყვისათვის დეტალურად გავაანალიზეთ მათი მნიშვნელობა წყარო ენაში და მნიშვნელობა ინგლისურ ენაში სესხების მომენტისათვის. ამისათვის ვიყენებდით ლათინური ენისა და ბერძნული ენის ლექსიკონებს და ძველი და საშუალო პერიოდების ინგლისური ენის ლექსიკონებს. საკვლევი სიტყვები დავახარისხეთ იმ სფეროებისა და დარგების მიხედვით, რომელშიც მოხდა მათი სესხება. ნასესხები სიტყვების შემდგომი ევოლუცია შევისწავლეთ მათი პოლისემიური მნიშვნელობების ანალიზის საფუძველზე ინგლისური ენის სხვადასხვა განმარტებით ლექსიკონებში. მაშასადამე, ჩვენი კვლევა ეფუძნებოდა ეტიმოლოგიური, დეფინიციითა ანალიზისა და კონტექსტუალურ მეთოდებს.

**ნაშრომის სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 175 ნაბეჭდ გვერდს. იგი შედგება შესავლის, 3 თავისა და დასკვნისგან. **შესავალში** ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, თემის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიული საფუძვლები და მეთოდები და სხვა. **I თავი - ისტორიული მიმოხილვა** შედგება 4 ქვეთავისგან. **II თავი - ბერძნული და ლათინური ძირის მქონე სიტყვების ინგლისურ ენაში შემოსვლის პერიოდები და ქრონოლოგია** – მოიცავს ორ ქვეთავს: 2.1. ლათინური სიტყვების ინგლისურ ენაში შემოსვლის პერიოდები და ქრონოლოგია და 2.2. ბერძნული სიტყვების ინგლისურ ენაში შემოსვლის პერიოდები და ქრონოლოგია; **III თავი - ბერძნულ-ლათინური ნასესხობების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ინგლისურ ენაში** – მოიცავს შემდეგ ქვეთავებს: 3.1. სემანტიკური ცვლილებების ტიპები და გამომწვევი მიზეზები; 3.2. უშუალოდ ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები; 3.3. ფრანგული ენის მეშვეობით ინგლისურ ენაში შემოსული ლათინური ძირის

მქონე ნასესხები სიტყვების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები; 3.4. ბერძნული ენიდან ნასესხები სიტყვების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები;

**დასკვნაში** მოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები.

ნაშრომს დართული აქვს 5 დანართი და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რომელშიც შესულია 123 ერთეული, მათ შორის სამეცნიერო შრომები, ლექსიკონები და სხვა წყაროები.

## **თავი I**

### **1. 1. ისტორიული მიმოხილვა**

*კვლევები.* ბრიტანეთის კუნძულების ერთ-ერთი პირველი მცხოვრებლები, რომელთა ენის შესახებ მნიშვნელოვანი მასალა არის შემორჩენილი, იყვნენ კელტები. მათი დასახლება კუნძულებზე ბრინჯაოს ხანაში უნდა მომხდარიყო. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ კუნძულებზე ბრინჯაო მანამდე გამოიყენებოდა ვიდრე კელტები დასახლდებოდნენ. ისინი კელტური ენის ორ განშტოებაზე საუბრობდნენ: გალო-ბრეტონულსა და გაელურზე. კელტური პირველი ინდო-ევროპული ენაა, რომელიც ინგლისში გამოიყენებოდა და დღესაც, უელსში, შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს თანამედროვე კელტურ ენებს. მეორე ენა, რომელზეც რამდენიმე საუკუნე საუბრობდა ბრიტანეთის მოსახლეობა, იყო ლათინური, როდესაც ინგლისი გახდა რომის იმპერიის პროვინცია. ეს იყო უდიდესი მოვლენა არა მარტო ინგლისური ენის განვითარების, არამედ თვით ინგლისის ისტორიაშიც.

ბრიტანეთის უძველესი მოსახლეობის შესახებ საინტერესო, თუმცა საკამათო, ცნობები აქვს დაცული ცნობილ რომაელ ისტორიკოსს კორნელიუს ტაციტუსს. თავისი სიმამრის, გერმანიისა და ბრიტანეთის პროკონსულის, იულიუს აგრიკოლას ცხოვრების აღწერაში. აგრიკოლა გერმანია-ბრიტანეთს განაგებდა 77-85 წლებში. ეპოქის დიდი მემკვიდრე ხაზგასმით მიუთითებს

ბრიტანელების განსხვავებულ გარეგნულ იერზე და ცდილობს მათი სათავის მიკვლევას. იგი წერს, „ვინ ცხოვრობდა ბრიტანეთში ძველად, მკვიდრნი არიან ისინი თუ სხვა ქვეყნიდან მოსულნი, როგორც ჩვეულებრივ ხდება ბარბაროსებთან არავინ იცის. ბრიტანელების გარეგნობა სხვადასხვაგვარია და აქედან მოდის ყოველგვარი ვარაუდების სიმრავლე. კალედონიის მცხოვრებთა ქერა თმები და მაღალი ტანი მეტყველებენ მათ გერმანულ წარმომავლობაზე” (Taciti, 1979:11). კორნელიუს ტაციტუსის (55-120 წწ.) გადმოცემით, ბრიტანეთში მრავლად იყვნენ იბერიული და გალური გარეგნობის ხალხი და მიუთითებდა მათი კუნძულებზე მოხვედრის შესაძლო გზებზე (Taciti, 1979:11).

*რომაელები ბრიტანეთში.* ჩვ.წ.ად-მდე 55 წელს იულიუს კეისარმა გალიის დაპყრობის შემდეგ ილაშქრა ინგლისში. ამ გადაწყვეტილების მიზანი სადავოა. გაგრძელებული ვერსიით კეისარს უნდოდა დაესაჯა ინგლისელები იმისათვის, რომ ისინი ეხმარებოდნენ თავიანთ მონათესავე გალებს. თუმცა კოლინგვუდი თვლის, რომ კეისრის ერთადერთი მიზანი იყო მთელი კუნძულის დაპყრობა (Collingwood, 1937:38-39). პირველი ორი ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა. სრუტის გადაცურვის დროს ქარიშხალმა გემების უმრავლესობა დააზიანა, რამაც ჯარის მხარდაჭერა შეამცირა. ამასთანავე ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა მოულოდნელი აღმოჩნდა რომაელთათვის. შედეგი კეისრის ამ ექსპედიციისა იყო ის, რომ რომაულმა არმიამ მოახერხა ბრიტანეთის კუნძულებზე გადასვლა. გარკვეული მომზადების შემდეგ, მომავალი წლის ზაფხულში კეისარმა კვლავ გაილაშქრა ბრიტანეთის კუნძულებზე და გამაგრდა სამხრეთ-აღმოსავლეთით. მოგვიანებით, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეჯახების შემდეგ, რომელიც რომაელებმა ჩაახშეს, კეისარმა მათ დაადო ხარკი (თუმცა იგი ბრიტანეთის მოსახლეობას არასოდეს გადაუხდია) და დაბრუნდა გალიაში. მართალია კეისარმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მისი სახელი კელტებს თავზარს სცემდა. ამის შემდეგ რომის არმიას ბრიტანეთის კუნძულები არ შეუწუხებია დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში. კეისარი დიდი მწერალიც იყო და თავის თხზულებაში “Commentarii de bello Gallico” (Moscow, 1991, vol.1: 58) შესანიშნავად აღწერა ბრიტანელების

პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ფაქტები.

ჩვ.წ.ად.-ით 43 წელს იმპერატორმა კლავდიუსმა კვლავ გადაწყვიტა მთელი კუნძულის დაპყრობა. დაახლოებით 40.000 მეომარი გაიგზავნა ბრიტანეთში. სამი წლის განმავლობაში რომაელებმა დაიპყრეს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომები. შემდგომში ლაშქრობებმა მთელი ინგლისი მოაქცია რომაელთა მმართველობის ქვეშ. რომაელთა კონტროლის წინსვლას თან ახლდა ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებები. აგრიკოლას საომარი მოქმედებების წარმოება უხდებოდა ანტიკური მწერლობისათვის საერთოდ უცნობ ტომებთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კაცებთან ერთად საოცარ სიმამაცეს ავლენდნენ ქალებიც (Taciti, 1979:31). ყველაზე მნიშვნელოვანი აჯანყება მოხდა ახ.წ.ად.-ით 61 წელს, ერთ-ერთი ადგილობრივი ტომის ბელადის ცოლის ბუდიკას მეთაურობით და როგორც მემპტიანე მოგვიტხრობს 70 000 რომელი და რომის პოლიტიკის მომხრე ბრიტანელი გამოასალმეს სიცოცხლეს (Baugh, Cable, 1978: 45). ბრიტანეთის კუნძულების სრული დაპყრობა მოხდა აგრიკოლას დროს, როდესაც ჩრდილოეთის საზღვარი გადაიწია მდინარეების სოლვეისა და თიუნის კალაპოტამდე. რომაელებს არასდროს უცდიათ უელსისა და შოტლანდიის მთიანი რაიონების დაპყრობა. იმპერატორ ადრიანეს დროს (117-138 წწ.) კი აღიმართა ქვის კედელი, როგორც რომის იმპერიის ჩრდილოეთი საზღვარი (Рим: ЭхоИмперскойСлавы, 1997:121-122). ადრიანეს კედლის სიგრძე 117,5 კმ. იყო მშენებლობა დაიწყო 122 წელს და გრძელდებოდა სამი წელი. მუშაობდა სამი ლეგიონი –15 000 კაცი. ჰყავდათ დაქირავებული ადგილობრივი მცხოვრებლებიც. იმპერატორის მიზანი იყო არა მარტო დაეცვა იმპერიის ჩრდილოეთი საზღვარი, არამედ იმპერია გაეხადა სამშობლოდ რომის კულტურას ნაზიარევი ბრიტანელებისთვის (Рим: ЭхоИмперскойСлавы, 1997:128). ამ კედლის სამხრეთით მთელ ტერიტორიაზე რომის მმართველობა ოთხ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. რომაელებმა დააარსეს არა მარტო ლონდონი მდინარე თემზაზე, ბათი თბილ წყლებზე და ა.შ; არამედ ააშენეს უამრავი სამხედრო საფორტიფიკაციო ნაგებობა.

ცხადია, რომ ბრიტანეთის სამხედრო დაპყრობას პროვინციის რომანიზაციაც მოჰყვებოდა. ყველგან, სადაც რომაელები ცხოვრობდნენ და ბატონობდნენ, რომაული წეს-წყობილება ვრცელდებოდა. ლონდონიდან გაიჭრა რამდენიმე გზა რადიალურად ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთით, დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. მოგვიანებით კიდევ ერთი მთავარი გზა გაიჭრა ლონდონიდან სევერნისაკენ მთელი კუნძულის გასწვრივ. დაარსდა უამრავი პატარა ქალაქი და დასახლება რომაული სახლებით, აბანოებით, ტაძრებითა და დროებითი თეატრებით. ეს კი მეტყველებს რომაული ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე. სახლები ადჭურვილი იყო გათბობის სისტემებით, წყლის მარაგის ჭურჭლებით, იატაკი მოზაიკით იყო დაფარული, ხოლო კედლები მოხატული იყო სტუკოს ტექნიკით შესრულებული მხატვრობით. რომაული ტანსაცმელი, ორნამენტები, თიხისა და მინის ჭურჭელი ახალი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ისინი ადვილად ითვისებდნენ მათთვის უცხო საგნებსა და მათ სახელებს. რომაელთა მიერ ბრიტანეთის დაპყრობის შემდეგ მეორე უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ქრისტიანობის გავრცელება მესამე საუკუნეში. ამ წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ ლონდონისა და იორკის ეპისკოპოსები 314 წელს გალიაში ჩატარებულ საეკლესიო შეკრებასაც დაესწრნენ.

ბრიტანეთის კუნძულების რომანიზაცია წარმატებით მიმდინარეობდა და შედარებით მშვიდობიანადაც, გარდა სასახლერო რაიონებისა, სადაც დაუმორჩილებელი ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია დამპყრობთათვის. ბრიტანეთის რომანიზაციის პროცესი შეწყდა მეხუთე საუკუნეში (449), როდესაც ბრიტანეთის კუნძულებზე ახალი დამპყრობლები გერმანიკული ტომები მოვიდნენ.

410 წლამდე რომაელები ბატონობდნენ ბრიტანეთში და მართავდნენ ქვეყანას, მაგრამ თვით იმპერიის პოლიტიკურმა კრიზისმა, შიდა არეულობებმა, მონების ამბოხებებმა, ბარბაროსების შემოსევებმა, გამოიწვიეს ის, რომ რომაელი ლეგიონები უკან გაიწვიეს რომის დასაცავად. მათი გაწვევით ისარგებლეს გერმანიკულმა ტომებმა, რომელთათვისაც ბრიტანეთი საკმაოდ მიმზიდველი იყო.

ბრიტანეთის რომანიზაციაზე საუბრისას განსაკუთრებული ადგილი უნდა დავუთმოთ ლათინურ ენას. ბრიტანეთში ნაპოვნი წარწერების უმრავლესობა

ლათინურ ენაზეა შესრულებული. მათი შინაარსი სამხედრო და ადმინისტრაციული ხასიათისაა, რადგან ოფიციალური ჩანაწერები ლათინურ ენაზე სრულდებოდა. აღნიშნული არ ნიშნავდა იმას, რომ ლათინური ფართოდ იყო გავრცელებული ადგილობრივ მოსახლეობაში და მთლიანად განდევნა კელტური ენა, როგორც ეს მოხდა გალიაში. მართალია ადგილობრივი არიტოკრატია საუბრობდა ლათინურად და არც ხელოსნებისთვის უნდა ყოფილიყო უცხო ახალი ენა, რადგანაც მათ ნაკეთობებზე ლათინური სიტყვები თუ ფრაზებია ამოკაწრული, მაგრამ ლათინურ ენას ბრიტანეთში კელტური ენები არ განუდევნია. რომაული ჯარის ბრიტანეთის კუნძულებიდან განდევნის შემდეგ რომის გავლენა კუნძულებზე ნელ-ნელა სუსტდებოდა.

დაახლოებით ჩვ.წ.აღ.-ით 449 წელს<sup>1</sup> დაიწყო გერმანიკული ტომების შემოსევები ბრიტანეთში. კელტები, ბრიტანეთის კუნძულების ადგილობრივი მცხოვრებნი, რომაულ ტრადიციებსა და ცხოვრების წესს ნაზიარებნი იყვნენ და ანგლო-საქსებთან შედარებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ. ასე რომ, კელტებთან კონტაქტი გრძელდებოდა და ახლდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ანგლო-საქსთა და რომაელთა ურთიერთობები ჯერ კიდევ კონტინენტზე დაიწყო, დიდი ხნით ადრე ვიდრე ისინი კუნძულებზე გადავიდოდნენ. გერმანიკულ ტომებს, რომლებიც გახდნენ ბრიტანეთის მცხოვრებლები, კონტინენტზე შენარჩუნებული ჰქონდათ სახლები და ასევე ინარჩუნებდნენ ურთიერთობას რომაელებთანაც, რის შედეგადაც ითვისებდნენ ახალ ლათინურ სიტყვებს. როდესაც გერმანიკული ტომები ბრიტანეთში მოვიდნენ, მათ დახვდათ ნაშთები რომაელთა ხანგრძლივი ბატონობისა და უამრავი ლათინური სიტყვა შეითვისეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან.

მეექვსე საუკუნეში როდესაც ქრისტიანობა ხელახლა იქნა გავრცელებული ბრიტანეთში (597 წ.) რომაელი მისიონერების მიერ, ახალი კულტურული გავლენის წყალობით ახალი სიტყვები თავისთავად შეითვისა ინგლისურმა ენამ. ეს მოხდა, როცა კენტის საქსონი მეფე, ეთელბერტი, მონათლა წმ. ავგუსტინემ, მისიონერმა, რომელიც სპეციალურად იყო წარგზავნილი რომიდან ანგლო-საქსთა მოსაქცევად. რომაული კათოლიკური ეკლესიის

---

<sup>1</sup>ჩვ.წ.აღ.-ით 449 წელს მიიჩნევა ბედა პატივდებული გერმანელი ტომების გადმოსვლის თარიღად ბრიტანეთის კუნძულებზე.



დაარსებამ კენტერბერიში შემოიტანა მრავალი ახალი ლათინური სიტყვა, არა მარტო საეკლესიო შინაარსისა (altar, angel, apostle, bishop, church, deacon, devil, hymn, mass, minister, monk, priest, temple, wine etc.), არამედ ყოველდღიური მოხმარების საგნების სახელებიც (cook, kitchen, pepper, sock, cup, pound, pillow, noon, pear etc).

*სკანდინავიელთა შემოსევები.* ძველი ინგლისური ენა ადრეული შუა საუკუნეების დასასრულისათვის მესამე უცხო ენის გავლენის ქვეშ მოექცა. სკანდინავიელები VIII საუკუნემდე კმაყოფილდებოდნენ ნახევარკუნძულის მწირი მონაცემებით, მაგრამ VIII საუკუნეში ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა ცვლილებებმა განაპირობეს საარსებო საშუალებათა ახალი გზების ძიება, დაიწყო ახლომდებარე ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების სანაპიროებზე მმარცველური ლაშქრობები რაც მთავრდებოდა ახალი მიწების დაპყრობებით. როგორც მიუთითებენ შედეგებმა სამეფოც კი დაარსეს რუსეთის ტერიტორიაზე, ხოლო ნორვეგიელებმა მოახდინეს ბრიტანეთისა და ფარერის კუნძულების, ისლანდიის კოლონიზაცია. აქედან კი გრენლანდიისა და ლაბრადორის სანაპიროზეც გადავიდნენ. დანიელებმა დააარსეს ნორმანდიის საჰერცოგო და საბოლოოდ დაიპყრეს ინგლისი. სკანდინავიელთა წარმატებული საომარი მოქმედებები დასრულდა იმით, რომ XI საუკუნის დასაწყისში დანიის მეფე კნუტი დაეუფლა ინგლისის ტახტს, ამავე დროს დაიპყრო ნორვეგია და ინგლისის დედაქალაქიდან მართავდა სკანდინავიის უდიდეს ნაწილს. სკანდინავიიდან დაძრულ დამპყრობლებს კონტინენტური ევროპის მცხოვრებლები ვიკინგებს ეძახდნენ. მათი ლაშქრობებისა და მმართველობის პერიოდს ვიკინგების ხანას უწოდებდნენ. მმარცველურ ლაშქრობებს სკანდინავიელთა დიდი რაოდენობით გადმოსვლა მოჰყვა კუნძულებზე, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ძველ ინგლისურ ენაზე სკანდინავიელები დახელოვნებული ზღვაოსნები იყვნენ. ნადავლის მოპოვების მიზნით ლაშქრობდნენ შორეულ ქვეყნებში (ვარაუდობენ, რომ ისინი ამერიკასაც კი იცნობდნენ). მათთვის კარგად იყო ცნობილი დასავლეთ ევროპის სანაპიროები და ხმელთაშუა ზღვის აუზი. ძველი რუსული მატეანე “ПовестьВременныхЛет” (Минск, 2008) სკანდინავიელებს „ვარიანგების“ სახელწოდებით იცნობს და მათ

რუსული სახელმწიფოს შექმნის სათავეებთან ასახელებს. ვარიანტები, როგორც მოქირავენე მოლაშქრეები, ბიზანტიის იმპერატორის სამსახურშიც აქტიურად ერთვებოდნენ. ბერძნული სახელწოდებით *Βαρανγιοι* იცნობდნენ მათ არაბები (ვარანგი), სომხები (ვრანგი). „ქართლის ცხოვრებაში“ დაფიქსირებულია „ვარანგნი“, სამი ათასი მოქირავენე მეომარი. შუა საუკუნეებში ბალტიის ზღვას ვარიანგების ზღვას უწოდებენ.

ანგლო-საქსური ქრონიკების მიხედვით, 787-850 წლებში სკანდინავიელთა სამი გამორჩეული შეტევა განხორციელდა ინგლისზე. თავიდან თავდასხმა ხდებოდა სანაპირო ქალაქებსა და მონასტრებზე, ვიკინგებს გაჰქონდათ ოქრო, ვერცხლი, ძვირფასეულობა და გაჰყავდათ ტყვეებიც. 793-794 წლებში, ჯეროუსა და ლინდისფარნის მონასტრების განადგურების შემდეგ ვიკინგთა თავდასხმები შემდგომი 40 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

სკანდინავიელთა შემოტევის მეორე ტალღას მოჰყვა ინგლისის თითქმის ყველა რეგიონის დარბევა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მას მოჰყვა სკანდინავიელთა ფართომასშტაბური გადმოსახლებები. 850 წელს კუნძულებს მოადგა დანიური ფლოტი 350 გემის შემადგენლობით. მათ გამოიზამთრეს კუნძულ თანეტზე, გაზაფხულზე დაიპყრეს კენტერბერი და ლონდონი და მიწასთან მოასწორეს მიმდებარე რაიონები. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქსონურმა არმიამ მომხდურები დაამარცხა, სკანდინავიელებმა მალევე განაახლეს შეტევები და 866 წელს დანიელთა დიდმა არმიამ დაარბია აღმოსავლეთ ანგლია და 867 წელს დაიპყრო იორკიც. 869 წელს აღმოსავლეთ ანგლიის უკანასკნელი მეფე ედმუნდი (Edmund the Martyr) დაიღუპა დამპყობლებთან ბრძოლაში და ინგლისის აღმოსავლეთ ნაწილი მთლიანად დანიელთა გავლენის ქვეშ მოექცა. მათ ყურადღებას ახლა უესექსი იქცევდა. უესექსი და მეფე ალფრედი (Alfred the Great) დიდ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობთ, მაგრამ შვიდწლიანი წინააღმდეგობის შემდეგ მეფე იძულებული გახდა თავი შეეფარებინა სომერსეტის ჭაობიანი ადგილებისათვის. 878 წელს ალფრედმა შეკრიბა ახალი ლაშქარი და მოულოდნელად დაესხა თავს დანიელებს, რასაც შედეგად ინგლისელთა ერთპიროვნული გამარჯვება მოჰყვა.

ვედმორის ზავით (The Treaty of Wedmore, 878), რომელსაც ხელი აღფრედმა და გუთრუმმა (Guthrum<sup>2</sup>) მოაწერეს, დასრულდა დანიელთა მეორე შემოტევა. მიუხედავად იმისა, რომ ჯარები გაიწვიეს უესექსიდან დანიელები ვერ აიძულეს დაეტოვებინათ ინგლისი. ზავით საზღვარი გადიოდა ჩესტერიდან აღმოსავლეთისაკენ ლონდონამდე, სადაც მომხდურები ჯერ კიდევ რჩებოდნენ. მათ მიერ დასახლებულ ტერიტორიებზე მოქმედებდა დანიური კანონი (Danish Law=Danelaw<sup>3</sup>), ამასთანავე დანიელებმა მიიღეს ქრისტიანობა და თვით გუთრუმიც მოინათლა. დანიელთა გაქრისტიანებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი ხალხის ნაკლებად წინააღმდეგობრივი აღრევისათვის (Knowles.1997:37).

სკანდინავიელთა მესამე ტალღა ბრიტანეთის კუნძულებს თავს დაატყდა 878-1042 წლებში. ვედმორის ზავს არ დაუსრულებია ჩრდილოური შემოსევები. გუთრუმმაც მალევე უღალატა რწმენას და დაიწყო ახალი დარბევები. აღფრედის შვილი ედუარდ უფროსი (Edward the Elder, King of Wessex) და შვილიშვილი ეთელსტანი (Æthelstan/Ælfweard) აქტიურ კონტრშეტევებს ახორციელებდნენ, რის გამოც დანიელები თავდაცვით ტაქტიკას უფრო მეტად იყენებდნენ ვიდრე თავდასხმითს. 937 წელს ეთელსტანმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვა დანიელთა გაერთიანებული ჯარების წინააღმდეგ. თუმცა დანიელთა მარცხი დანებებით არ დამთავრებულა. სვენმა (Sweyn) თავისი შვილის კნუტის (Cnut) დახმარებით 1044 წელს თავი ინგლისის მეფედ გამოაცხადა. მან განახორციელა წარმატებული ბრძოლები, ინგლისის მეფე ეთელრედი (Æthelred the Unready) ჩამოაგდო ტახტიდან და განდევნა იგი ქვეყნიდან. სვენის უეცარი სიკვდილის შემდეგ კნუტს სამი წელი დასჭირდა თავის დამკვიდრებისათვის ინგლისის ტახტზე, რასაც დანიელთა 25 წლიანი მმართველობა მოჰყვა ინგლისში.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სათავეში დანიელები მოექცნენ და გაჩნდა დანიური დასახლებები, იყო ნორვეგიული და სხვა სკანდინავიური დასახლებებიც. ასეთ დასახლებებში ბუნებრივია რომ სოციალური ურთიერთობების ფონზე, ორი ენა აქტიურად ურთიერთთანამშრომლობდა. ქრისტიანობის

---

<sup>2</sup>Guthrum, Godrum, ან Guthorm, ასევე Aethelstan, Athelstan, ან Ethelstan (გარდაიცვალა 890), დანიელთა მეოთხედი ანგლო-საქსებთან ბრძოლებში.

<sup>3</sup>Danelaw, ასევე Danelagh ან Danelaga

გავრცელება უფრო მჭიდრო კავშირს აყალიბებდა ადგილობრივ მოსახლეობასა და ახალმოსახლეთა შორის, რომლებიც უკვე აქტიურად ერთვებოდნენ ინგლისის ყოველდღიურობაში. ხუთი უძლიერესი ცენტრი ლინკოლნი, დერბი, ლისესტერი, სტემფორდი და ნოტინჰემი რჩებოდა სკანდინავიური გავლენის კერად. დრო სჭირდებოდა ჩრდილოელ მომხდურთა ამ უდიდესი ცენტრებისა და ქვეყანაში გაფანტული მცირე დასახლებების ასიმილაციას ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ამ ურთიერთგავლენის პერიოდში წარმოუდგენელია ის, რომ ერთიდაიმავე ტერიტორიაზე იარსებებდა სხვადასხვა ენები. სკანდინავიური ზოგან მალევე დაივიწყეს, თუმცა მისი განახლება ვაჭრობითა და ნორმანთა დაპყრობამდე მუდმივი თავდასხმებით მაინც ხდებოდა, ზოგან კი XVII საუკუნემდე შემორჩა (ძირითადად შოტლანდიაში). სავარაუდოა, რომ არსებობდნენ ორივე ენაზე მოსაუბრენიც. ამ ურთიერთგავლენას კი ამტკიცებს ის სკანდინავიური ელემენტები, რომლებიც ინგლისურ ენაში მრავლად გვხვდება.

*ნორმანთა შემოსევები.* კიდევ ერთმა ისტორიულმა ფაქტმა მოახდინა ინგლისური ენის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა. ეს მოხდა 1066 წელს, როდესაც უილიამ დამპყრობელის (William the Conqueror) მეთაურობით ნორმანებმა დაიპყრეს ბრიტანეთის კუნძულები. მათ დაამარცხეს ადგილობრივი ხელისუფლების ძალები და აიღეს ლონდონი. უილიამმა, შობის დღეს თავი გამოაცხადა და ეკურთხა ინგლისის მეფედ. იგი და მისი შთამომავლები ლაპარაკობდნენ ფრანგულად, ენაზე რომელიც ლათინური ენის საფუძველზე განვითარდა.

ახალმომხდურები ცივილიზებული ხალხი იყვნენ; მათ მოიტანეს არქიტექტურის, მმართველობის, კანონისა და სამხედრო საქმის ცოდნა; და ასევე ცხოვრების ახალი წესი, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა ადგილობრივი მცხოვრებლების წეს-ჩვეულებისაგან. ასე გახდა ანგლო-საქსური pig → pork; calf → veal; deer → venison; ox → beef; sheep → mutton. კუნძულის მცხოვრებლებმაც მალევე შეითვისეს ახალი სიტყვები: army, captain, castle, court, dinner, feast, govern, honour, judge, jury, justice, mayor, navy, officer, peace, people, state, supper, tower და სხვა. ამ სიტყვების წარმომავლობას თუ დავაკვირდებით ძირით ისევ

ლათინურ ენას უკავშირდებიან. ენაზე გავლენა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში დიდი იყო. ფრანგები მართავდნენ ინგლისს და ამ პერიოდიდან თითქმის შეწყდა წერილობითი ტრადიცია ინგლისურ ენაზე და ენაც იმდენად შეიცვალა, რომ მისი განვითარების მომდევნო ეტაპი საშუალო ინგლისურად ითვლება. საშუალო ინგლისური კი იყო პერიოდი მკვეთრი ცვლილებებისა და პერიოდის მეორე ნახევარში ინგლისური ენის ოფიციალურ სახელმწიფო ენად აღიარებისა.

ნორმანთა დაპყრობის შემდეგ ფრანგები თვლიდნენ, რომ ფრანგული გახდებოდა საყოველთაო ენა ბრიტანეთში, მაგრამ ასეთი რამ ვერ მოხდებოდა, რადგანაც ფრანგულს არასდროს შეუღწევია უბრალო ხალხისა და ხელოსანთა ფენაში. ის გავლენა, რაც ამ პერიოდში ფრანგულმა მოახდინა ინგლისური ენის ლექსიკაზე, აბსოლუტურად ბუნებრივი მოვლენა იყო.

XIII საუკუნე უნდა განვიხილოთ ორი ენის ბრძოლის პერიოდად. მაღალი საზოგადოება აგრძელებდა ფრანგულად საუბარს, ისევე როგორც წინა საუკუნეში, მაგრამ XIII საუკუნეში ფრანგულად მეტყველების პირობები მკვეთრად განსხვავდებოდა XII საუკუნისაგან. ფრანგულ ნიადაგს მოწყვეტილი ფრანგული ენა ინგლისში თავისებური გზით განვითარდა, საკმაოდ დაშორდა ფრანგული ენის პარიზულ დიალექტს და ხელოვნურ ენად იქცა. ამ დროს ინგლისური ენაც დამოუკიდებლად ვითარდებოდა. XIII საუკუნის შუა ხანებში ინგლისელი არისტოკრატია გაემიჯნა საფრანგეთის ინტერესებს და ინგლისური ენა თვით მათთვისაც ფრიად მისაღები გახდა. ამ დროს უამრავი ფრანგული სიტყვა (ლათინური ძირის მქონე თუ არამქონე) გადავიდა ინგლისურ ენაში. გადასვლის პროცესი მექანიკურად ხდებოდა, როდესაც ინგლისელები, ვინც ადრე ფრანგულად მეტყველებდა, ახლა ცდილობდნენ ინგლისურად გამოეხატათ თავიანთი აზრები. ლიტერატურული ნაწარმოებებიც, მანამდე განკუთვნილი კულტურული საზოგადოებისათვის, ითარგმნებოდა ფრანგულიდან ინგლისურად. არისტოკრატული ოჯახის შვილები უკვე ინგლისურად იწყებდნენ ლაპარაკს, ხოლო ფრანგულს, როგორც უცხო ენას, ინგლისურენოვანი კომენტარებიანი სახელმძღვანელოებიდან სწავლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა თანდათანობით მოიპოვებდა უპირატესობას და საოცარი პროგრესით ვრცელდებოდა მოსახლეობაში, ფრანგული ენა მაინც გამოიყენებოდა პარლამენტისა და სასამართლოს

სხდომების მსვლელობისას. ფრანგული გასაგები იყო განათლებული ადამიანისთვის, მათთვისაც ვინც შეიძლება არც იცოდა ლათინური. იმაზე, რომ ფრანგული ენა განიცდიდა განდევნას, მეტყველებს ნაწყვეტი საუკუნის დასასრულის ერთი ჩანაწერიდან. პარლამენტში წარდგენილი პეტიცია ჩვეულებრივი წესით ფრანგულად უნდა ყოფილიყო შედგენილი და თარგმნილი ლათინურად, რათა ადვილი გასაგები ყოფილიყო მათთვის, ვინც შეიძლება არ იყო კარგად გააწაფული ენებში (Baugh, Cable, 1978:139) ლათინური იმ დროისათვის კვლავ რჩებოდა ოფიციალური დოკუმენტაციის ენად.

XIII საუკუნის ბოლოს ფრანგულმა ენამ დაკარგა გაბატონებული მდგომარეობა ინგლისში. ინგლისურად საუბრის ტენდენცია უკვე ხშირი გახდა ისეთ ინსტიტუტებშიც, როგორც იყო ეკლესია და უნივერსიტეტი. XIV საუკუნის ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი უწყება მოითხოვს სტუდენტებისგან თხზულება დაწერონ და თარგმნონ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რადგანაც ფრანგული ენა უკვე მთლიანად უგულვებლყოფილი იყო. სტუდენტებისაგან მოელოდნენ რომ ისინი ისაუბრებდნენ ლათინურად იმ იმედით, რომ გამოიყენებდნენ ფრანგულს და იშვიათად ინგლისურს. ასეთი მოთხოვნის მიზანს კი წარმოადგენდა ის, რომ ლათინური ადვილი სასაუბრო იყო, მაგრამ ასეთი შეზღუდვის გარეშე ენა რომელზეც სტუდენტი ისაუბრებდა თუკი არ იქნებოდა ლათინური, აუცილებლად იქნებოდა ინგლისური. ფროისარის მიხედვით ფრანგული ენის შენარჩუნების შემდგომი მცდელობა პარლამენტს ჰქონდა 1332 წელს, როდესაც გამოსცა კანონი რომლის თანახმადაც „ყველა ლორდმა, ბარონმა, რაინდმა თუ კეთილშობილმა უნდა ეცადოს რომ ასწავლოს თავის შვილს ფრანგული ენა, რათა ისინი უფრო ეცდებიან და გამოხატავენ თავიანთ მზრუნველობას მათ მიმართ“ (Baugh, Cable, 1978:149). მთავრობის მიერ ასეთი მცდელობები აშკარად მიუთითებს, თუ რაოდენ ხელოვნური იყო ფრანგული ენის გამოყენება ინგლისში XIV საუკუნეში. მაგრამ 1363 წელს ისევ პარლამენტი გამოსცემს კანონს იმის თაობაზე, რომ მომავალში ყველა კანონი უნდა დაიწეროს ინგლისურ ენაზე. ასეთი კანონის მიღება იმან განაპირობა, რომ „ფრანგული ენა უცნობი იყო ამ სფეროში მომუშავეთათვის“ (Baugh, Cable, 1978:158).

XV საუკუნეში ინგლისური ენის თანდათანობითი აღმასვლის პროცესი დასრულდა. ამ პერიოდში იგი შეეჯახა ლათინურის, ისევე როგორც ფრანგულის უპირატესობას დამწერლობაში. ფრანგულის იგნორირება ადვილად მოხდა, ლათინური კი უფრო მყარი, მდგრადი აღმოჩნდა ახალი, არარეგულარული, ვარირებადი და ადვილად ცვალებადი თანამედროვე ენების ფონზე. ლათინური ენა კი იმდროინდელ ევროპაში გამოიყენებოდა როგორც ინტერნაციონალური ენა. მაგრამ მხოლოდ XV საუკუნეში შექმნილი ინგლისურმა უკუგდო ორივე ენის უპირატესობა მთლიანად.

აქვე მინდა აღვნიშნო ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის ის სამი შტო, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ ინგლისურ ენაზე: **ბერძნული, იტალიური**, კერძოდ კი ლათინური და მისგან განვითარებული რომანული ენები განსაკუთრებით ფრანგული, და **გერმანიკული** ენათა ოჯახი. პირველი ორი შტოდან განვითარდა ინგლისური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის თითქმის ნახევარი, ხოლო მესამედან ყოველდღიური მოხმარების სიტყვები და სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციები. ასევე ნორმანთა დაპყრობას იმიტომ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ ფრანგული ენა თავისთავად, ლათინურიდანაა ნაწარმოები და უმრავლესობა იმ პერიოდში ნახესხები სიტყვებისა არის ისევე ლათინური ან სხვა ძირის მქონე (ბერძნული, სპარსული, არაბული).

საშუალო ინგლისური პერიოდი აღინიშნება მრავალი ცვლილებებით, რომლებიც უფრო ფუნდამენტური იყო ვიდრე სხვა რომელიმე ცვლილება ნებისმიერ პერიოდში. ზოგიერთი ცვლილება შედეგი იყო ნორმანთა დაპყრობისა, ხოლო ზოგიერთი მათგანი შეიძლება თავისთავადაც მოხდა, ყოველგვარი გავლენის გარეშე, მაგრამ ნორმანთა დაპყრობამ ინგლისურიდან განდევნა ის კონსერვატიული გავლენა, რაც ყოველთვის იგრძნობა ენაში, რომელიც წიგნებში და მხოლოდ განათლებული კლასის მიერ გამოიყენებოდა. ამ პერიოდში მომხდარმა ცვლილებებმა გავლენა იქონია არამარტო გრამატიკაზე, არამედ ლექსიკაზეც. ლექსიკიდან დაიკარგა ძველი ინგლისური ენის სიტყვათა მრავლის ნაწილი. მის სანაცვლოდ ათასობით სიტყვის შესახება მოხდა ბერძნულიდან, ლათინურიდან და ფრანგულიდან. „პერიოდის

დასაწყისში ინგლისური ისწავლებოდა როგორც უცხო ენა, ხოლო პერიოდის დასასრულს – როგორც თანამედროვე ინგლისური” (Glanville, 1984:154).

ნებისმიერი ენის განვითარებაში გარკვეულ ისტორიულ მოვლენებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ნორმანთა დაპყრობას (1066) და შავი ჭირის ეპიდემიას (1348), ჩვენს შემთხვევაში, სწორედ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდათ. თუმცა სხვა მოვლენებსაც არანაკლები გავლენა შეეძლოთ მოეხდინათ. ქოლერის ეპიდემიამ, როდესაც მოსახლეობის თითქმის მესამედი დაიხოცა, იმოქმედა არამარტო ადამიანთა ცხოვრებაზე, არამედ მათ ენაზეც. ეკლესიისა და სხვა ინსტიტუტების სათავეში მოექცნენ გაუნათლებელი ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ მხოლოდ მშობლიური ინგლისური ენა.

ადრეულ ახალ ინგლისურ პერიოდში, რომლის დასაწყისი თარიღდება 1500 წლიდან, ბეჭდვის შემოღებამ, განათლების განვითარებამ, გაძლიერებულმა კომუნიკაციებმა და საკომუნიკაციო საშუალებებმა, სოციალური შეგნების გაზრდამ შეუდარებელი გავლენა მოახდინეს ინგლისური ენის განვითარებასა და დახვეწაზე.

XVI საუკუნეში ენის წინაშე სამმა ახალმა პრობლემამ იჩინა თავი:

1. ინგლისურ ენას უნდა მოეპოვებინა უპირატესობა იმ სფეროში, სადაც საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა ლათინური;
2. ორთოგრაფიული წესების შემოღება და დახვეწა;
3. ლექსიკონის გამდიდრება იმდენად, რომ ენას ჰქონოდა შესაძლებლობა თავისუფლად გამოეხატა ნებისმიერი აზრი თუ ცნება.

რენესანსის ეპოქაში სამივე პრობლემის გადაწყვეტას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ინგლისური ენის პროგრესი ორმხრივ ვითარდებოდა: ისინი, ვინც თანამედროვე ენებს ამრეზით უყურებდნენ და ამით ადგილობრივი ენის (vernacular) უარყოფას ცდილობდნენ, უკვე მიისწრაფვოდნენ ინგლისურად ეაზროვნათ, რადგან ამ ენის შესაძლებლობების დახვეწა აახლოებდა მათ კლასიკურ ენებთან; მეორე მხრივ კი ეროვნული შეგნების განვითარება ტიუდორების მეფობისას ხელს უწყობდა ადგილობრივი ენის (vernacular) სამწერლო ენად გამოყენებას. ამ პერიოდში ფლექსიათა ცვლილებები შედარებით სუსტი იყო, წარმოთქმითი (pronunciation) ცვლილებები ზომიერი,



ხოლო ლექსიკონის გამდიდრება უსაზღვრო. უფრო მეტიც, ინგლისური ენა გახდა უფრო დახვეწილი, კარგად არტიკულირებული და რთული წინადადებების გამოყენება ყველასათვის მისაღები იყო. ნაწარმოებები, რომლებიც ხელით გადაიწერებოდა, ახლა დიდი ტირაჟებით იბეჭდებოდა და ხელმისაწვდომი იყო არამარტო შეძლებული ფენისათვის არამედ უბრალო ხალხისთვისაც. რადგანაც წიგნები ადვილად მისაწვდომი გახდა, საკუთარი აზრის გამოხატვისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ეს კი ენას სტიმულს აძლევდა თავისი საკუთარი საშუალებებით გამოეხატა ეს აზრები.

ბევრი სიტყვა, რომელიც რენესანსის პერიოდში ისესხა ინგლისური ენის ლექსიკონმა, თავისი ძირით ისევ ბერძნულსა და ლათინურს უკავშირდება. ისინი წარმოადგენენ ბერძნული განათლების ნაშთებსა და ფრაგმენტებს, რომლებიც რომაულ ცივილიზაციას ჰქონდა შესისხლხორცებული. ინტერესმა კლასიკური მწერლობისადმი, რომელიც ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ხელახლა გაღვივდა დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში კონსტანტინოპოლელი მოხეტიალე მეცნიერების ხელშეწყობით 1453 წლის შემდეგ, ინგლისში თავი იჩინა XVI საუკუნის დასაწყისშივე. თომას ვულსი (Cardinal Thomas Wolsey (1473-1530)) ბერძნულსა და ლათინურს ასწავლიდა ოქსფორდში, ხოლო დეზიდერი ერაზმი როტტერდამელი (Desiderius Erasmus (1466-1536)) – კემბრიჯში. სიტყვათა მარაგის სწრაფმა ზრდამ, რაც განათლებული ფენისათვის სავსებით მისაღები იყო, ენას მისცა საშუალება გამოეხატა რთული ცნებები და დაეკავშირებინა აზრები.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა გახდა გაბატონებული მთელი ბრიტანეთის ტერიტორიაზე, მეცნიერების ზოგიერთ სფეროში ლათინური მაინც არ თმობდა თავის პოზიციებს. ეს ტრადიცია კიდევ უფრო გამყარდა განათლების აღორძინებით, როდესაც ბერძენი ავტორების ნაწარმოებები ორიგინალში გახდა ხელმისაწვდომი. ბერძნული და ლათინური იყო არა მარტო ზოგადი ცოდნის გასაღები, არამედ მაღალი პოეზიის, ორატორული ხელოვნებისა და ფილოსოფიის ენები. ამასთანავე ლათინურს ჰქონდა უნივერსალური ენის უპირატესობა და ევროპის განათლებულ წრეებში თავისუფლად შეიძლებოდა მისი გამოყენება, წერაც და მეტყველებაც.

ასე გაჩნდა თარგმნის საჭიროება. ბერძენი და რომაელი ავტორები ითარგმნებოდა და დიდი ინტერესით სარგებლობდა ინგლისის უტიტულო მოსახლეობაში, თუმცა იმ დროის ცნობილი ავტორები მაინც ამჯობინებდნენ გამოეხატათ თავიანთი აზრები ბერძნულად ან ლათინურად, რადგანაც „ყველაფერი ისე შესანიშნავად არის ამ ენებში, რომ არავის ძალუძს უკეთესის შექმნა“ (Papanis, 1995:19). მაგრამ დრო გადიოდა და ინგლისურმა ენამ საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ყველა ენაზე.

ინგლისური ენის მხარდასაჭერად წერდა თომას ელიოტი (Thomas Elyot (1490-1546)) „ჯანმრთელობის კოშკში“ (Castle of Health, Castellum sanitatis (1534)): „თუკი ფიზიკოსები განაწყენდებიან ჩემზე რომ ვწერ ფიზიკას ინგლისურად, დაე მათ გაიხსენონ რომ ბერძნები ბერძნულად წერდნენ, რომაელები ლათინურად, ავიცენა და სხვანი არაბულად, ისინი წერდნენ თავიანთ მშობლიურ ენაზე“ (Baugh, Cable, 1978:205-206).

ბრძოლა ინგლისურსა და კლასიკურ ენებს შორის დასრულდა XVI საუკუნის ბოლოს. მინდა მოვიყვანო რიჩარდ მულკასტერის (Richard Mulcaster (1531-1611)) სიტყვები იმის დასამტკიცებლად თუ რამ განაპირობა ინგლისური ენის გამარჯვება. იგი წერს: „მე ვწერ ჩემს მშობლიურ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ ვწერ განათლებულთათვის, რომლებმაც კარგად იციან ლათინური; მაგრამ მინდა კარგი გავაკეთო უსწავლელთათვის, რომლებსაც მხოლოდ ინგლისური ესმით და არა სხვა. ვინც ლათინური იცის ინგლისურს უკეთ გაიგებს... მე ვფიქრობ, რომ ახლანდელი პერიოდი ჩვენი ინგლისური ენისა საკმაოდ განვითარებულია, რადგანაც ვხედავ, რომ არის ფრიად დახვეწილი ენასა და არსში, ხოლო დამწერლობაში მითუმეტეს“ (Pearsal, 1948:206).

ასე რომ XVI საუკუნე, რენესანსის ეპოქა, იყო ეპოქა გაძლიერებული აქტივობისა ცხოვრების ყველა სფეროში არამარტო ბრიტანეთის კუნძულებზე, არამედ მთელს ევროპაში. ინგლისი ხდებოდა სწრაფად მზარდი ცივილიზაციის ნაწილი. ბერძნულ-ლათინური ლიტერატურის ხელახალმა აღმოჩენამ სიახლეები შემოიტანა თანამედროვე ენებში და აქცია ისინი ლიტერატურული გამოხატვის საშუალებებად. იგივე მნიშვნელობა მიენიჭა სწავლის განახლებასაც, რომლის შედეგადაც ლათინურის მონოპოლია დამთავრდა, თუმცა ამან გამოააშკარავა ინგლისურის სუსტი მხარე კლასიკურ

ენებთან შედარებით ამ ეტაპზე. ბერძენ-რომაულ ავტორთა ნაშრომები დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და საჭირო იყო ახალი თარგმანები. მთარგმნელები შებოჭილნი იყვნენ ინგლისურის არასრულფასოვნებით და გრძნობდნენ არარსებული მარაგის ორიგინალიდან სესხების აუცილებლობას. უეჭველია, რომ მთარგმნელები აუცილებლად განათლებული პირები იყვნენ, რომელთათვისაც ლათინური მეორე მშობლიური ენა იქნებოდა და ამიტომ მათთვის ინგლისურისათვის საჭირო ახალი ლათინური ერთეულის სესხება, ნეიტრალიზაცია თუ ასიმილაცია რთული არ იქნებოდა. ამ გზით მრავალი ახალი უცხო სიტყვა შემოვიდა ინგლისურში. ახალი სიტყვების დეფიციტი, რა თქმა უნდა, იგრძნობოდა სხვადასხვა ტექნიკურ სფეროში, სადაც ინგლისურის შესაძლებლობები არასაკმარისი იყო. ბაუ და კეიბლი (Baugh, Cable, 1978:203) თავიანთ წიგნში *ინგლისური ენის ისტორია* ასეთ სიტყვებს „ბრძნულ სიტყვებს“ (inkhorn words) უწოდებენ, რომელთა შემოდებას თავის დროზე ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მაგრამ ასეთი წინააღმდეგობა დროებითი აღმოჩნდა, რადგანაც ამ სიტყვების უცნაურობის თუ უხერხულობის შეგრძნება მალევე გადაიღახა და მათ თავისუფლად დაიკავეს მათთვის განკუთვნილი ადგილი ინგლისური ენის სიტყვათა მარაგში.


XVIII საუკუნე ენის ნორმების დაფიქსირების პერიოდია. ენა უფრო სტაბილური და დახვეწილი გახდა ყველა მიმართებაში. „ინგლისური ენის ლექსიკონის“ პირველმა აკადემიურმა გამოცემამ, სამუელ ჯონსონის მიერ 1755 წელს დააფიქსირა ამ დროისათვის ენაში არსებული სიტყვები, მათი მნიშვნელობები, გამოყენება და ორთოგრაფია. მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონი სრულყოფილი არ იყო, მაინც ეპოქის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება XIX-XX საუკუნეებს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის მთელი ეპოქა კაცობრიობის პროგრესული მიღწევებისა ნებისმიერ სფეროში, რამაც ენის წინაშე კვლავ დააყენა ახალი მოთხოვნების შესაბამისად ახალი ერთეულების სესხების ან ახალი ნაწარმოები ერთეულების შექმნის აუცილებლობა განვითარების ამ ეტაპზე. ახალი ერთეულები კი ბერძნულ-ლათინური ენების საფუძველზე იქმნებოდა მსოფლიოს სხვა კულტურული ენების მსგავსად.

მაგრამ რატომ ისევ კლასიკური ენებიდან? ნუთუ ამ ენებს დაუშრეტელი სიტყვათა მარაგი აქვთ? ან რატომ ენიჭებათ უპირატესობა ამ ენებიდან ნასესხებ სიტყვებს მშობლიურ სიტყვებთან შედარებით? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა სხვა კუთხით კვლევას მოითხოვს.

ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკანდინავიური ენებიდან სიტყვების სესხება ინგლისურ ენაში ხდებოდა IX-XII საუკუნეებში. ფრანგული ენიდან – XII, XIII და XIV საუკუნეებში, ხოლო ბერძნულიდან და განსაკუთრებით კი ლათინურიდან ყველა ისტორიულ ეპოქაში, ინგლისური ენის მთელი ისტორიის მანძილზე.

1. 2. ინგლისური ლექსიკის წყაროები. სიტყვის წარმომავლობის მიხედვით ინგლისური ენის ლექსიკური მარაგი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: მშობლიური (native) (ძველი ინგლისურიდან განვითარებული სიტყვები), ნასესხები (borrowed) (ნასესხები სხვადასხვა ენებიდან) და ახლად ნაწარმოები სიტყვები (newly formed) (სიტყვები, რომლებიც ახლად შეიქმნა ენაში არსებული ელემენტებიდან). მაგრამ ეს ჯგუფები ამომწურავი მაინც არ არის; რადგანაც ძველ ინგლისურში იყო როგორც მშობლიური, ასევე ნასესხები სიტყვები; თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს მცირე ჯგუფი ჰიბრიდებისა, რომლებიც შექმნილნი იყვნენ მშობლიური და ნასესხები სიტყვების კომბინაციით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნასესხებმა სიტყვებმა საუკუნეების განმავლობაში განიცადეს ისეთი ასიმილაცია, რომ ისტორიული კვლევისა და ეტიმოლოგიის დადგენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მათი გამორჩევა მშობლიური სიტყვებისაგან. ჩვენთვის, მაგალითად, სიტყვებს head და face ერთნაერი მნიშვნელობა და ფუნქცია აკისრიათ, ისინი თანაბრად ინგლისურნი არიან. მაგრამ თუკი მათ ძირებს განვიხილავთ head-ს ინგლისური ძირი აქვთ, ხოლო face ნასესხებია ლათინურიდან. (head← OS hōbid ←OE hēafod) (face ←OF. ROM \*facia ← L.faciēs). თუ გვინდა, რომ ენის განვითარება გაგვანალიზოთ, უნდა შევისწავლოთ მისი წარმომავლობაც. შემდეგი მაგალითიდან აშკარაა მშობლიური და ნასესხები სიტყვების ურთიერთობა:



როგორც ვხედავთ, ინდო-ევროპული ძირიდან (*pater*-იდან) განვითარებული ლათინური ძირის მქონე *paternal* და მშობლიური *father*-იც თანაბრად თანაარსებობენ ენაში. (*pater* → *paternus* → *paternalis*). თანამედროვე ინგლისურმა ენამ XVII საუკუნეში ისესხა ლათინურიდან აღნიშნული ფორმა. მეორე მაგალითში ჩანს, რომ ძველი ლათინურიდან ძველმა ინგლისურმა და ძველმა ზემოგერმანულმა ისესხეს *pīpa* და *pfīfa*, ძველი ინგლისური *pīpa* თანამედროვე *pipe*-ში განვითარდა, ხოლო ძველი ზემოგერმანული *pfīfa* ძველი ფრანგულის გავლით ისესხა ინგლისურმა. აქაც *father* და *paternal*-ის მსგავსად თავისუფლად თანაარსებობენ ორივე ნასესხები ფორმა *pipe* და *fife* (Robertson, Cassidy, 1954:148).

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენას უკვე მრავალი სიტყვა ჰქონდა ნასესხები ბრიტანეთში ანგლო-საქსთა დასახლებამდე, ლექსიკონი მაინც გერმანიკული იყო. ინგლისური ენა მაშინ ძნელად იღებდა უცხო სიტყვებს. ძველი ინგლისური პერიოდის ადრეულ ხანაში ნასესხები სიტყვები ლათინური თუ სხვა ძირის მქონე ინგლისური ეკვივალენტებით შეიცვალა. მაგალითად, *undersittan* ლათინური *susidere*-ს ნაცვლად, *hēahboda* ლათინური *archangelus*-ის ნაცვლად, *oniernan* ლათინური *incurrere*-ს ნაცვლად და ა.შ. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ძველმა ინგლისურმა გადმოიღო რთული სიტყვების შეთხზვის ლათინური მოდელი, რომლითაც მშობლიური ელემენტებით ამდიდრებდა ენის ლექსიკონს. მშობლიური ლექსიკონი შეესაბამებოდა მაშინდელი ცხოვრების მოთხოვნებს. მხოლოდ ნორმანთა დაპყრობის შემდეგ მოხდა უცხო ელემენტების ფართოდ შემოჭრა სიტყვათა მარაგში. მრავალი ინგლისური სიტყვა დაიკარგა ან მხოლოდ ზოგიერთ დიალექტში შემორჩა. ნასესხებმა

სიტყვებმა შეამცირეს მშობლიური სიტყვების რაოდენობა და დაიკავეს მათი ადგილი. მაგრამ რა საოცარიც არ უნდა იყოს, ამ სიტყვებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ისინი აღნიშნავენ: რიცხვით სახელებს ათასამდე (million, billion და ა.შ. ნასესხებია), ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებს: father, mother, brother, son (მაშინ როცა uncle, cousin ნასესხებია) ასევე fire, water, day, night, summer, winter, moon, star, ხოლო sky, autumn ნასესხები.

ისტორიულად ძველი ინგლისური განვითარდა იმ დიალექტთა ერთობლიობისაგან, რომლებიც ინგლისში იუტებმა, საქსებმა და ანგლებმა შეიტანეს. ეს დიალექტური ნარევი გახდა ძველი ინგლისური ენის გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკური მარაგის საფუძველი. მაგრამ დიალექტური ელემენტების დამკვიდრების გარდა ენა სხვამხრივაც მდიდრდებოდა. თავისი არსებობის პირველი 700 წლის განმავლობაში ინგლისურს კავშირი ჰქონდა სამ უცხო ენასთან: კელტების, რომაელებისა და სკანდინავიელების ენებთან. ყოველი მათგანი გარკვეულ გავლენას ახდენდა და თავის კვალს ტოვებდა ენის განვითარების პროცესში, განსაკუთრებული გავლენას კი ენის ლექსიკონი განიცდიდა.

ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალკე მიმოვიხილოთ კელტური და სკანდინავიური ენების გავლენა ინგლისურ ენაზე, ხოლო დეტალურად განვიხილოთ ბერძნული და ლათინური ენებიდან ნასესხეობის ევოლუციის ტენდენციები მომდევნო თავებში.

**1. 2. 1. კელტური გავლენა.** უდავოა ის ფაქტი, რომ ანგლო-საქსების მიერ ბრიტანეთის კელტური მოსახლეობის დაპყრობის შემდეგ, ორი ხალხის ადრევეს მოპყვებოდა მათი ენების შერევა. მიუხედავად იმისა, რომ ანგლო-საქსებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს კელტური მოსახლეობა, მათ ადგილობრივი მოსახლეობისაგან მაინც შეითვისეს მრავალი, მათთვის ახალი სიტყვა. დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით, სადაც გერმანიკული ტომების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დაპყრობა მალევე დასრულდა. კელტური მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი გადარჩა. დამარცხებულთა დიდმა ნაწილმა აღმოსავლეთის რეგიონებს შეაფარა თავი. ამიტომ აქ უდავოა, რომ კელტურად მოლაპარაკე მოსახლეობა საკმაოდ გვიანდელ დრომდე

შემორჩა. ამას ადასტურებს ადგილის სახელები დორსეტშირის ჩრდილო-დასავლეთიდან. გადარჩენილი კელტური მოსახლეობა დამპყრობლებმა მონებად აქციეს, თუმცა არც შერეული ქორწინებები იყო მათთვის მიუღებელი. კუნძულის განაპირა რაიონებში ორი ხალხის ურთიერთობები დროთა განმავლობაშიც უფრო მჭიდრო ხდებოდა რაც თავისთავად აისახებოდა ენაშიც.

*კელტური ადგილის სახელები.* სამწუხაროდ, დღესდღეისობით კელტებისა და გერმანიკულ ტომთა ურთიერთობის ძალიან მცირე ნიმუშებია შემორჩენილი. ესენი ძირითადად ადგილის სახელებია. კენტის სამეფოს სახელი მოდის კელტური Canti ან Cantion-დან, თუმცა ამ სიტყვების მნიშვნელობის დადგენა კელტურში ვერ ხერხდება. უძველესი ნორთუმბრიული სამეფოების სახელები Deira და Bernicia ნაწარმოებია კელტური ტომის სახელებიდან. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონების დღევანდელ ზოგიერთ დასახელებებში კი კელტური ელემენტი მაინც შემორჩენილია. Devonshire შედგება კელტური ტომის სახელიდან. Dumnonii, Cornwall ნიშნავს, Cornubian Welsh, ხოლო Cumberland ნიშნავს Land of Cymry, Britons. შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანეთის კუნძულების რომაულ პერიოდში მრავალი მნიშვნელოვანი ადგილის დასახელებაში გაცოცხლდა კელტური ელემენტი; თვით London-იც კი, (თუმცა მისი მნიშვნელობა მაინც სადავოა), სათავეს კელტურიდან უნდა იღებდეს. პირველი მარცვალი Winchester, Salisbury, Exeter, Gloucester, Worcester, Lichfield და მთელი რიგი ქალაქის სახელებისა სათავეს ისევ კელტური წყაროდან იღებს. ხოლო კენტერბერის ძველი სახელი Durovernum და სახელი York აშკარად კელტურია.

კელტური ძირი ან თვით სახელი შემორჩენილია მდინარეებისა და მთების სახელებშიც. Thames-ც კი კელტურია. სხვადასხვა კელტური სიტყვები მდინარისა ან წყლის აღმნიშვნელი შემორჩენილია სახელებში Avon, Exe, Esk, Usk, Dover, Wye. კელტური სიტყვები “hill”-ის მნიშვნელობით შემორჩენილია ადგილის სახელებში. მაგალითად, კელტური Barr და უელსური bar – „წვერი, მწვერვალი”. კელტური Bredon და უელსური bre „მთა”, კელტური Bryn Mawr და უელსური bryn “მთა” mawr „დიდი”, კელტური Creech, Pendle და უელსური pen „წვერი” და სხვა. ზოგიერთი სხვა კელტური ელემენტი გვხვდება ისეთ

სიტყვებში, როგორცაა cumb (დიდი მინდორი) სახელებში Duncombe, Holcombe, Winchcombe. Torr (მაღალი კლდე, პიკი) Torr, Torcross, Torhill. Pill (მიქცევ-მოქცევის კალაპოტი) pyll, Huntspill. Brocc (თხუნელა) Brockholes, Brockhall და ა.შ. გარდა წმინდა კელტური ელემენტისა ლათინური სიტყვები castra, Fontana, fessa, portus, vicus შევიდა ენაში როგორც ადგილის აღმნიშვნელი რომაელთა მიერ კუნძულის დაპყრობის პერიოდში და კელტური ენიდან მოხდა მათი გადატანა ინგლისურ ენაში. ბუნებრივია, რომ კელტური ადგილის დასახელებები უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთით ვიდრე სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ ამ სახელთა ნაშთები ცხადყოფს, რომ კელტები მართალია მოექცნენ გერმანიკული ტომების ძლიერი გავლენის ქვეშ, მაგრამ მომხდურებმაც შეითვისეს კელტური ადგილის სახელები და ამით თავიანთი ენაც გაამდიდრეს.

ადგილის სახელების გარდა კელტური ენის გავლენა ინგლისურზე უმნიშვნელო იყო. ძალიან მცირეა ის ჯგუფი სიტყვებისა, რომელთაც ძირში კელტური ელემენტი აქვთ. თუმცა ამ მცირე რაოდენობაშიც გამოირჩევა ორი ჯგუფი:

1. სიტყვები, რომლებიც ანგლო-საქსებმა შეითვისეს ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო ყოველდღიური კონტაქტის შედეგად;
2. სიტყვები, რომლებიც გაავრცელეს ირლანდიელმა მისიონერებმა ჩრდილოეთით.

პირველი ჯგუფი ზეპირსიტყვიერებით გადაიცემოდა და პოპულარული ხასიათისა იყო, ხოლო მეორე ჯგუფს რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა და მეტნაკლებად წიგნური, განათლებული ხალხისათვის იყო მისაღები. პირველ ჯგუფში შედიოდა bin (კალათა, basket, crib), bratt (watch, საათი), brocc (brock ან badger, მაჩვი). ასევე გეოგრაფიული მნიშვნელობის სიტყვები, რომელთაც ჯერ არ ჰქონდათ ძლიერი დატვირთვა ანგლო-საქსებისათვის კონტინენტზე, მაგალითად crag, luh (lake, ტბა), cumb (field, მდელო).

მეორე ჯგუფის სიტყვები ინგლისურში შევიდა კელტურ ქრისტიანობასთან ერთად და მათი რიცხვი საკმაოდ მცირეა. 563 წელს წმ. კოლუმბი თავის თორმეტ ბერთან ერთად ჩავიდა ირლანდიიდან ბრიტანეთში. პატარა კუნძულ იონაზე (IONA) შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მან დააარსა



პატარა მონასტერი სადაც თვითონვე 34 წლის განმავლობაში, სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. ამ ქრისტიანული ცენტრიდან მრავალი მისიონერი გაეშურა ბრიტანეთის კუნძულების სხვადასხვა მიმართულებით, სადაც ისინი აარსებდნენ ქრისტიანულ კერებს და ავრცელებდნენ ქრისტიანულ მოძღვრებას. მათი მოღვაწეობის შედეგად გავრცელდა შემდეგი სიტყვები ancor (hermit, განდევილი, მწირი, მეუდაბნოე), dry (witch, ჯადოქარი), cine (a gathering of parchment leaves, გრაგნილის შეერთება), cross (ჯვარი), clugge (bell, ზარი), gabolrind (compass, კომპასი), mind (circlet, diadem, დიადემა), საგარაუდოდstær (history, ისტორია) და cursian (to curse, წყევლა)-ც. ეს სიტყვები საგარაუდოდ ნაწილობრივ მაინც გამოიყენებოდა ძველ ინგლისურ ენაში.

უდავოდ, მრავალი კელტური წარმომავლობის სიტყვა უბრალოდ დაიკარგებოდა, ზოგიერთი კი ახალ მნიშვნელობას შეიძენდა. მიუხედავად იმისა, რომ ორი ხალხის, კელტებისა და გერმანიკული მოდგმის ხალხების ურთიერთობას არ ჰქონდა დიდი გავლენა ინგლისური ცხოვრების წესსა და ინგლისურ მეტყველებაზე, მან მაინც ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე ინგლისური ენის განვითარების პროცესის დასაწყისს. გადარჩენილი კელტები მაინც განადგურების პირას იდგნენ. რომაელთა მსგავსად მათ რომ ჰქონოდათ დიდი კულტურა ან რაიმე ფასეული და მნიშვნელოვანი ანგლო-საქსებისათვის მათი გავლენა შესაძლოა უფრო დიდც კი ყოფილიყო. მაგრამ ანგლო-საქსები მხოლოდ მცირედით დაინტერესდნენ კელტური ცხოვრებიდან და კელტური გავლენაც ითვლება ერთ-ერთ ადრეულად, რომელმაც თუმცა მცირე მაგრამ თავისი კვალი მაინც დატოვა ინგლისურ ენაში.

**1. 2. 2. სკანდინავიური ენების გავლენა.** მსგავსება ძველ ინგლისურსა და სკანდინავიულ დამპყრობთა ენებს შორის იმდენად დიდია, რომ თანამედროვე ინგლისურში ძნელია გარკვევა იმისა, თუ რომელია ინგლისური სიტყვა და რომელი ნასესხები. უმრავლესობა ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებულ სიტყვებს შორის თითქმის იდენტური იყო. რომ არ იყოს შემორჩენილი ლიტერატურული ძეგლები ძველი ინგლისური ენის პერიოდიდან ვიტყოდით, რომ ისინი ყველანი სკანდინავიური წარმოშობისაა. თუმცა რაღაც გარკვეული კრიტერიუმებით მაინც შეგვიძლია მათი გამოცნობა.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის გარკვეული ბგერების განვითარება ჩრდილო-გერმანიკულსა და დასავლეთ გერმანიკულში. ყველაზე ნათელი მაგალითია ბგერა sk. ძველ ინგლისურში მოხდა ამ ბგერის პალატალიზაცია sh-ში (ძველი ინგლისური დამწერლობით sc) გარდა შესაძლო კომბინაციისა scr. სკანდინავიურ ენებში კი იგი დარჩა როგორც მაგარიბგერა sk. შესაბამისად, საკუთრივ ინგლისური სიტყვები გვხვდება ბგერით: ship, shall, fish თანამედროვე ინგლისურში, ხოლო სკანდინავიურიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება sk: sky, skin, skill, scrape, scrub, bask, whisk (Pyles, Algeo, 1982:300).

ძველი ინგლისური scyrte გახდა shirt, მაშინ როცა მისი შესაბამისი ძველი ნორვეგიული skyrta განვითარდა skirt-ში. მაგარი ბგერების k-სა და g-ს გამოთქმის შენარჩუნება ისეთ სიტყვებში როგორცაა kid, get, give, gild, egg მიუთითებს მათ სკანდინავიურ წარმოშობაზე. ზოგჯერ, თუმცა ძალიან იშვიათად, ხმოვანიც მიუთითებს სიტყვის წარმოშობაზე. მაგალითად, გერმანიკული დიფთონგი ai ძველ ინგლისურში გახდა ā (o თანამედროვე ინგლისურში), ხოლო ei ან ē ძველ სკანდინავიურში. მაგალითად, aye, nay (არსებობდა მშობლიური no-ს პარალელურად) hale (ინგლისური (w)hole) reindeer, swain ნასესხებია. საშუალო ინგლისურში ერთმანეთის გვერდით არსებობდნენ სკანდინავიური წარმომავლობის geit, gait და ძველი ინგლისური gāt, gōt. მშობლიური სიტყვის ფორმა შემორჩა თანამედროვე ინგლისურში ფორმით goat. ასევე სკანდინავიური loathsome საშუალო ინგლისურში არსებობდა leiþ, laiþ ფორმით, ხოლო ინგლისური ძირით იყო lāþ, lōþ. ასეთი კრიტიკრიუმი ეფუძნება ორ ენაში ბგერათა განვითარებას და განასხვავებს სკანდინავიური ძირის სიტყვებს მშობლიური სიტყვებისაგან. მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევები როცა ასეთი კრიტიკრიუმი ვერ გვეხმარება კონკრეტული ნასესხობის გარკვევაში. მაგალითად, bloom (flower) შეიძლება ერთნაირად იყოს განვითარებული როგორც ძველი ინგლისური blōma-დან, ასევე სკანდინავიური blōm-დან. მაგრამ ძველ ინგლისურში ნიშნავდა რკინის ნაჭერს, ნაღობს, ხოლო სკანდინავიურში ყვავილს. როგორც ჩანს ძველი ინგლისური სიტყვა შემორჩა როგორც მეტალურგიული ტერმინი, ხოლო სკანდინავიურმა მოაღწია თანავედროვეობამდე ყვავილის მნიშვნელობით.

ასევე plow ძველ ინგლისურში ნიშნავდა მიწის საზომ ერთეულს, ხოლო სკანდინავიურში სასოფლო-სამეურნეო იარაღს, რასაც ძველ ინგლისურში ეწოდებოდა sulh. როცა ვერც ფორმთ და ვერც მნიშვნელობით მტკიცდება სიტყვის სკანდინავიური წარმომავლობა, ვერ ვიტყვით რომ საქმე გვაქვს ნასესხებ სიტყვასთან. ფაქტი, რომ სიტყვის პირველადი ფორმა არ არის შემონახული ძველ ინგლისურში, არ ამტკიცებს იმას, რომ ეს სიტყვა არ არსებობდა ამ პერიოდში. უფრო მეტიც, თუკი სიტყვა გვხვდება საშუალო ინგლისურში, მაგრამ არ მოიძიება მისი “წინაპარი” ძველ ინგლისურში და არსებობს მისი შესატყვისი ძველ ნორვეგიულში და სიტყვა ხშირად გვხვდება იმ ტექსტებში, რომლებიც დაწერილია დანიური გავლენის რაიონებში, ან ამ რაიონებში არსებულ დიალექტებში დღესაც გამოიყენება, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე ნასესხებ სიტყვასთან გვაქვს.

*სკანდინავიური ადგილის სახელები.* ყველაზე აშკარა მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სკანდინავიელთა ინტენსიურ დასახლებებს ბრიტანეთის კუნძულებზე მოიპოვება ადგილის სახელებში. მათი რაოდენობა 1400 აღემატება და განისაზღვრება დასახლებების აღმნიშვნელი სხვადასხვა დაბოლოებებით. მათი გავრცელების არეალი ემთხვევა მოქმედების არეალს. ამ რაოდენობიდან დაახლოებით 600 ადგილის სახელი მოიძიება, რომლებიც ბოლოვდება -by: Grimsby, Whiby, Derby, Rugby, Thoresby და სხვა. ეს კი იმ რაიონების სახელებია, სადაც დანიელთა მჭიდრო დასახლებები იყო, ხოლო -by დანიურში აღნიშნავდა „ფერმას“, „ქალაქს“. -by-ს იგივე მნიშვნელობა აქვს სიტყვაში by-law და აღნიშნავდა “town law”-ს (Knowles, 1997:39). სკანდინავიურში thorp (village) სოფელს აღმნიშვნელი იყო და დაახლოებით 300-მდე მისი შემცველი ადგილის აღმნიშვნელი სახელი გვხვდება თანამედროვე ბრიტანეთში: Althorp, Bishopsthorpe, Gawthorpe, Linthorpe. იზოლირებული მიწა – thwaite, შემორჩა Applethwaite, Braithwaite, Cowperthwaite, Langthwaite, Satterthwaite და მათი რაოდენობაც 300-მდეა. დაახლოებით 100 სიტყვა ბოლოვდება toft-ზე, რაც მიწის ნაკვეთს, მამულს ნიშნავდა: Brimtoft, Eastoft, Langtoft, Lowestoft, Nortoft.

ასევე იორკშირისა და ლინკოლნშირის დასახლებულ პუნქტებშიც მრავლადაა სკანდინავიური ძირის მქონე ადგილის სახელები. მათი რაოდენობა 75% შეადგენს. უმბერლენდსა და უესტმორლენდში მოპოვებული

ადგილის სახელებში მრავლადაა ძველი ნორვეგიული ელემენტები, ხოლო ნორფოლკში მოსახლეობის უმრავლესობას დანიელები წარმოადგენდნენ.

ადგილის სახელების გარდა სკანდინავიური ელემენტი -son, საკუთარ სახელებს თავისუფლად დაერთო (Johnson, Stevenson) და პარალელურად არსებობდა ძველი ინგლისური -ing-ის (Browning) გვერდით.

*ადრეული ნასესხები სიტყვები.* ადგილის სახელების სკანდინავიური ელემენტის შეთვისების გარდა ძველ ინგლისურში მრავლადაა ისეთი სიტყვები, რომლებიც ანგლო-საქსებმა მტრებისაგან ისესხეს. ყველაზე დიდი ჯგუფი ამ სიტყვებისა დაკავშირებულია მეკობრეობასთან, თავდასხმასა და ყაჩაღობასთან. მაგალითად: *barda* (ModE beaked ship) ნისკარტისებურცხვირიანი გემი, *cnearr* (ModE small warship) პატარა საბრძოლო გემი, *scegþ* (ModE vessel) ხომალდი, *liþ* (ModE fleet) ფლოტი, *scegþmann* (ModE pirate) პირატი, *dreng* (ModE warrior) მებრძოლი, *hā* (ModE oarlock) სანიჩაბე ორკაპა, *hā-sæta* (ModE rower in a warship) მენიხბე გემზე, *bātsweigen* (ModE boatman) მენავე, *hofding* (ModE chief ringleader) ჩხუბისთავი, *orrest* (ModE battle) ბრძოლა, *rān* (ModE robbery, rapine) ძარცვა, ძაღადობა, ყაჩაღობა, *fylcian* (ModE. To collect or marshal a force) ძალების შეკრება, ჯარის წინამძღოლობა. ყველა ეს სიტყვა ამ პერიოდშია ნასესხები ინგლისური ენის მიერ და აშკარაა თუ როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ ამ ხალხებს ურთიერთობის დაწყების პირველ ხანებში.

მოგვიანებით ნასესხები სიტყვები კი უფრო საკანონმდებლო და დენლოს სოციალურ-ადმინისტრაციული ხასიათისაა. თვითონ სიტყვა *law* სკანდინავიური წარმოშობისაა ისევე როგორც *outlaw*. სიტყვები *māl* (ModE action at law), *hold* (ModE freeholder), *wapentake* ModE (an administrative district), *hūsting* (ModE assembly) პირდაპირ დანიურიდანაა ნასესხები. ასეთი მარტივი სიტყვების გარდა ძველ ინგლისურში არის ისეთი სიტყვებიც, რომლებიც სკანდინავიური ტერმინების ზუსტ, სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენენ. მაგალითად: *bōtlēas* (ის, რისი კომპენსაციაც შეუძლებელია), *hāmsōcn* (მტერს დაესხა საკუთარ სახლში), *lahcēap* (გადასახადი დაკარგული კანონიერი უფლებების აღსადგენად) *landcēap* (მიწის გადასახადი მისი შექმნისას).

ინგლისურმა საკანონმდებლო ტერმინოლოგიამ ნორმანთა დაპყრობის შემდეგ განიცადა ცვლილებები, ზოგიერთი საერთოდ დაიკარგა და მათი

ჩანაცვლება ფრანგულიდან ნასესხები ტერმინებით მოხდა. მათ თუნდაც დროებითი არსებობა ენაში ამტკიცებს თუ რაოდენ დიდი ადგილი დაიკავა სკანდინავიელთა, განსაკუთრებით კი დანიელთა გავლენამ ინგლისის ცხოვრებაში და ინგლისური ენის განვითარებაში.

*სკანდინავიური ნასესხები სიტყვები და მათი ხასიათი.* საკმაოდ დრო უნდა გასულიყო მას შემდეგ, რაც სკანდინავიელები დასახლდებოდნენ ბრიტანეთის კუნძულებზე და ადგილობრივი მცხოვრებლების გვერდით განაგრძობდნენ ცხოვრებას, რათა ნასესხები სიტყვებს გზა გაეკვალათ და დამკვიდრებულიყვნენ ინგლისელთა ენაში. მაგრამ დანიელთა შემოსევებს არ მოჰყოლია ქრისტიანობის გავრცელება, მათ არ შემოუტანიათ ახალი ცივილიზაცია რაც ინგლისელებისათვის მანამდე უცნობი იყო. დამპყრობთა ცივილიზაცია დიდად არ განსხვავდებოდა ადგილობრივთაგან. ამიტომ სკანდინავიური ელემენტები, რომლებიც ინგლისურ ენაში დამკვიდრდნენ წარმოადგენდნენ ყოველდღიური აღებ-მიცემობის აუცილებელ ერთეულებს. ეს სიტყვები იყო:

არსებითი სახელები: axle-tree თვლის ღერძი, band თასმა, შესაკრავი, bank მიწაყრილი, ჯებირი, birth დაბადება, boon თხოვნა, ვედრება, booth ჯიხური, brink მდინარის ნაპირი, მთის კალთა, bull ხარი, calf (of leg) წვივი, crook კავი, dirt მტვერი, down (feathers) ღინღლი, egg კვერცხი, fellow ჭაბუკი, freckle ჭორფლი, gait სვლა, gap ნაპრალი, girth უნაგირის მოსართავი, guess მიხვედრა, ვარაუდი, hap ბედი, keel კილი, kid ბავშვი, leg ფეხი, link ჯაჭვის რგოლი, loan სესხი, mire ჭაობი, race რბოლა, შეჯიბრი, reef (of sail) იალქნის რიფი, reindeer ჩრდილოეთის ირემი, rift უთანხმოება, ურთიერთობის გაწყვეტა, root ფესვი, scab ქერქი, scales სასწორი, score საფასური, scrap ნაგლეჯი, seat დასაჯდომი ადგილი, sister და, skill ოსტატობა, skin ტყავი, skirt ქვედაბოლო, sky ცა, slaughter დაკვლა, დახოცვა, snare მახე, stack გროვა, steak ხორცის ნაჭერი, thrift მომჭირნეობა, tidings ახალი ამბები, trust ნდობა, want ნაკლებობა, window ფანჯარა.

ზედსართავი სახელები: awkward უხეში, flat ბრტყელი, ill ავადმყოფი, loose თავისუფალი, low დაბალი, meek თვინიერი, muggy ნესტიანი, odd უცნაური, rotten გახრწნილი, rugged კლდიანი, scant უმნიშვნელო, seemly ჯეროვანი, sly ცბიერი, tattered დაგლეჯილი, tight ვიწრო, weak სუსტი.

ზმნები: bait ნადირობა, დევნა, bask მზეზე გათბობა, batten გასუქება, განოყიერება, call ყვირილი, დაძახება, cast გადაგდება, გადასროლა, clip დამაგრება, cow დაშინება, დამორჩილება, crave სურვილის ქონა, crawl ხოხვა, ცოცვა, die კვლემა, droop დახრა, egg (on) წაქეზება, flit ადგილის შეცვლა, gape პირის გაღება, gasp მძიმედ სუნთქვა, get შოვნა, მიღწევა, give მიცემა, glitter ელვარება, kindle დანთება, lift აწევა, lug თრევა, nag შარის მოღება, raise აწევა, ამალღება, rake მოფოცხვა, ransack გაჩხრეკა, rid გათავისუფლება, scare შეშინება, scout (an idea) ძიება, scowl გაბრაზებით ყურება, screech წივილი, snub უგულბეღყოფა, sprint სწრაფად სირბილი, take აღება, thrive ყვავის, ხარობს, thrust ხელის კვრა.

ამ სიტყვებს თუ გადავაგვლებთ თვალს, აშკარაა, რომ ზოგიერთი მათგანის სესხება ინგლისურ ენაში სულ არ იყო აუცილებელი, მაგრამ ისინი ენაში ორი ხალხის ადრევის შედეგად დამკვიდრდნენ. ერთიდაიგივე ცნების აღმნიშვნელი სკანდინავიური და ინგლისური სიტყვები, სავარაუდოდ, გვერდიგვერდ იარსებებდნენ და რომელიმე მათგანის „გადარჩენა“ შეიძლება ჩავთვალოთ სრულიად შემთხვევითობად, რომელიც არ იყო რაიმე უპირატესობით განპირობებული. თუმცა შეიძლება გავითვალისწინოთ შემდეგიც:

1. თუ სიტყვები ორივე ენაში მნიშვნელობითა და ფორმით ემთხვეოდნენ ერთმანეთს, მათი თანამედროვე შესატყვისი ასევე მოიძებნება ორივე ენაში: burn, cole, drag, fast, gang, murk(y), scrape, thick.

2. იქ, სადაც განსხვავება იყო ფორმაში ინგლისურ სიტყვას უფრო მეტი შანსი ჰქონდა გადარჩენისა. bench, goat, heathen, yarn, few, grey, loath, leap, flay-ის გვერდით სკანდინავიური ფორმებიც ვხვდებით საშუალო ინგლისურ ლიტერატურაში და ჯერ კიდევ ვხვდებით თანამედროვე დიალექტებშიც. სკანდინავიურ მაგარ ბგერებს სიტყვის პირველ მარცვალში ვხვდებით screed, skelle, skere სტანდარტული ინგლისური სიტყვების shred, shell, sheer-ის გვერდით. ძველ ნორვეგიულ trigg-ს ძველი ინგლისური treowe (true, სიმართლე) გვერდით. ასეთ შემთხვევებში, როდესაც ორი სიტყვა თანაარსებობდა ერთდროულად უპირატესობა მაინც ინგლისურ სიტყვას ენიჭებოდა. ამასთან ეს ორი ენა თანაარსებობდა

ინგლისის ჩრდილო და აღმოსავლეთ რეგიონებში. სკანდინავიური attlen არსებობდა ინგლისური think-ის გვერდით (purpose, intend-ის მნიშვნელობით), bolnen-swell-ის, tinen (ON. týna) lose-ის, site (ON \*sýt) sorrow-ს, roke(fog) mist-ის, reike path-ის პარალელურად (Knowles, 1997:44).

3. ზოგჯერ სკანდინავიური სიტყვა ჩაენაცვლებოდა მშობლიურ სიტყვას თუკი ორივე სიტყვა ხანგრძლივად თანაარსებობდა ენაში. მაგალითად, სკანდინავიური awe და მისი მონათესავე eye (ძველი ინგლისური aye) ერთდროულად გვხვდება ორმოლუმში (1200). საშუალო ინგლისური პერიოდის დასაწყისში ინგლისური სიტყვა უფრო გავრცელებული იყო, მაგრამ 1300 წლიდან სკანდინავიური სიტყვა უფრო ხშირად ჩნდება წერილობით ძეგლებში და მან საბოლოოდ განდევნა ინგლისური სიტყვა. ორივე ფორმა თავისუფლად გამოიყენებოდა ყოველდღიურ ზეპირსიტყვიერებაში ჩრდილო აღმოსავლეთით რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, მანამ სანამ, awe-ს გამოთქმამ არ დაჩრდილა და საბოლოოდ არ განდევნა aye. მეთოთხმეტე საუკუნის შემდეგ ძველი ინგლისური ფორმა საერთოდ აღარ გვხვდება. იგივე მოხდა egg-თან მიმართებაშიც, ერთდროულად თანაარსებობდა ძველი ინგლისური ey და სკანდინავიური egg. მეთხუთმეტე საუკუნეში კექსტონს ვერ გადაუწყვეტია რომელი მათგანი გამოიყენოს (Baugh, Cable, 1978: 100). ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებშიც სკანდინავურმა ფორმამ განდევნა ძველი ინგლისური ფორმები:

- |      |        |            |             |
|------|--------|------------|-------------|
| ModE | sister | ON. syster | OE sweostor |
| ModE | boon   | ON bōn     | OE bēn      |
| ModE | loan   | ON lān     | OE lān      |
| ModE | weak   | ON veikr   | OE wāc      |

ხშირად, მიუხედავად იმისა, რომ ძველი ინგლისური სიტყვა სრულად გამოხატავდა იგივე ცნებას რასაც სკანდინავიური, ის მაინც დაიკარგა. ასე მოხდა take-ის შემთხვევაში. ძველ ინგლისური niman ჩაანაცვლა take-მა. OE weopan ჩაანაცვლა cast-მა, საბოლოოდ კი throw-მ. cut-მა განდევნა ძველი ინგლისური snīðan და ceofan. ძველ ინგლისურში რამდენიმე სიტყვა არსებობდა სიბრაზის

anger-ის გამოსახატავად (Serjeantson. 1968:81,85,102). ყველა ეს მნიშვნელობა ერთმა ნორვეგიული ძირის სიტყვამ თავისუფლად გამოხატა.

ON Angr - OE torn, grama, ire

ასე მოხდა რამდენიმე სიტყვის შემთხვევაში.

OE rind - ON bark

OE feþra - ON wing

OE ūprodor, wolcen<sup>4</sup> - ON sky.

სიტყვა window (= wind eye) წარმოშვა ძველ ინგლისური ზუსტი შესატყვისიდან ēagþýrel (eye-thirl, eye-hole). იგივე მოხდა nostril-ის შემთხვევაშიც nostril = nose-thirl, nose-hole

4. ზოგიერთი სიტყვა ენაში შემორჩა ორივე ფორმით, მაგრამ მათ განსხვავებული მნიშვნელობები შეიძინეს:

OE no - ON nay

OE whole - ON hale

OE rear - ON raise

OE from - ON fro

OE craft - ON skill

OE hide - ON skin

OE sick - ON ill

5. ზოგიერთ შემთხვევაში სკანდინავიურის წყალობით მოხდა პასიური მშობლიური სიტყვის ხელახალი „აღმოჩენა“: till, dale, rim, blend, rund და შოტლანდიური bairn.

6. შესაძლოა, ძველი ინგლისური სიტყვის ფორმამ განიცადა მოდიფიკაცია მისი შესატყვისი სკანდინავიური ფორმის გავლენით. მაგალითად მაგარი ბგერები give-სა და get-ში, scatter shatter-ის გვერდით, Thursday ძველი ინგლისური Thunresdæg-ის მაგივრად.

როდესაც ვსაუბრობთ ინგლისური და სკანდინავიური ენების ურთიერთობაზე უნდა გავითვალისწინოთ ის შედეგები რაც ამ ორი ენის აღრევას მოჰყვებოდა ორი საუკუნის განმავლობაში. ხდებოდა არამარტო არსებითი და ზედსართავი სახელებისა და ზმნების სესხება, არამედ

<sup>4</sup> Wolcen შედარებით გვიანდლამდე შემორჩა როგორც მხატვრული, პოეტური სიტყვა, ფორმით welkin



ნაცვალსახელების, წინდებულების, ზმნიზედების სესხებაც. მეტყველების ეს ნაწილები როგორც წესი არ გადადის ერთი ენდიან მეორეში. ნაცვალსახელები they, their, them სკანდინავიური ძირისაა, ხოლო hie, hiera, him ძველი ინგლისური. both და same გამოიყენებოდა როგორც ნაცვალსახელი და ორივე სკანდინავიური წარმოშობისაა. წინდებულ till-ს ჰქონდა to-ს მნიშვნელობა, fro-ს from-ის (შემორჩენილია to and fro-ში). სკანდინავიურია ასევე კავშირი though, ძველ ინგლისური Pēah-ის ძველი ნორვეგიული შესატყვისი. At როგორც სკანდინავიური ინფინიტივის ნიშანი გვხვდება ინგლისურშიც ado (at-do) და საშუალო ინგლისურში უფრო თავისუფლად გამოიყენებოდა. ზმნის-წინები aloft, athwart, aye (ever), seemly, heþen (hence), hweþen (whence) ნაწარმოებია სკანდინავიურიდან.

ყველაზე მნიშვნელოვან ნასესხეობად კი შეიძლება ჩავთვალოთ to be ზმნის აწმყო მრავლობითი ფორმა are. როცა we aron იყო ძველი ინგლისური ფორმა ჩრდილოეთით, უესტ საქსური მრავლობითი გერმანიკული sind-ის მსგავსად იყო syndon. Are დანიელთა გავლენით გავრცელდა ბრიტანეთის კუნძულებზე. თუკი ფრაზაში they are ნაცვალსახელიცა და ზმნაც სკანდინავიური წარმოშობისაა, ადვილი მისახვედრია თუ რა დოზით უნდა შემოჭრილიყო დამპყრობთა ენა ადგილობრივთა ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე კელტურ ენას საკმაოდ ძლიერი გავლენა უნდა მოეხდინა ძველ ინგლისურ ენაზე, ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით ამ გავლენის კვალი გარკვეულწილად დაიკარგა. ორი ხალხისა და მათი ენების ურთიერთობის ნიშნები მხოლოდ ადგილის (ქალაქების, მდინარეებისა და მთების) სახელებში შემორჩა.

მცირე ჯგუფია ყოველდღიური მოხმარების საგნებისა და რელიგიური შინა-არსის სიტყვებისა, რომელთა ძირშიც კელტური ელემენტია შემორჩენილი.

სკანდინავიურმა ენებმა, კელტურთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ინგლისურ ენაში. ადგილის სახელების გარდა სკანდინავიური საკუთარი სახელების მაწარმოებელი სუფიქსი დღესაც აქტიურია თანამედროვე ინგლისურ ენაში. ამას გარდა, რადგანაც თავდასხმა და ყაჩაღობა სკანდინავიელთა ყოველდღიურობას წარმოადგენდა, მაგრამ უცხო იყო ინგლისელებისათვის, ამ თემასთან დაკავშირებული სიტყვების სესხებაც

მოხდა. მოგვიანებით დენლოს გავლენით საკანონმდებლო და სოციალურ-ადმინისტრაციული შინაარსის სიტყვები ტალღასავით შემოიჭრა ბრიტანეთის კუნძულებზე. ყველა ეს სიტყვა, განსხვავებით კელტური ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან, რომლებიც მხოლოდ არსებითი სახელები იყო, სკანდინავიურიდან თავისუფლად ხდებოდა როგორც არსებითი სახელების, ასევე ზედსართავების, ზმნების, ზმნიზედების, წინდებულებისა და ნაცვალსახელების სესხებაც.

## თავი II

### 2. ბერძნული და ლათინური ძირის მქონე სიტყვების ინგლისურ ენაში შემოსვლის პერიოდები და ქრონოლოგია

ლათინური და ბერძნული ძირის მქონე ნასესხები სიტყვების ყველაზე ადრეული პერიოდიზაცია წარმოადგინა კემპბელმა *ძველი ინგლისური ენის გრამატიკაში* (Campbell,1959). ამ ქრონოლოგიას საფუძვლად დაედო ძველ ინგლისურ ენაში ლათინური სიტყვების შემოჭრის ქრონოლოგიური მოდელი, რომლის მიხედვითაც კემპბელი მხოლოდ ორ ჯგუფს გამოყოფს: 1. ლათინური ძირის მქონე სიტყვები, რომელთაც იგივე ბგერათა ცვლილებები განიცადეს რაც საკუთრივ ინგლისურმა სიტყვებმა და 2. სიტყვები, რომლებიც ინგლისურ ენაში ყოველგვარი ცვლილებების გარეშე შემოვიდნენ ან ამ ცვლილებებს მათ დამწერლობაზე (spelling) გავლენა არ მოუხდენია (Campbell,1959:493). კემპბელისეული პერიოდიზაცია ასევე გამოყოფს:

ა. ადრეული პერიოდის ნასესხები სიტყვებს, რომელთა სესხებაც მოხდა რომაულ პერიოდში და დაკავშირებულნი იყვნენ რომაულ ცივილიზაციასთან. ეს სიტყვები დღეს რეციპიენტ ენაში თითქმის სრულ ინტეგრაციას ამჟღავნებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ნასესხები სიტყვების გამოყენება ინგლისურ ენაში საკმაოდ ხშირი იყო.

ბ. ქრისტიანულ ნასესხებ სიტყვებს. ქრისტიანობამ VI საუკუნიდან მოყოლებული, შეიძლება ითქვას, ერთგვარი ექსტრალინგვისტური ქრონოლოგიური კრიტერიუმიც კი შექმნა ინგლისურ ენაში, რითაც გააერთიანა ქრისტიანული ნასესხები სიტყვები *terminus post quem* (Bammberg, Wollman: 1990, 399).

სხვა ავტორებისაგან განსხვავებით კემპბელი იმ სიტყვებს, რომელთა სესხებაც სხვადასხვა პერიოდებში მოხდა მაგრამ შინაარსით საეკლესიო ცხოვრებას უკავშირდება აერთიანებს ე.წ. ბერძნულ-ლათინურ სიტყვათა (Greco-Latin words) ჯგუფში. ესენია: *cirice, engel, messe, biscop* და სხვ.

გ. გვიანდელი პერიოდის ნასესხები სიტყვები, რომლებიც ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს და რომელთა სესხებაც მოხდა ქრისტიანული კულტურის გვიანდელ პერიოდში.

## 2.1. ლათინური ენის გავლენა ძველ ინგლისურზე.

XII-XIV საუკუნეების განათლებულ ინგლისელს სამი ენა უნდა სცოდნოდა: ფრანგული - მაღალი წრისა და სამეფო ხელისუფლების ენა, ინგლისური - ყოველდღიური ურთიერთობის ენა და ლათინური - სათანადო განათლების ენა. მრავალი სიტყვა, რომელთა სესხების პერიოდი წინარე-რენესანსულს მიეკუთვნება, ბიბლიის ინგლისურ თარგმანთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით კი უიკლიფის (Wycliffe) და ფურვეის (Purvey) XIV საუკუნის ვერსიებთან. ბიბლიის ძველი ინგლისური თარგმანები ლათინური რთული სიტყვების კომპონენტებს მშობლიური სიტყვებით ანაცვლებდა. მაგალითად: *mildreortnes* (mildheartness) ლათინური *misericordia* (mercy)-ს შესაბამისად; *ðrynnes* (three-ness) ლათინური *trinitas* (trinity)-ს შესაბამისად. ზოგიერთი ლათინიზმის ინგლისურში დამკვიდრება უიკლიფის (John Wycliffe, (1331-1384)) სახელს უკავშირდება. *generation, persecution* და *transmigration* პირველად მის თარგმანებში გვხვდება და შემდგომ დამკვიდრდა და გავრცელდა ინგლისურ ენაში (McKnight, 1923:111-113).

ადრეულ ახალ ინგლისურ პერიოდში ფრანგულიდან ნასესხები სიტყვები მრავლად იყო. მათ აშკარად ფრანგული ფორმა ჰქონდათ, მაგრამ მათი

რაოდენობა პირდაპირ ლათინური ენიდან ნასესხებ სიტყვებთან შედარებით მაინც მცირე იყო. ლათინურიდან ნასესხები სიტყვების ფრანგულად მიჩნევის ტენდენცია საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ ახალ პერიოდში ინგლისურმა უკუაგდო ეს პრაქტიკა და ლათინური ნასესხები სიტყვები ინგლისურ ენაში შეუცვლელი, ლათინური ფორმით შემოვიდნენ (Johnson, 1921: 63-87). მაგალითად affidavit, agenda, alibi, animal, bonus, deficit, exit, extra, fait, item, maximum, memento, memorandum, veto, via და ა.შ. მიუთითებს ნასესხებ მეტყველების ნაწილებსა და ფლექსიათა ფორმებში განსხვავებაზე.

გრინაუსა და კითრიჯის მიხედვით, ინგლისურ ენაში სიტყვათა მარაგის მეოთხედი არის ლათინური ძირის მქონე. გარდა ამისა ბევრი ლათინური სიტყვის მნიშვნელობა შეითავსა ინგლისურმა სიტყვამ (Greenough, Kittredge, 1901:45). ავტორები ლათინურ-ბერძნული ძირის მქონე სიტყვებს „წიგნურ სიტყვებს“ (learned words) უწოდებენ, ხოლო სხვა ძირის მქონეს (კერძოდ კი ფრანგული ძირისას) პოპულარულს. ნასესხები სიტყვების ამგვარად კლასიფიცირება ნაწილობრივ განსხვავდება ჩვენს მიერ აღწერილი პოგათჩერ-ფუნკესეული კლასიფიკაციისაგან.

ათასი ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვების ძირების შესწავლის შემდეგ ლინგვისტებმა (Lawrence, Itsu, 1932:154) დაადგინეს, რომ

ძველი ინგლისურის ძირის მქონეა	61.7%
ფრანგული	30.9%
ლათინური	2.9%
სკანდინავური	1.7%
შერეული	1.3%
გაურკვეველი	1.3%
ქვემო გერმანული და დანიური	0.3%

XVI საუკუნის შუა წლებიდან გაძლიერდა მოწოდებები „წიგნური სიტყვების“ გამოყენების წინააღმდეგ და თითქმის ერთი საუკუნე გაგრძელდა. ეს პერიოდი დაემთხვა საშუალო ინგლისურიდან თანამედროვე ინგლისურში გადასვლის პერიოდს. ამავდროულად, ინგლისურმა ენამ მეცნიერებისა და განათლების სფეროში უპირატესობა ლათინურ ენას მიანიჭა და ამით ხელი შეუწყო ფრანგული ენის სრულად განდევნას. სიტყვების სესხება კლასიკური

ენებიდან ხშირად გაუცნობიერებლად ხდებოდა. კრიტიკოსები კი ასეთ სიტყვებს უსარგებლოდ მიიჩნევდნენ რადგან მათ გასაგებად ლათინურისა და ბერძნულის ცოდნა იყო საჭირო. მათი მტკიცებით ინგლისურ ენაშიც მოიძებნებოდა სიტყვები ნასესხები სიტყვების მსგავსი მნიშვნელობებით. ზოგიერთი სიტყვა მართლაც ავსებს სემანტიკურ სიცარიელეს ინგლისურ ენაში (ძირითადად სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროებში), ნაწილმა კი მსგავსი ან იგივე მნიშვნელობით იარსება მშობლიურ (გერმანიკული ძირის მქონე) სიტყვასთან ერთად და ხშირ შემთხვევაში ჩაენაცვლა მათ. ტერმინი „წიგნური სიტყვა“ ენათმეცნიერებაში დაახლოებით 1553 წელს გამოჩნდა. „წიგნური სიტყვების“ (inkhorn terms ან inkhornism-ების<sup>5</sup>) წინააღმდეგია თვით შექსპირიც “Love's Labor's Lost”-ში (ოლოფერნეს სატირა). ლათინური ენიდან ისეთი დავალებული მწერლისგან, როგორიც სერ ტომას ბრაუნი (Sir Thomas Browne) იყო, გასაკვირია სიტყვები: „თუკი მედიდურობა კვლავ გაგრძელდება... მოგვიწვეს ლათინურის სწავლა ინგლისურის გასაგებად” (Robertson, Cassidy, 1954:154).

მრავალი „წიგნური სიტყვა“ შემოინახა ინგლისურმა ენამ, რომლებიც დღეს ფართოდ გამოიყენება. მაგალითად: dismiss, celebrate, encyclopedia, commit, capacity, ingenious. სავარაუდოდ, მრავალი სიტყვა პირველივე გამოყენებისთანავე დაიკარგა. ხშირი იყო მცდელობა ძველი ინგლისური სიტყვის აღდგენისა, უცხოური გავლენის ტალღის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად: gleeman-musician-ის, sicker-certainly-ის, inwit-conscience-ის, yblent-confused-ის მნიშვნელობებით; ან ხდებოდა ახალი სიტყვის შექმნა გერმანიკული ძირებიდან, მაგალითად: endsay-conclusion, yeartide-anniversary, foresayer-prophet.

ნასესხები სიტყვების დამკვიდრება უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. სიტყვათა სესხების მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ არსებული ლექსიკონი ცხოვრების ყველა მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებდა და არ იყო საჭირო ახალი სიტყვების სესხება სხვა ენებიდან. ამის ნათელი მაგალითია სერ ჯონ ჩეკეს (Sir John Cheke) წმინდა ანგლო-საქსური ვერსია ახალი აღთქმის ნაწილისა (Robertson, Cassidy, 1954:154). მშობლიურისა და უცხოური-ნასესხები

<sup>5</sup> inkhorn terms/words- “წიგნური/ძველად გასაგები სიტყვებია. მეცნიერისა და მწერლის აუცილებელმა ნივთმა - რქის სამელნემ, ზედმეტად პედანტი მწერლისთვის მეტაფორული მნიშვნელობა შეიძინა.

სიტყვების ბრძოლა დასრულდა იმით, რომ მშობლიური სიტყვები ყველა ინგლისურად მოსაუბრის საერთო საფუძველს წარმოადგენდა, ხოლო უცხო სიტყვებს ისევ განათლებულობისა და ცივილურობის ელფერი დაჰკრავდა. იასპერსენი ამ ფაქტის დასამტკიცებლად handbook-ის მაგალითს მოიშველიებს; ძველი ინგლისური სიტყვა handbōc საშუალო ინგლისურ პერიოდში დაიკარგა და მისი ადგილი დაიკავა ლათინურ-ფრანგულმა სიტყვამ manual. ხოლო XVI საუკუნეში ბერძნული ფორმა enchiridion შემოვიდა. როდესაც handbook ხელახლა შემოვიდა ინგლისურში XIX საუკუნეში, იგი განიხილებოდა როგორც უადგილო ნეოლოგიზმი, რადგანაც „ხალხი ისე იყო უკვე მიჩვეული და ამჯობინებდა უცნაური და ეგზოტიკური სიტყვების გამოყენებას” (Jaspersen, 1990:49-50). მიუხედავად იმისა, რომ handbook-ის მნიშვნელობა თავიდანვე გასაგები იყო ყველასთვის, ხოლო manual მხოლოდ შეიცავდა წიგნის ცნებას, იგი მაინც გვიან შევიდა აქტიურ ლექსიკონში. მსგავსი შემთხვევაა foreword და preface-ის მაგალითი. ჰილარი ბელოკი ასე განმარტავს მათ შორის განსხვავებას: ანგლო-საქსი უწოდებს foreword-ს, ხოლო ჯენტლმენი preface (Belloc, 1915:78). თუმცა ამ მაგალითს არ შეუძლია ინგლისური ენის ან ლათინურ-ინგლისური ენების ურთიერთობების შესახებ რაიმე საფუძვლიანი განმარტების მოცემა.

ლათინური ენა არ ყოფილა დამპყობი ხალხის ენა. ეს იყო უმაღლესი ცივილიზაციის ენა, რომლისგანაც ანგლო-საქსებმა ბევრი ისწავლეს. კონტაქტი რომაულ ცივილიზაციასთან თავდაპირველად კომერციული და სამხედრო ურთიერთობებით შემოიფარგლებოდა, ხოლო მოგვიანებით რელიგიური და საგანმანათლებლო ხასიათი შეიძინა. ეს ურთიერთობები ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე და მუდმივად ახლდებოდა. ბრიტანეთის კუნძულების მცხოვრებთა ურთიერთობა რომაელებთან დაიწყო დიდი ხნით ადრე ვიდრე ანგლო-საქსები მოვიდოდნენ კუნძულებზე და გრძელდებოდა მთელი ძველი ინგლისურის განმავლობაში. ასეული წლების განმავლობაში გერმანიკული ტომები, რომლებიც ინგლისელები (ბრიტანეთის კუნძულების მცხოვრებნი) გახდნენ, მაინც ინარჩუნებდნენ კონტაქტს თავიანთ კონტინენტელ ნათესავებთან და ამდენად, მრავალი ლათინური სიტყვის მიმოცვლა ხდებოდა. საუკუნე ნახევრის შემდეგ კი როდესაც რომაელმა მისიონერებმა

ხელახლა შემოიტანეს ქრისტიანობა კუნძულზე ლათინური ელემენტი ინტენსიურად შემოვიდა ენაში. ასე რომ ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვები მრავლად მოიძებნებოდა ინგლისურ ენაში, ამიტომ საინტერესოა ნასესხობის ხასიათისა და გავრცელების მიმოხილვა.

როგორც წესი, სესხება ორი გზით ხდება, ზეპირსიტყვიერებით და წერილობითი საშუალებებით. ზეპირსიტყვიერებით სესხება ისტორიის ადრეულ პერიოდებს უკავშირდება, ხოლო წერილობითი გზით ნასესხობებისათვის წყაროს უკვე წერილობითი ძეგლები წარმოადგენენ. ზეპირსიტყვიერებით ნასესხებმა სიტყვებმა, რომლებიც ჩვეულებრივ მარტივი ერთმარცვლიანი სიტყვებია, მრავალი ცვლილება განიცადეს ასიმილაციის პროცესში (L.< inch, mill, street). წერილობითი გზით ნასესხებ სიტყვებს კი ძირითადად შენარჩუნებული აქვთ თავიანთი დამწერლობა (Fr.< communoque, belles-lettres). ისინი მრავალმარცვლიან სიტყვათა ჯგუფს მიეკუთვნებიან და ამიტომ მათი ასიმილაციის პროცესი რთული, ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ რეციპიენტ ენაში ნასესხები სიტყვები ამ ენისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს განიცდიდნენ ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც ინარჩუნებდნენ თავიანთ თავისებურებებს, რითაც მათი უცხოური წარმომავლობა ვლინდება. ნასესხები სიტყვა სხვადასხვა სახისაა და ასევე განსხვავებულია მათი მნიშვნელობაც. ყველაზე გამართლებულად ითვლება სალიტერატურო სიტყვების სესხება. თუკი მოცემული სიტყვა ხშირად გვხვდება ბეოვულფსა და კინეველფთან, მეტყველებს იმაზე, რომ ამ სიტყვას ენაში შემოსვლის შემდეგ საკმაოდ დრო დასჭირდებოდა იმისათვის, რომ დამკვიდრებულიყო სალაპარაკო ენაში და შემდეგ წერილობით ძეგლშიც მოეპოვებინა ადგილი. ე.ი. ეს სიტყვა ინგლისურ ენას უნდა ესესხა ადრეული ქრისტიანობის პერიოდში. მაგრამ ასეთი გამოკვლევა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვთქვათ ეს სიტყვა ნაცნობი იყო ენისათვის ადრეულ ქრისტიანობამდე თუ არა, რადგანაც ყველაზე ადრინდელი წერილობითი ძეგლი ინგლისურად თარიღდება 700 წლით. უფრო ადრეული გამოჩენა ენაში კი არ მიუთითებს მის უფრო ადრეულ სესხებაზე. შესაძლებელია სიტყვა არ იყო ხშირად გამოყენებული ლიტერატურულ

ტექსტში და რადგანაც უმრავლესობა ძვ. ინგლისური წერილობითი ძეგლები-სა დაკარგულია, ამიტომ საეჭვოა ვიმსჯელოთ ამ სიტყვის არსებობაზე შემორჩენილი წყაროების საფუძველზე. ზოგიერთი სიტყვა, რომელიც მეთუ საუკუნეზე ადრე არის დაფიქსირებული შეიძლება მივაკუთვნოთ კონტინენტური ნასესხობის პერიოდს. მაგალითად: pipe „ჩიბუხი“,cheese„ყველი“.

ზოგჯერ თვით სიტყვა იძლევა გარკვეულ მინიშნებას მისი სესხების თარიღზე. ზოგიერთი სიტყვა ენაში დამკვიდრდა მაშინ როცა ეკლესიამ კარგად მოიკიდა ფეხი ბრიტანეთის კუნძულებზე. მეორე მხრივ კი სიტყვის უფრო ადრეული გამოჩენა ზოგიერთ გერმანიკულ ენასა თუ დიალექტში მიუთითებს ამ სიტყვის საყოველთაო გამოყენებაზე მთელ გერმანიკულ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ კონტინენტზე. მთელი რიგი სიტყვებისა, რომლებიც დამკვიდრდა ძველ ინგლისურსა და ძველ ზემო გერმანულში შესაძლებელია ნასესხები იყო ანგლო-საქსების მიერ ბრიტანეთში მიგრაციამდე. უდავოა, რომ copper თუმცა იშვიათად გამოიყენებოდა ძველ ინგლისურში, ნასესხები იყო ჯერ კიდევ კონტინენტზე, რადგანაც სპილენძი მსგავსი ფორმით სულ მცირე 6 გერმანიკულ ენაში მაინც გვხვდება.

სიტყვის სესხების თარიღის დადგენისას გარკვეულ მინიშნებას სიტყვის ფონეტიკური ფორმაც იძლევა. ის ბგერითი ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობდა ენაში შეიძლება განისაზღვროს გარკვეული სიზუსტით; ამიტომ ასეთი ცვლილებების არსებობა ან არ არსებობა ნასესხებ სიტყვაში თავისთავად იძლევა მინიშნებას სესხების პერიოდზე. ამის ნათელი მაგალითია ძველი ინგლისური i-უმლაუტი, ფონეტიკური ცვლილება, რომელიც გარკვეულმა მახვილიანმა ხმოვნებმა და დიფთონგებმა (æ, ā, ō, ū, ēa, ēo, īō) განიცადეს როდესაც მათ მომდევნო მარცვალში i ან j მოსდევდა. i-უმლაუტი დასტურდება სხვადასხვა გერმანიკულ ენებში გარდა გოთურისა. ასეთი თანმიმდევრობით æ და a გადავიდა e-ში, ხოლო o > e-ში, a გადავიდა æ-ში, ხოლო u > y-ში, რაც შეეხება დიფთონგებს ea > eo, io > ie, ხოლო მოგვიანებით i, y-ში. ასე რომ bankiz > benc (bench), musiz > mys (მრ.რ. mus), fōtiz > fēt (foot-feet) და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში უმლაუტის გამომწვევი ხმოვნები i- და j- ძველ ინგლისურ სუფიქსებსა და დაბოლოებაში დაიკარგა და არსებული განსხვავება არსებითი სახელის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებში



მიუთითებს ოდესღაც არსებული მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსის iz-ის არსებობაზე. ინგლისურმა ხმოვნებმა ეს ცვლილება განიცადეს მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებში და თუკი ჩანს რომ სიტყვაში მომხდარია ასეთი ცვლილება შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროისათვის სიტყვა ლათინურიდან უკვე შესული იყო ინგლისური ენის ლექსიკონში. ასე რომ ლათინური moneta > OE. munit > mynet (a coin. Mod. E. mint) ადრეულ სესხებაზე მიუთითებს. i-უმლაუტზე უფრო ადრეული ცვლილებაა პალატალური დიფთონგიზაცია, რომელიც ასევე გვეხმარება სესხების თარიღის დადგენაში. ბგერის ცვლილებამ გამოიწვია ð და ðბგერების გადასვლა დიფთონგებში ēa და ĩe თუკი მათ პალატალური თანხმოვანი c, g, sc მოსდევდათ. მაგალითად, OE. ciese > (L. caseus, cheese) გვიჩვენებს, რომ ამ სიტყვაში ადგილი ჰქონდა i-უმლაუტსაც და პალატალურ დიფთონგიზაციასაც (cāseus > cæsi > cēasi > ciese). ლათინური ნასესხები სიტყვების ინგლისურ ენაში გადასვლის თარიღის განსაზღვრაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური ლათინურის ბგერათა ცვლილებებსაც. მაგალითად, ინტერვოკალური p (pr კომბინაციაში) ჩრდ. გალიის გვიან ლათინურში (VII საუკუნე) განიცდიდა მოდიფიკაციას და უახლოვდებოდა v-ს, და აქედანაა ლათინური cuprum, coprum (copper). ძველ ინგლისურში სიტყვა გვხვდება ფორმით - copor, სადაც p უცვლელია და მიუთითებს, რომ სიტყვის სესხება მოხდა p > v გადასვლაზე უფრო ადრეულ პერიოდში, (F. cuivre). ლათინური i-ს გადასვლა ძველ ინგლისურში მიუთითებს ჩვ.წ.ად-ით ~ 400 წელს. ამიტომ, რომ OE biscop (<L. episcopus), disc (<L. discus), sigel (<L. sigillum) და სხვ. არ მიუთითებს ამ ცვლილებაზე და ადასტურებს რომ სიტყვა ნასესხები იქნა ჯერ კიდევ კონტინენტზე.

ბერძნული დიგრაფების ერთგვარი გამარტივება მოხდა ასიმილირების პროცესში. ინგლისური სიტყვებისათვის ბგერები (pn), (ps), (pt) სიტყვის ბოლოში ჩვეულებრივ გამოითქმებოდა (sleeps, stopped), ხოლო სიტყვის დასაწყისში არასდროს იწერებოდა და გამოითქმებოდა, ამიტომ ისინი მარტივი ბგერებით (n), (s), (t) გამოითქმებოდნენ სიტყვებში pneumatics, psychology, ptolomey.

სიტყვის სესხების პერიოდის დადგენისას უნდა გავითვალისწინოთ ლათინური სიტყვის გავრცელება ძველი ინგლისურის სხვადასხვა პერიოდებში

და ის ფონეტიკური ცვლილებები, რომლებსაც შეეძლოთ შესამჩნევი და მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინათ ამ სიტყვაზე.

**2.1. 1. კონტინენტური ნასესხობა.** (ლათინურის გავლენა ნულოვან პერიოდში). პირველი ლათინური სიტყვები, რომლებიც ინგლისურმა ენამ ისესხა იყო ის სიტყვები, რომლებიც გერმანიკულმა ტომებმა რომაელებთან ურთიერთობისას შეითვისეს ჯერ კიდევ კონტინენტზე. რამდენიმე ასეული ლათინური სიტყვა, რომელიც ადრეულ ხანაში გერმანიკულ დიალექტში მოიპოვებოდა ამტკიცებს ამ ორი ხალხის მჭიდრო ურთიერთობას და ურთიერთგავლენას. კემპბელი ასეთ სიტყვებს „ინსულარულ ნასესხებ სიტყვებს“ (insular loan-words) უწოდებს. რომის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ გერმანელთა რაოდენობა IV საუკუნისათვის რამდენიმე მილიონს აღწევდა. ისინი იყვნენ საზოგადოების ყველა ფენაში, მონებიდან დაწყებული რომაული არმიის მეთაურებით დამთავრებული. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მოძრაობდნენ, ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლებები მაინც ჩრდილოეთ საზღვართან იყო. მდინარეები რაინი და დუნაი საზღვრავდნენ გერმანიკული მოდგმის ხალხთა მიერ დასახლებულ ტერიტორიას. საზღვართან ახლოს იყო ქალაქი ტრევის (Treves), III-IV საუკუნეების გალიის ყველაზე განვითარებული ქალაქი, სადაც აქტიურად მოღვაწეობდა ქრისტიანული ეკლესია და რომელიც მდებარეობდა 8 სამხედრო გზის გადაკვეთაზე. გერმანელი, ისევე როგორც რომაელი ვაჭრები იმპერიის საზღვრებში გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, მოსახლეობაც უკეთესი სამუშაოს ან საცხოვრებლის ძებნაში გადაადგილდებოდა, თან კი გადაჰქონდათ ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ორი ხალხის ასეთი ურთიერთკავშირი უდავოა რომ ენებშიც სიტყვათა შეღწევას გამოიწვევდა.

რომაელთა სამხედრო ოპერაციები ხშირად აღწევდა ტერიტორიებს, სადაც ანგლები ან იუტები ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რაც იულიუს კეისარმა დაიპყრო გალია, რომაელმა ვაჭრებმა გააფართოვეს თავიანთი სავაჭრო არეალი და სკანდინავიასაც მიაღწიეს. ტვეტონებიც არ იყვნენ მოკლებულნი რომაელთა გავლენას. არც გერმანიკულ ტომთა შორის იყო შიდა ურთიერთობები იშვიათი და ადვილი შესაძლებელი იყო ლათინური სიტყვების

გადასვლა ერთი ტომიდან მეორეში. დაახლოებით 50 სიტყვა შეიძლება დათარიღდეს კონტინენტური სესხების პერიოდით.

ნასესხები სიტყვები მიუთითებდნენ ახალ ცნებებზე, რომლებიც ტევტონებმა შეიძინეს უმაღლეს ცივილიზაციასთან კონტაქტის წყალობით. სოფლის მეურნეობის შემდეგ გერმანელთათვის მთავარ საქმიანობას ომების წარმოება წარმოადგენდა. ამიტომ ამ სფეროდან უამრავი სიტყვაა შემოსული ინგლისურში. მაგალითად: camp (battle), pil (stick, javelin), weall (wall), pytt (pit), strat (road, street), mil (mile), miltestre (courtesan). უფრო მეტი სიტყვაა შემოსული ვაჭრობის სფეროდან. ტევტონები ვაჭრობდნენ ქარვით, ბეწვეულით, მონებით და სავარაუდოდ იმ ნედლეულით, რომელსაც რომაელები იყენებდნენ კუსტარული წარმოებისათვის, საყოფაცხოვრებო იარაღებისათვის, ფუფუნების საგნებისა და სამკაულებისათვის. სიტყვები ceap (bargain; E. cheap, chapman) mangian (to trade), mangere (monger) და მათგან ნაწარმოები mangung (trade, commerce), mangung-hus (shop) pund (pound), mydd (bushel), seam (burden, loan), mynet (coin) გამოიყენებოდა ვაჭრობისას. Mynet-იდან წარმოიშვა mynetiam (to mint or coin) და mynetere (money charger). რომაელთა ვაჭრობაში დიდი ადგილი ეკავა ტევტონებთან ღვინით ვაჭრობას. სწორედ აქედანაა სიტყვები win (wine), must (new wine), eced (vinegar) და flasce (flask, bottle). ამავე პერიოდის სესხებას უნდა მივაკუთვნოთ სიტყვები: cylle (L. culleus, bottle) cyrfette (L. curcurbita, gourd), sester (jur, pitcher). მრავალი სიტყვის სესხება სოფლის ცხოვრებას, საყოფაცხოვრებო იარაღებსა და ხელსაწყოებს, ტანსაცმელს უკავშირდება: cytel (>L. catillus, catinus, kettle), mese (table), scamol (>L. scamellum, bench, stool. ModE. shambles), teped (>L. tapetum carpet, curtain), pyle (>L. pulvinus, pillow), pilece (>L. pellicia, robe of skin), sigel (>L. sigillum, brooch, necklace), cycene (L.coquina,kitchen), cuppe (> L. cuppa, cup), disc (>L. discus, dish), cucler (>L. coclearium, spoon), mortere (>L. mortarium, a mortar, a vessel of hard material), linen (>L. linium,flax) line (>L. linea, rope, line), gimm (>L. gemma, gem). ტევტონებმა რომაელებისაგან საკვების სახელებიც ისესხეს: ciese (>L. caseus, cheese), spelt (wheat), pipor (pepper), senep (>L. sinapi, mustard), popig (poppy), cisten (>L. castanea, chestnut tree), cires (beam) (>L. butyrum,cherry tree), yne (leac) (>L. unio, union), plume (plum), pise (>L. pisum, pea), minte (>L. menthe, mint).

რომაელთა გამოცდილებას არც სამშენებლო საქმეში ჩაუვლია უკვალოდ. Cealk (chalk), copor (copper), pic (pitch), tigele (tile) ამ სფეროდანაა. ამავე პერიოდს შეიძლება მივაკუთნოთ mūl (mule), draca (dragon), pawa (peacock), ზედსართავები: sīcor (L. securus, safe), calu (>L. calvuus. Bald) segne (seine), pipe (pipe), cirice (church), biscop (bishop), cāsere (emperor), Sæternesdæg (Saturday).

**2.1. 2. ლათინური კელტური გადასახლებისას.** (ლათინური ენის გავლენის პირველი პერიოდი). კელტურმა ენამ მეტნაკლებად შეზღუდა ლათინური ენის გავლენა, რომელიც დაპყრობისას გავრცელდა. რომაელთა მმართველობას ბრიტანეთში, მოსახლეობის რომანიზაციას, მათ მიერ ლათინურის შეთვისებას უნდა მოჰყოლოდა მრავალი სიტყვის გადასვლა ინგლისურში. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა შემორჩენილი თანამედროვე ინგლისურში, რომლებიც ადგილის სახელებს აღნიშნავენ და შეიძლება მათი ძირის მოძებნა ლათინურ ენაში. სავარაუდოდ, ლათინური ენა როგორც საკომუნიკაციო საშუალება დიდხანს ვერ შენარჩუნდებოდა ბრიტანეთის კუნძულებზე რომაელთა მმართველობის გაუქმების შემდეგ. ხოლო ნაშთები ამ მმართველობისა თანდათანობით გაქრა იმ არეულობისას, რომელიც გერმანიკელ ტომთა შემოსევებს ახლდა თან. დაიკარგა პირდაპირი კავშირიც ლათინურ ენასთან. მაგრამ ის ლათინური სიტყვები, რომლებიც ნასესხები იყო ძველი ინგლისურის მიერ თავისუფლად გადავიდნენ კელტურშიც. კელტებმა დაახლოებით ექვსასი ლათინური სიტყვა შეითვისეს ინგლისელებისაგან. იმ მცირერიცხოვან სიტყვათაგან, რომლებიც ანგლო-საქსებმა ინგლისში დასახლების შემდეგ გადაიტანეს არის სიტყვა ceaster. ძირითადად კელტურმა ენამ შეითვისა ის სიტყვები, რომელთა შესატყვისებიც თვითონ ენაში არ იყო. რაც შეეხება ceaster, მომდინარეობს ლათინური castra-dan (camp) და ნიშნავს ქალაქს ან დასახლებას. მას ადგილის სახელებში მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია, Chester, Colchester, Dorchester, Manchester, Winchester, Lancaster, Doncaster, Gloucester, Worcester და ა.შ. მათგან ზოგიერთი უშუალოდ რომაულ ქალაქს ან დასახლებას წარმოადგენდა, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა დასახელებას არ შეიძლებოდა ჰქონოდა აღნიშნული ელემენტი. ინგლისური ენა ამ ელემენტს თავისუფლად მიუერთებდა ნებისმიერი დასახლებული

პუნქტის სახელს, ზოგიერთ მათგანს კი რომაელთა მმართველობის დროს სრულიად სხვა სახელები შეიძლება რქმეოდათ. ზოგიერთი სხვა სიტყვა ამა თუ იმ მიზეზის გამო მიეკუთვნება იგივე პერიოდს. მაგალითად, port (>L. portus, porta-harbour, town, gate), munt (> mōns, montem-mountain), torr (>L. turris-tower, rock), wic (>L. vicus- village). ეს სიტყვებიც იხმარებოდა ადგილის სახელების შემადგენელ ელემენტად. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ლათინური სიტყვა, რომელიც ტევტონებმა ჯერ კიდევ კონტინენტზე ისესხეს დაიკარგა ენიდან იმიტომ, რომ ამ სიტყვების ანალოგი სიტყვები მოიძებნებოდა თვით კელტურშიც. პირველი პერიოდის ლათინური ენის გავლენას ძალიან მცირე ნაშთები შემორჩა იმისა, რომ ძველ ინგლისურ ენას ოდესღაც კონტაქტი ჰქონდა რომაულ ცივილიზაციასთან .

**2. 1. 3. ლათინური ენის გავლენის მეორე პერიოდი. ბრიტანეთის გააქრისტიანება.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლათინურმა ენამ ძველ ინგლისურზე უდიდესი გავლენა მოახდინა ბრიტანეთის გააქრისტიანების შემდეგ. ეს მოხდა 597 წელს. ახალი რწმენა უცხო იყო კუნძულის მოსახლეობისათვის, მაგრამ ეს თარიღი მიანიშნებს იმაზე, რომ აქედან დაიწყო რომაელთა აქტიური მცდელობა მოექციათ კუნძულების მოსახლეობა და გაეხადათ ბრიტანეთი ქრისტიანულ პროვინციად. ბედა პატივდებული მოგვითხრობს, რომ წმ. ავგუსტინეს (St. Augustine) მისიამ ხორცი შეასხა პაპი გრიგორი დიდის (St. Gregory I/ Gregory the Great) სურვილს. მატინე ადასტურებს, რომ გრიგორის თვითონ სურდა ამ მისიის ხელმძღვანელობა, ხოლო პაპად არჩევის შემდეგ ეძებდა ისეთ საიმედო პიროვნებას, ვინც განახორციელებდა ამ მისიას. ასეთად აღმოჩნდა წმ. ავგუსტინე, რომელთანაც ერთად იგი მოღვაწეობდა მონასტერში და სრულად ენდობოდა მას. ასე რომ, 40 ბერის თანხლებით ავგუსტინე გაემართა იმ ქვეყნისაკენ რომელიც, მაშინდელი გაგებით, ქვეყნის დასაღლიერს იყო.

ადვილი არაა წარმოვიდგინოთ იმ დავალების სირთულე, რომელიც ამ მცირერიცხოვან მისიას დაეკისრა. მათი პრობლემა იყო არა მარტო ერთი რელიგიური რიტუალის შეცვლა მეორეთი, არამედ ხალხისათვის აზროვნების შეცვლაც. რელიგია, რომელსაც ანგლო-საქსები და სხვა გერმანიკული

ტომები ქადაგებდნენ ზღუდავდა ხალხის აზროვნებას მეექვსე საუკუნის დასასრულს, მათი ზნე-ჩვეულებები, აზროვნება, იდეალები შორს იდგნენ იმ სწავლებისაგან, რასაც ახალი აღთქმა ქადაგებდა. გერმანიკული ფილოსოფია ამალვებდა ფიზიკურ მამაცობას, დამოუკიდებლობას, ოჯახისა და ბელადის პატივისცემას. ქრისტიანობა კი ქადაგებდა თავმდაბლობას, ტანჯვის მოთმენას, პატიებასა და მიმტვევებლობას. ავგუსტინესა და მის მიმდევრებს შეიძლება წინააღმდეგობაც შეხვედროდათ ინგლისის მცხოვრებთაგან, მაგრამ მათ ჩამოსვლას კუნძულებზე ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ. მათ კენტის სამეფოში, სადაც ისინი ჩავიდნენ პირველად, დახვდათ ქრისტიანეთა მცირე ჯგუფი, მათ შორის იყო თვით კენტის დედოფალიც, კენტის მეფე ეთელბერტის (Æthelbert of Kent) მეუღლე – ბერტა ფრანკი (Bertha of Kent). იგი ეთელბერტს მიათხოვეს იმ პირობით, რომ ხელს არ შეუშლიდა დედოფლის ქრისტიანულ რწმენას. ეთელბერტმა ააშენა პატარა ეკლესია სასახლესთან, სადაც ფრანკიდან წამოყოლილი მღვდელი ასრულებდა წირვას ბერტასა და მისი თანმხლები ქრისტიანებისათვის. ასე რომ, ავგუსტინე და მისი თანმხლებნი ეთელბერტის სტუმრები აღმოჩნდნენ. სამ თვეში კი თვით მეფეც მოინათლა და ამით მაგალითი მისცა თავის ქვეშევრდომთ. როდესაც ავგუსტინე გარდაიცვალა, ბრიტანეთში მოსვლიდან მეშვიდე წელს, კენტის მთელი მოსახლეობა ქრისტიანი იყო. დანარჩენი ინგლისის გაქრისტიანება ნელ-ნელა მიმდინარეობდა. 635 წელს, აიდანმა (St. Aidan), შოტლანდიელმა ბერმა ითავა ნორთუმბრიის გაქრისტიანება და ოცწლიანი ქადაგების წყალობით შეძლო ამ მხარის მცხოვრებთა მოქცევა. თუმცა იყო შემთხვევები, როცა გაქრისტიანებული ინგლისელები ისევ წარმართობას უბრუნდებოდნენ. მიუხედავად ასეთი ფაქტებისა, წმ. ავგუსტინეს მისიის დაწყებიდან ერთი საუკუნის შემდეგ მთელი მაშინდელი ინგლისი ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი იყო.

**2. 1. 4. ქრისტიანობის გავლენა ინგლისურ ცივილიზაციაზე.** ქრისტიანობის გავრცელება ბრიტანეთის კუნძულებზე ნიშნავდა ახალი ეკლესიამონასტრების მშენებლობას. ლათინური ენა კი როგორც ეკლესიისა და განათლების ენა კვლავ მოედო ინგლისს. სკოლები დაარსდა თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერთან. საგანმანათლებლო მოძრაობის დაწყება 669 წელს,

უკავშირდება ბერძენი ეპისკოპოსის თეოდორე ტარსიელის (Theodore of Tarsus) სახელს, რომელიც მოგვიანებით კენტერბერის არქიეპისკოპოსი გახდა. იგი და მისი თანმხლები მღვდელი ადრიანე (Adrian of Canterbury) ასწავლიდნენ ბერძნულ და ლათინურ ენებს, საღვთო წიგნს, პოეზიის ხელოვნებას, ასტრონომიას და არითმეტიკას. შემდგომ წლებში სხვა ეკლესიის მამებიც ჩაერთვნენ ამ ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში და მას შემდეგ მხოლოდ ეკლესიაში არ ხდებოდა ხელნაწერების გადაწერა, ხატების დაწერა თუ მოქარგვა და საეკლესიო მუსიკის შექმნა. ეკლესია თვითონ ამუშავებდა თავის მიწებს განახლებული სასოფლო-სამეურნეო მეთოდებით და იქცა რომაული ცივილიზაციის გამტარებელ საკმაოდ ძლიერ და გავლენიან ინსტიტუტად ინგლისის ცხოვრებაში. ამ გავლენის ნიშნები კი კარგად შემოინახა ინგლისური ენის ლექსიკონმა.

ქრისტიანობის გავრცელებიდან (597) ძველი ინგლისური პერიოდის დასასრულამდე, თითქმის მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში, ლათინურმა სიტყვებმა გზა გაიკვალეს და ადგილი დაიმკვიდრეს ინგლისურ ენაში. მეორე პერიოდის ლათინური სიტყვები თავიანთი ფონეტიკური ფორმითაც შეიძლება დავეყთ ადრეულ და გვიანი პერიოდის ნასესხებ სიტყვებად. ადრეული პერიოდის ნასესხები სიტყვების გადმოსვლა ენაში ქრისტიანობის ადრეულ ხანაში მოხდა მეფე ალფრედის მეფობას უკავშირდება; ხოლო გვიანი პერიოდის სიტყვები უფრო წიგნური ხასიათისაა და პირველად ენაში X-XI საუკუნეებში გამოჩნდნენ და ბენედიქტიანელთა რეფორმების შემდგომ საეკლესიო აღორძინებას უკავშირდება. ამდენად, მათი განხილვა, როგორც ცალკე ჯგუფებისა უფრო მართებული იქნება.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდის პირველი სიტყვები, რომლებიც ინგლისურმა ენამ ისესხა ლათინური ენიდან საეკლესიო ტერმინებისა თუ ცნებების აღმნიშვნელნი იყვნენ. ესენია: abbot, alms, altar, angel, anthem, ark, candle, chalice, cleric, cowl, deacon, disciple, epistle, hymn, litany, manna, martyr, mass, minster, noon, nun, offer, organ, pall, palm, pope, priest, provost, psalm, psalter, relic, shift, shrine, shrive, stle, subdeacon, synod, temple tunic. ესაა არასრული სია ამ პერიოდში ნასესხები სიტყვებისა, მრავალი მათგანი წლების განმავლობაში საერთოდ დაიკარგა, ზოგიერთი ენამ ისევ ისესხა იგივე, მცირედ მოდიფიცირებული ან ახალი

მნიშვნელობით. საეკლესიო მნიშვნელობის სიტყვების გარდა ენამ ისესხა საოჯახო ნივთების, ტანსაცმლის სახელები: cap, sock, silk, purple, chest, mat, sack, beet, caul (cabbage), lentil(O.E. lent), millet (O.E. mil), pear, radish, doe, oyster (OE. ostre), lobster, mussel, cook, box, pine, aloes, balsam, fennel, hyssop, lily, mallow, marshmallow, myrrh, rue, savory (O.E. sǣperige), plant. მთელი რიგი ნასესხები სიტყვებისა კი უკვალოდ გაქრა ენიდან.

ბენედიქტიანელთა რეფორმის შემდეგ ლათინური სიტყვების ახალი ტალღა შემოიჭრა ინგლისურ ენაში. ეს სიტყვები იმით განსხვავდებოდნენ ადრეული პერიოდის ნასესხები ქრისტიანული მნიშვნელობის სიტყვებისაგან, რომ ისინი გამოხატავდნენ ნაკლებად პოპულარულ სიტყვებს ან სამეცნიერო ხასიათის შედარებით ხშირად გამოყენებულ ტერმინებს. ასეთი სიტყვები ხშირადაა ელფრიკის (Ælfric of Eynsham) ნაშრომებში და აღნიშნავენ თეოლოგიურ თუ პედაგოგიურ ტერმინებს. მაგალითად: alb, antichrist, antiphone, apostle, canticle, cantor, cell, chrism, claster, collect, creed, dalmatic, demon, dirge, font, idol, nocturn, prime, prophet, Sabbath, synagogue, troper.

ამ პერიოდის სიტყვებში ისევ საეკლესიო, ლიტერატურული და “წიგნური” სიტყვების სესხება სჭარბობდა. Accent, brief, (როგორც ზმნა), decline (როგორც გრამატიკული ტერმინი), history, paper, pumice, quatern, term (inus), title. ასევე მცენარეთა სახელები: celandine, centaury, coriander, cucumber, ginger, hellebore, lovage, perivinkle, petersili, verbena, cedar, circuladi (shingles), paralysis, scrofula, plaster, ცხოველთა სახელები: aspide (viper), camel, lamprey, scorpion, tiger. “საეკლესიო ლათინური” (Curch Latin), როგორც მას კემპბელი (Campbell, 1994: 243) უწოდებს არ იყო კლასიკური ლათინური. ეს იყო ხალხური ლათინურის თავისუფალი ვარიანტი. მოგვიანებით საეკლესიო და კლასიკური ლათინურის ვარიანტების დამთხვევა მეტ-ნაკლებად წარმატებით კაროლონგული რეფორმების შედეგად მოხდა.

ამ პერიოდში ნასესხები სიტყვების ჯგუფს ემატება ის სიტყვები, რომლებიც ყოველგვარი ასიმილაციის და ფონეტიკური ცვლილებების გარეშე, ისევ უცხო ფორმით გადმოვიდნენ ინგლისურ ენაში. ესენია: epactas, corporate, confessors, columba, columne, cathedra, catacumbas, apostate, apocalipsin, acolitus, absolutionem, invitatorium, unguentum, cristalla, cometa, bissexta, bibliotheca, basilica, adamans, prologus.



მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი დაიკარგა, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სიტყვების სესხება თარგმანების გზით უნდა მომხდარიყო.

**2. 1. 5. მშობლიური სიტყვებისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭება.** მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა თავისუფლად სესხულობდა სიტყვებს ლათინური და სხვა ენებიდანაც ახალი ცნებების აღსანიშნავად, არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ამას სისტემატური და სავალდებულო ხასიათი ჰქონდა. ინგლისურსაც ჰქონდა საკმაო მარაგი სიტყვებისა, რომლებსაც შეეძლოთ მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც გამოეხატათ ახალი მნიშვნელობა და ამით აეცილებინათ კიდევ ერთი ახალი სიტყვის შემოჭრა ენაში. ძველი სიტყვის ფორმა განიცდიდა მცირე ადაპტაციას და გამოხატავდა ახალ მნიშვნელობას. ასე მაგალითად, ინგლისურს ანგლო-საქსური ღმერთის აღსანიშნავად არ უსესხებია ლათინურიდან *deus*, რადგანაც მისი ეკვივალენტი *God* უკვე არსებობდა ენაში. ასევე *heaven* და *hell* ანგლო-საქსებისათვის არ იყო უცხო და მათი სესხებაც არ გამხდარა საჭირო. *Patriarch* გადმოვიდა ლიტერატურულად როგორც *hēahfæder* (high father), *prophet* – *wītega* (wise one), *martyr-þrōwere* (one who suffers pain), *saint- hāliga* (holy one). ხოლო ისეთი სპეციფიური საეკლესიო წოდებები, რომლებიც უცხო იყო ინგლისური ენისათვის ლათინური ფორმითვე გადმოვიდნენ ენაში. მაგალითად: *pope*, *bishop*, *priest*, *monk*, *abbot*.

სიტყვა *Easter* (ადღგომა) გერმანიკული სიტყვაა და მოდის წარმართული დღესასწაულიდან, რომელიც განთიადის ქალღმერთს ეოსტრას (*Eostre*) საპატივცემულოდ იმართებოდა. *Praedicāre*-ს (to preach) მნიშვნელობა შეიძინა ინგლისურმა სიტყვამ *læran* (to teach) და *bodian* (to bring a message). თუმცა *praedicāre* მაინც ისესხა ინგლისურმა XIII საუკუნეში ფრანგულის გავლენით. *to pray*-ს (L. *precāre*) მნიშვნელობა გაერთიანდა *biddan*- ში (to ask). ლათინური *baptizāre* (to baptize) ითარგმნებოდა როგორც *fullian* (to consecrate), ხოლო არსებითი სახელი *fulluht* ქმნიდა მრავალ რთულ სიტყვას, *fulluhtbæþ* (font), *fulwere* (baptist), *fulluht-nama* (Christian name), *fulluht-stōw* (baptistry), *fulluht-tid* (baptism time).

Scriptures შეესაბამებოდა ინგლისური სიტყვა *gewritu*, ხოლო *ēvangelium*-ს *godspell*. ლათინურ *trinitas* ითარგმნა როგორც *briness (three-ness)*, შემოქმედის მნიშვნელობას გამოხატავდა *scieppend (the one who shapes or forms)*, *fruma (creator, founder)* ან *method (measurer)*. ინგლისური სიტყვები *fæder (father)*, *dryhten (prince)*, *weard (ward, protector)*, *hlāford (lord)* ხშირად გამოიყენებოდა სინონიმური მნიშვნელობებით *Christ*-ის მიმართაც, რომელსაც მხსნელის მნიშვნელობით ისევ ინგლისური სიტყვა *Hælend* შეესაბამებოდა. წმინდა სამების მესამე სახე სულიწმინდა ლათინური *Spiritus Sanctus* ითარგმნა, როგორც *Hālig Gāst (Holy Ghost)*.

ლათინური *diabolus* ინგლისურმა ისესხა *dēofol (devil)* ფორმით, მაგრამ *fēond (fiend)* გამოიყენებოდა როგორც სინონიმი. ჯვარი *cross* წარმოდგენილია სინონიმებით *rōd (rood)*, *trēow (tree)*, *gealga (gallows)*. *resurrection* აღდგომა *ærist (ზმინდან ārisan)*, ცოდვა *peccatum - sinn*, *The Judgement Day* განკითხვის დღე არის *Doomsday* და სხვ. ასეთი თარგმანები შედეგია იმისა, რომ სესხება კი არ აქვეითებს ენის პროდუქტიულობას, არამედ ენას აძლევს ახალი ერთეულების შექმნის საშუალებას, რათა მოღიანად ამოწუროს საკუთარი მარაგი.

ძველი ინგლისურის პერიოდის დასასრულისათვის 450 ლათინური ძირის მქონე სიტყვა იყო აქტიურ გამოყენებაში ინგლისურ ენაში. დაახლოებით 100 სიტყვა წიგნური ხასიათის იყო და იმდენად ინარჩუნებდნენ თავიანთ უცხოურ წარმომავლობას, რომ მათი მიკუთვნება ინგლისური ენის ლექსიკონისათვის ძნელი იყო. დანარჩენი დაახლოებით 350 სიტყვის ხელახალი სესხება მოხდა მოგვიანებით (*Baught, Cable, 1978:90*). უცხოური გავლენის ყველაზე აშკარა შედეგია ნასესხები სიტყვის ასიმილაციის ხარისხი მიმდებ ენაში. უნდა მოხდეს არა მარტო სიტყვის ფორმის ან მისი ფონეტიკური ასიმილაცია, არამედ მშობლიური სიტყვების მსგავსად მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ რთული სიტყვების ან სხვადასხვა მეტყველების ნაწილების წარმოებაში. ლათინური არსებითი სახელი *planta* ინგლისურმა ენამ ისევ არსებითი სახელის ფორმით *plant* ისესხა, მოგვიანებით მან დაირთო ინფინიტივის ინგლისური დაბოლოება *-ian (plantian)*. ამ შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ, რომ სიტყვამ განიცადა სრული ასიმილაცია. მსგავსი ასიმილაციის მაგალითებია *ge-martyr-ian (to martyr)*, *sealm-ian (to play on the harp)*, *culp-ian (to*

humiliate oneself), fers-ian (to versify), glēs-ian (to gloss), crisp-ian (to curl). სრული ასიმილაციის მაგალითებია ასევე ის სიტყვები, რომლებიც კონკრეტულ არსებით სახელებს წარმოადგენდნენ, მაგრამ სუფიქსის დართვით აბსტრაქტულები ხდებოდნენ. martyr-dom, martyr-hād, martyr-ung. ასევე სრულ ასიმილაციასთან გვაქვს საქმე როდესაც უცხო სიტყვის ძირი რთული სიტყვის ერთ-ერთ კომპონენტად გვევლინება. სიტყვა church გვხვდება დაახლოებით 40-მდე რთულ და ნაწარმოებ სიტყვაში: church-bell, church-door, church-book.

მეორე პერიოდის ლათინური ენის ძლიერი გავლენით ინგლისური ენის ლექსიკონში უცხოურმა ელემენტებმა თავისუფლად დაიწყეს „მოღვაწეობა“. ძველ ინგლისურ პერიოდში ინგლისური ენის ურთიერთობამ უცხო ენებთან არამარტო გაამდიდრა ენის ლექსიკონი, არამედ გარკვეული ცვლილებები შეიტანა საკუთრივ ინგლისური ენის გრამატიკულ, ფონეტიკურ და სხვა სტრუქტურებშიც.

**2. 1. 6. ლათინური სიტყვები საშუალო ინგლისურში.** ნორმანთა დაპყრობის შემდგომი პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს ლათინური ენის გავლენის მესამე პერიოდად. მართალია ბევრი ლათინური ძირის მქონე სიტყვა ინგლისურში ფრანგული ენის გავლენით შემოვიდა, მაგრამ მათი უმრავლესობის პირდაპირი წყარო მაინც ლათინური ენა იყო. განსხვავება კი ამ სიტყვებს შორის ის იყო, რომ პირდაპირ ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვები ნაკლებად პოპულარული ხასიათისა იყვნენ და ენაში წერილობითი საშუალებებით შემოვიდნენ. ამასთანავე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლათინური, მიუხედავად ფრანგული ენის ძლიერი გავლენისა საშუალო ინგლისურ პერიოდში, მაინც ეკლესიისა და განათლების ენად რჩებოდა, მრავალი ლათინური სიტყვის სესხების წყაროს სწორედ ეს სფეროები წარმოადგენდნენ. ამიტომ ამ სფეროში მოღვაწე ხალხისგან ადვილი შესაძლებელი იყო ნასესხები სიტყვების გამოყენება სალაპარაკო ენაშიც. რა თქმა უნდა ზეპირსიტყვიერების გზით შემოსული სიტყვები მრავალრიცხოვან ჯგუფს ვერ შეადგენდნენ წერილობითი გზით შემოსული სიტყვების რაოდენობასთან შედარებით. XIV-XV საუკუნეები გამოირჩევა განსაკუთრებული პროდუქტიულობით ლათინური სიტყვების სესხების თვალსაზრისით. XV

საუკუნის ანონიმი მწერალი აღნიშნავს, რომ ადვილი არაა ლათინურიდან ინგლისურად თარგმნა, რადგანაც ძალიან ბევრ ლათინურ სიტყვას არ მოეძებნება შესატყვისი ინგლისური სიტყვა. (Baugh, Cable, 1978:184)

ამ პერიოდში ნასესხები სიტყვები არის იურიდიული, სამედიცინო, საეკლესიო თუ თეოლოგიური, სამეცნიერო და სალიტერატურო ტერმინოლოგია, რომელთა დაბოლოებებითაც თუ ვიმსჯელებთ ფრანგულის გავლენით არის შემოსული. სუფიქსები –able, -ible, -ent, -al, -ous, -ive და სხვა ფრანგული სუფიქსებია. დღეს კი აქტიური ინგლისური სიტყვათმწარმოებელი ელემენტები. Oxford English Dictionary მიუთითებს, რომ ეს სიტყვები ინგლისურმა ენამ პირდაპირ ლათინურიდან ისესხა. შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ლათინური სიტყვა ორივე ენამ ერთდროულად ისესხა და ფრანგული ფორმით ინგლისურ ენაში შესვლა ამ ორი ენის მჭიდრო კონტაქტის წყალობით მოხდა. ეს სიტყვებია: abject, adjacent, allegory, conspiracy, custody, distract, frustrate და სხვ.

*მოქარგული ტერმინები.* ახალი ლათინური სიტყვების გამოყენება პოეზიასა და განსაკუთრებით პროზაში აქტიურ სტილისტურ ხერხად იქცა XV საუკუნეში. მათ მაღალფარდოვანი, ფერადოვანი, მოქარგული ტერმინები (aureate words) უწოდეს.

**2. 1. 7. გვიანი პერიოდის ლათინური ნასესხები სიტყვები.** საშუალო ინგლისურ პერიოდში ნასესხები ლათინური და ბერძნული სიტყვების უმრავლესობა ჩვენთვის საინტერესოა კულტურული ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით. ეს სიტყვები ინგლისური ენის მუდმივ კონტაქტს კი არ გამოხატავენ სხვა ენებთან, არამედ კიდევ უფრო აძლიერებენ ლათინური და ბერძნული კულტურისა და ლიტერატურის მნიშვნელობას, რაც რენესანსის გავლენით კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა.

ადრეულ პერიოდებში ნასესხები ლათინური სიტყვების სესხება უშუალოდ ლათინურად მოსაუბრე ხალხთან კონტაქტის შედეგად მოხდა, მაგრამ ნორმანთა დაპყრობამდე ორი საუკუნით ან შესაძლოა მეტი ადრეც კლასიკური ლიტერატურის, რელიგიისა და განათლების ლათინური ენა ინგლისურ დამწერლობაში და გარკვეულწილად შეტყვევებაშიც გადავიდა.

საშუალო ინგლისურ პერიოდში ეს პროცესი გაგრძელდა (Dellit, 1906:43). ადრეულ საშუალო ინგლისურში ნასესხები ლათინური სიტყვები, ისევე როგორც გვიან ძველ ინგლისურში ნასესხები სიტყვები ჩვეულებრივ ტექნიკური ხასიათის იყო, თუმცა ხშირი იყო რელიგიური ტერმინების სესხებაც. ამ პერიოდში ნასესხები სიტყვებია *credo, paske* “Easter”, *benedicite, confiteor, dirige (dirige), ipocrisis, requiem, gloria, limbo, magnificat, pater (noster), eremite, lector, lateran, collect, quinquagesima, diocese, bull, mediator, redemptor, salvator, sanctum*. ასევე ბიბლიური ტერმინებიც ხალხური ლათინურიდან არის ნასესხები: *Genesis, Exodus* (თუმცა ორივე ბერძნული ძირისაა), *Psalms, Apocalipse, Alleluia, Magi, Sabbat*.

ეკლესიური ტერმინოლოგიის სესხების გარდა ლათინური სიტყვების სესხების მიზეზი ინგლისურ ენაში საკანონმდებლო და სასამართლო სისტემების განვითარება გახდა. ამ სფეროებში არსებული ტერმინების დეფინიციის შევსება ისევ ლათინურიდან ხდებოდა. *client, arbitrator, conviction, debenture, defalcation, emolument, equivalent, exorbitant, extravagant, executor, gratis, hereditament, imprimis, implement, legitimate, memorandum, mittimus, pauper, persecutor, proviso*. აღსანიშნავია ისიც, რომ ხდებოდა არამარტო ცალკეული სიტყვების, არამედ ფრაზების სესხებაც, *alias dedamus, habeas corpus, subpoena, primo facie*. ამ სიტყვების სესხება ძირითადად 1400-1500 წლებამდე მოხდა.

სწავლისა და განათლების მოთხოვნილებების გაზრდამ გამოიწვია სიტყვების სესხება ამ სფეროდანაც. *Abecedary (> L. abecedarius), abacus, allegory, et cetera, cause, contradictory, desk, ergo, explicit, finis, formal, incipit, index, item, library, momento, major, minor, meuter, scribe, similia, videlicet*.

ინგლისურ ენაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მეცნიერების განვითარებამ. ახალი პერიოდის სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა გარდამტეხი როლი შეასრულა სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის პროცესში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევებმა საოცრად გაამდიდრა ინგლისური ენის ლექსიკონი, ამის შედეგად, ინგლისური ენა რამდენიმე მილიონ ერთეულს ითვლის. სიტყვათა დიდი უმეტესობა მეცნიერების ვიწრო სპეციალიზირებულ სფეროებს მოიცავს, მაგრამ ტერმინთა უმრავლესობა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სიტყვებია. მაგალითად: *atom, cell, molecule, nucleus* და სხვა.

ამ უზარმაზარი ლექსიკის შექმნის პროცესში მეცნიერები სხვადასხვა წყროებს იყენებდნენ. ერთ-ერთი მეთოდი იყო ყოველდღიური მოხმარების სიტყვებისათვის ახალი სამეცნიერო მნიშვნელობების მინიჭება. მაგალითად, ისე როგორც ქიმიკოსებმა გამოიყენეს salt, ბოტანიკოსებმა fruit და pollen, ზოოლოგებმა parasite, მეტალურგებმა fatigue, ფიზიკოსებმა current, force, gravity, power, resistance და work.

მეცნიერები სხვა ენებიდანაც იღებდნენ საჭირო სიტყვებს. ასე შემოვიდა ლათინურიდან abdomen, bacillus, corolla, cortex, equilibrium, formula, genus, quantum, salvia, stamen, tibia, vertebra. ზოგი სიტყვა კი ბერძნული ენიდანაც cotyledon, ion, iris, larynx, pyrites, thorax; თუმცა ზოგი მაინც ლათინურის გავლით შემოიჭრა ინგლისურ ენაში. მცირეა იმ სიტყვების რაოდენობა, რომლებიც ინგლისურში გერმანული ენიდანაც ნასესხები, მათი უმრავლესობა ქიმიას და მინერალოგიას უკავშირდება. მაგალითად, cobalt, paraffin, quartz. არის ტერმინები, რომლებიც უშუალოდ მეცნიერთა სახელებიდანაც ნაწარმოები. amp(ère), coulomb -საფრანგეთი, gauss, ohm – გერმანია, ångström – შვედეთი, fermi და volt – იტალია. ესენი სამეცნიერო ერთეულებია ისევე როგორც farad, kelvin და watt, რომლებიც ინგლისელი ფარადეის, ლორდ კელვინისა და შოტლანდიელი ჯეიმს ვატის საპატივცემულოდ დაარქვეს.

ყველაზე მიღებულ მეთოდად ახალი სამეცნიერო სიტყვის თუ ტერმინის შესაქმნელად მაინც ბერძნული ან ლათინური მასალის გამოყენება რჩება. ბერძნული ძირისაა: allelomorph, anode, barometer, cathode, electrolysis, electron, monozygotic, synchrotron, zoology. ლათინურ ელემენტს შეიცავს accumulator, atmosphere, habitat, hibernate, invertebrate, transducer. ზოგი ბერძნული ერთეული ლათინური ენის გავლით ჩამოყალიბდა ტერმინად. ბევრი ტერმინი კი ორივე ენიდან აღებულ მორფემას შეიცავს: biosphere, h(a)emoglobin, microspecies.

ლათინური ელემენტები ხშირად შესატყვისი ფრანგული ერთეულის გავლენას განიცდიან. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეში ფრანგულიდან ნასესხები valency ლათინური valentia- დან არის განვითარებული. ასეთ შემთხვევებში ძნელია იმის თქმა რომელი ენიდან უფროა valency ნასესხები ლათინურიდან თუ ფრანგულიდან. იგივე შეიძლება ითქვას epilepsy, tendon, tonsil -თან მიმართებაშიც. თუმცა ასეთი სიტყვები საერთაშორისო სტატუსს

იქნეს და შექმნილი ერთ ენაში ვრცელდება სხვებშიც. ასე შემოვიდა ფრანგულიდან ინგლისურში მეცხრამეტე საუკუნეში chlorophyll, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში გერმანულიდან vitamin. Chlorophyll ბერძნული ელემენტებითაა შექმნილი, chlorós “χλωρός, ღია მწვანე” და phyllon “φύλλον, ფოთოლი”. vitamin ლათინურ ძირს უკავშირდება vīta „სიცოცხლე” და სუფიქსი – amine, რომელიც თავისთავად ლათინური ammonia-დან და ფრანგულ < ლათინური –ine/inus-იდან არის ნაწარმოები.

კლასიკური ენებიდან აღებული ელემენტებით შექმნილი სიტყვებისა თუ ტერმინების რაოდენობა განუსაზღვრელია. მათ მინუსად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მათი მნიშვნელობა შეიძლება გაუგებარი იყოს ჩვეულებრივი ადამიანისათვის. მეორე მხრივ კი ისინი გასაგებია სამეცნიერო წრეებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის მათი საერთაშორისო სტატუსის გამო. სამეცნიერო წრეებში კი კლასიკური ელემენტები ფართოდ გამოიყენება. უფრო მეტიც, ზოგიერთი ბერძნული მორფემა იმდენად არის გავრცელებული ახალი ლექსიკის საწარმოებლად, რომ მათი მნიშვნელობა ბერძნულის არმცოდნე განათლებული ადამიანისთვისაც კი ადვილი გასაგებია. ასეთი პოპულარული ელემენტებია: bio-βιο- სიცოცხლე, crypto-κρυπτο- დამალული, გასაიდუმლოებული, graph-γραφω - წერა, ხაზვა, hydro-ὕδρω- წყალი, hyper-ὑπερ- ზე, ზღვარს მიღმა, hypo-ὑπο - ქვემოთ, macro-μακρο - დიდი, mega-μεγα - განიერი, მილიონი, micro-μικρο - პატარა, მიკროსკოპული, ერთი მემილიონედი, mono-μονο - ერთი, ერთჯერადი, morph- μορφω- ფორმა, მოხაზულობა, phono-φωνη- ხმა, ბგერა, ჟღერადობა, photo-φωτο- განათება, pyro-πύρω- ცეცხლი, ალი, tele-τελε- შორეული, thermo-θερμο - ცხელი, სითბო და სხვა. მრავალი ამ სიტყვათაგანი გამოიყენება როგორც აფიქსები არასამეცნიერო ინგლისური სიტყვების შესაქმნელად და შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენი ყოველდღიური სიტყვათწარმოების პროცესების აქტიურ მონაწილეებად.

სამეცნიერო ლექსიკის გაფართოება ბოლო 300-400 წლის განმავლობაში მზარდი ტემპით მიდიოდა. მეთექვსმეტე საუკუნეში განხორციელებულმა მიღწევებმა ანატომიის სფეროში და ბელგიელი ანატომისტის ანდრეას ვესალიუსის აღმოჩენებმა მთლიანად შეცვალეს ელისაბეთის ეპოქის

შეხედულებები და წარმოდგენები. ამ პერიოდიდან შემოვიდა ფართო გამოყენებაში ადამიანის სხეულთან დაკავშირებული სიტყვები: abdomen, skeleton, tibia, დაავადებათა სახელები catarrh, epilepsy, mumps, smallpox.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ნასესხები სიტყვები ძირითადად სამედიცინო და ბიოლოგიის სფეროდანაა: lumbago, pneumonia, tonsil, vertebra; ქიმიურიდან acid, ფიზიკიდან atmosphere, equilibrium, gravity; მათემატიკიდან logarithm, ratio, series.

მეთვრამეტე საუკუნეში სიცოცხლის შემსწავლელმა მეცნიერებებმა მრავალი ახალი ტერმინი შემატეს ინგლისურ ენას. ეს იყო ბიოლოგიური აღწერებისა და კლასიფიკაციების ეპოქა. ამ პერიოდში მოხდა ბოტანიკისა და ზოოლოგიური ტერმინების სესხება: albino, anther, coleopteran, dycotyledon, fauna, habitat, ovate, pinnate.

მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ქიმიურ თეორიაში მეთვრამეტე საუკუნეში შეთხზა ახალი ტერმინები hydrogen, molecule, nitrogen, oxygen (Barber, 1993:218). თანამედროვე ქიმიის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფრანგ მეცნიერებს, განსაკუთრებით კი ლავუაზიეს, რომლის სახელსაც უკავშირდება ფრანგულიდან ინგლისურში ამ ოთხი ახალი სიტყვის გადასვლა.

მეცხრამეტე საუკუნეში ლექსიკის გამდიდრება ყოველმხრივ ხდებოდა. მრავალი სპეციალიზირებული სფერო სწრაფად ვითარდებოდა. თუმცა ზოგი ახალი სიტყვა არასდროს მოხვედრილა ფართო მიმოქცევაში გარდა საკუთარი ვიწრო წრისა, ზოგი კი სწრაფად გავრცელდა, ალბათ ისევე მათი აუცილებლობით ყოველდღიურ ცხოვრებაში. ესენია accumulator, aspidistra, cereal, conifer, hibernate, isobar, metabolism, ozone, pasteurize და სხვ.

მეოცე საუკუნეში ლექსიკის ზრდა განსაკუთრებით გენეტიკასა და ბირთვული ფიზიკის სფეროში ხდებოდა. ამ სფეროებიდან მოხვდა ბევრი სიტყვა არასპეციალისტთა ენაში. ბირთვულმა ფიზიკამ შეცვალა შეხედულებები სამყაროზე და ომის საშიშროებებზე. აქედანაა სიტყვები: isotope, neutron, nuclear, reactor. Isotope-ს აქვს სამედიცინო მნიშვნელობაც, ვინაიდან როგორც რადიოაქტიური იზოტოპი გამოიყენება თერაპიაში. ჯანმრთელობის სფეროში გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა ფართო მიმოქცევაში მოხვდა. მაგალითად, penicillin, vitamin. ზრუნვამ გარემოზე შემოიტანა ტერმინები biodegradable, biosphere, ecosphere, the ozone layer. მაშინ



როცა ზოგიერთმა სიტყვამ გზა გაიკვალა ფართოდ გამოყენებად ლექსიკაში, მაგალითად stratosphere და supersonic ავიაციაში, nylon და transistor ფართო მოხმარების საგნები გახდა.

ინგლისური ლექსიკის გაფართოება რაც ტექნოლოგიურ წინსვლას მოჰყვა მხოლოდ სამეცნიერო სიტყვების ხარჯზე არ მომხდარა. საზოგადოების ცვლილებამ გამოიწვია ახალი სიტყვების, ახალი ცნებების მუდმივი მოთხოვნა ახალი საგნებისა და ახალი მნიშვნელობებისათვის. ბოლო საუკუნეების განმავლობაში კი საზოგადოების განვითარება/გართულებამ ხელი შეუწყო არსებული ლექსიკის გამდიდრებას მეცნიერების, ტექნიკისა თუ ყოველდღიური ცხოვრების სფეროებში.

საშუალო ინგლისურის და ადრეულ ახალ ინგლისურ პერიოდთან (Early New English) შედარებით, როდესაც ლათინურ-ბერძნული და ფრანგული ძირის მქონე სიტყვების შესხება განუსაზღვრელი რაოდენობით ხდებოდა, გვიანი ახალი პერიოდი (Late New English) ნაკლებ პროდუქტიულობით ხასიათდება სიტყვათა შესხების თვალსაზრისით. რადგანაც ინგლისურ ენას წამყვანი როლი უკავია თანამედროვე საზოგადოებისა და ცივილიზაციის განვითარებაში მაინც ინგლისურ ენაში ხდებოდა იმ სიტყვათა შექმნა, რომელთაც შემდგომში საერთაშორისო სტატუსი მოიპოვეს. ესენია: atom, nucleus, parasite, resistance, force, equilibrium, bacillus, formula, revolutionary, quantum, composite და სხვა.

საშუალო ინგლისური ენა პირდაპირ ლათინურიდან ხელახლა შესულობდა სიტყვებს, რომლებიც ძველ ფრანგულიდან იყვნენ ნასესხები, ან ხდებოდა მათი „გადაკეთება“ ლათინურ მოდელზე; გამოთქმა ან დამწერლობა, ან ორივე ერთად ლათინური მოდელის მიხედვით ეცვლებოდა, მაგალითად adventure (ძველი ფორმა aventure), adorn (ძველი ფორმა aorn), confirm (ძველი ფორმა conferm), debt (ძველი ფორმა dette). ხელახალი შესხების პროცესში ლათინური სუფიქსები იცვლებოდა ფრანგული სუფიქსებით, რომლებიც თავისთავად ლათინური სუფიქსებიდან იყო განვითარებული. მაგალითად ძველი ფრანგული -ie ლათინური -ia-დან არის განვითარებული და მრავალ ძველ ინგლისურ სიტყვაში ძველი ფრანგულიდან არის შემოსული. ლათინური custodia, familia, colonia და სხვ. ანგლიციზდებოდა როგორც custodie, familie,

colonie (თანამედროვე დამწერლობით custody, family, colony). იგივე დაბოლოება (თანამედროვე -y) გამოიყენებოდა ინგლისურ ენაში არსებითი სახელებისა და ზედსართავებისათვის რომლებიც -ius, -ium-ზე ბოლოვდებოდნენ: mercury, contradictory, dimissory, itinerary, corollary. ასევე ლათინური არსებითი სახელები, რომლებიც მთავრდება -tion, -sion, საშუალო ინგლისურში გვევლინება როგორც -tioun (-cioun), -oun, რომლებიც XV საუკუნეში -tion-ით შეიცვალა, სავარაუდოთ ლათინურ დამწერლობასთან მიმგვანების გავლენით. ამ მოდელით მივიღეთ inflacioun (inflation), elevacioun (elevation), cognicyoun (cognition), attencioun (attention). ფრანგული სუფიქსები -our, -te ლათინური -or (em), -tas (-tatem)-ის შესაბამისად ინგლისურ ენაში -or, -ty ფორმით გვევლინება: pastor, mediator, rector, captivity, actuality.

ზოგიერთ შემთხვევაში ძველი ფრანგული ფორმა იმდენად დაცილდა თავის ლათინურ ძირს, რომ ხშირად სადაოა რომელია სესხების უშუალო წყარო. ხშირად ინგლისურ ფორმას ორი ვარიანტი აქვს, ერთი ფრანგულიდან ნასესხები (თუმცა ეს სიტყვაც თავის დროზე ფრანგულმა ენამ ლათინური ენიდან ისესხა), ხოლო მეორე პირდაპირ ლათინურიდან. სიტყვის ეს ვარიანტი საშუალო ინგლისურში „შემოვიდა“ და დაკავშირებული იყო, როგორც აღვნიშნეთ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან: count-compute (1631), ray-radius (1597), purvey-provide (LME), spice-spices (1551), sure-secure (1533), treason-tradition (LME), strait-strict (1578), respite-respect (LME), poor-pauper (1516) (Serjeantson, 1968:262).

მრავალი ლათინური სუფიქსი თავისუფლად გადმოვიდა ინგლისურ ენაში და ერთვოდა არა მარტო კლასიკური ლათინურიდან უკვე ნასესხები სიტყვების ძირებს, არამედ ინგლისური სიტყვების ძირებსაც. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და პროდუქტიული გამოდგა არსებითი სახელის მაწარმოებელი სუფიქსები -ment: argument, pigment, segment, (ლათინურ ძირზე) და სხვ; acknowledgement, oddment (არაღლათინურ ძირზე).

-tion: oration, conversation, definition, elocation, starvation (არაღლათინურ ძირზე).

ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსები: -ose, -ous ლათინური -ōs-დან:

famous, callous, copius, religious, victorious, nervous, jocose, verbose, ყველა მათგანს – ōsus ჰქონდათ ლათინურში, ხოლო arduous, spurious, various, industrious, dubious და სხვ. ინგლისურში გადმოვიდა იმ ლათინური ზედსართავის მოდელის გავლენით, რომლებიც -us-ზე ბოლოვდებოდა. სხვა ლათინური სუფიქსებია:

-al: fatal, floral, plural, moral, capital

-ary: ordinary, necessary, temporary, literary

-ate: delicate, fortunate, laureate

მრავალი სიტყვა ლათინური მიმდევობის ფორმის -ātus მოდელზე ჩამოყალიბდა. მაგალითად: obstinate, desparate, ასეთი ფორმები ენაში მოძველებულია ან შეცვლილია ფორმებით, რომლებიც ბოლოვდება -ated. ინგლისური ზმნების წარსულის მიმდევობის ფორმებიც ლათინურ მოდელზე ჩამოყალიბდნენ. მაგალითად alienate-alienated, conflate-conflated, contaminate-contaminated, expiate-expiated.

-ant, -ent; arrogant, defferent, crescent, important, provident, fluent.

-able, -ible: durable, admirable, miserable, credible, horrible.

ლათინურ ენაში ზმნური ზედსართავი სახელები, რომლებიც ზმნის უღლების I ფორმიდან ჩამოყალიბდნენ ბოლოვდებოდნენ -ābilis-ზე, ხოლო სხვა უღლების ფორმებიდან ჩამოყალიბებული ზედსართავები -ibilis-ზე. ეს კანონზომიერება ინგლისურ ენაში დაიკარგა და ახალი ფორმა -able განვითარდა იმ ინგლისური ზმნებისთვის, რომლებსაც საფუძვლად დაედოთ ლათინური II, III და IV უღლების ზმნები. მაგალითად: dependable, movable. ეს სუფიქსი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული სუფიქსია ლათინურ ზედსართავულ სუფიქსებს შორის, და ამას გარდა მრავალმა ზედსართავმა, ნაწარმოებმა ინგლისური თუ ფრანგული არსებითი სახელიდან თუ ზმნიდან მიიღო -able სუფიქსიანი ფორმა. მაგალითად: laughable, workable, comfortable, fashionable, sizable, peaceable, likable, eatable, ungetable (Serjeantson, 1968:262).

ყველაზე ხშირი ლათინური ზმნური დაბოლოება არის -ate, ინგლისური ფორმები კი განვითარდნენ I უღლების ლათინური ზმნების ვნებითი გვარის მიმდევობის ფორმებიდან, რომლებიც -ātus-ზე ბოლოვდებოდნენ. მაგალითად: alienate, associate, exagetare, accumulate, frustrate, hibernate, liberate, radiate, ventilate და სხვ. უღლების სხვა ფორმებიდან (მაგალითად ნამყო მიმდევობის ფორმებიდან)

განვითარებულ ინგლისურ ზმნებს რაიმე განსაკუთრებული დაბოლოება არ ჰქონიათ. act, collapse, correct, conflict, confuse, exempt, incense. მრავალი სხვა ზმნა კი ლათინური აწმყო ძირიდან განვითარდა, conjure, dispute, deter, defer, interfere, disturb და სხვ. ამის შედეგად ინგლისურში ერთი და იმავე ძირის ორი ზმნა გვხვდება, ერთი განვითარებული ლათინური ფორმის აწმყო ძირიდან, ხოლო მეორე მიმდებარის ფორმიდან: conduce-conduct, convince-convict, repel-repulse და სხვ. ინგლისურში გვხვდება კიდევ ერთი მიმდებარის ფორმა, რომელიც მომავლის მიმდებარის ან გერუნდივის პასიური გვარის ფორმები უნდა იყოს. ისინი ბოლოვდებიან -and, -end-ზე: dividend, legend, reverend, agenda, memorandum.

მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი სუფიქსებიანი სიტყვები არ შეადგენენ ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვების ჯგუფს. მრავალ სიტყვას არც ერთი მაწარმოებელი თუ მაფორმირებელი სუფიქსი არ გააჩნია. მათ ინგლისურშიც იგივე ფორმით ვხვდებით როგორც ლათინურში, მაგრამ რადგანაც ინგლისური გამოთქმა განსხვავდება დამწერლობისაგან, განსხვავება მხოლოდ გამოთქმაშია: creator, ibex. ადრეული ნასესხეობის შემთხვევაში კი ლათინურმა ბგერებმაც განიცადეს ბგერათა იგივე ცვლილებები, რაც საკუთრივ ინგლისურმა ბგერებმა და დაემსგავსნენ მათ.

რაც შეეხება არსებით, ზედსართავ და ნაცვალსახელებს მათი სესხება ხდებოდა სახელობითი ბრუნვის ფორმებიდან. circus, augur, consul, genus, მაგრამ ზოგჯერ ფლექსიური ფორმებიც კი გვხვდება, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია იმით, რომ სიტყვის სესხება მოხდა ადრეულ პერიოდში ფრაზული ფორმით. მაგალითად, აბლატივის ფორმა folio (ფრაზიდან in folio), limbo, proviso, via, specie, rebus (მრავლობითი რიცხვის ფორმა), დატივის მრავლობითი რიცხვის ფორმა omnibus, აკუზატივის requiem, გენიტივი მრავლობითი რიცხვის ფორმა quorum. ამ ჯგუფს შეიძლება დაეუმატოთ ლათინური სხვადასხვა ზმნური ფორმები, რომლებიც ახლა არსებით სახელებად გვევლინებიან: deficit, exit, caveat, ignoramus, interest, recipe, veto, tenet, tiat (Serjeantson, 1968:263).

რაც შეეხება ლათინურ წინდებულებსა და ზმნიზედებს, მათი სესხება უფრო შეზღუდულად ხდებოდა ვიდრე არსებითი ან ზედსართავი სახელებისა. შესაძლოა მათი უმრავლესობა დაიკარგა, ხოლო ზოგიერთი მათგანი

რომელიც ენას შემორჩა არსებით სახელებად გვევლინება: *alias, alibi, extra, interim, item, verbatim*.

აღსანიშნავია ის, რომ ინგლისური ლიტერატურა და ზოგადად ინგლისური მწერლობა არ არიდებდა თავს ნასესხები სიტყვების გამოყენებას. შესაძლოა ამანაც შეუწყო ხელი მრავალი სიტყვის პირდაპირ „გადმოსვლას“ ენაში. განსაკუთრებით კი რენესანსის ეპოქაში, როდესაც მანამდე ნასესხები სიტყვების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ხშირად გამოყენებული ლათინიზმები კი პოეზიაშიც შეიჭრნენ.

სია ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვებისა სრული ვერ იქნება. წარმოდგენილი არსებითი და ზედსართავი სახელების სესხების თარიღების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ სესხების პროცესი აქტიური უნდა ყოფილიყო 1500 წლიდან, განსაკუთრებით კი XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო XVIII საუკუნეში ეს პროცესი თითქოს შენეულა, მაგრამ მეცნიერება და ტექნოლოგია დღესაც ახალი ტერმინის მოსაძიებლად ისევ ბერძნულ და ლათინურ ენებს მიმართავს.

## 2. 2. ბერძნული ძირის მქონე სიტყვების ინგლისურ ენაში შემოსვლის პერიოდები და ქრონოლოგია

2. 2. 1. ბერძნული სიტყვები ძველ ინგლისურში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ბერძნული ძირის მრავალი სიტყვა ლათინური ენის გავლით აღმოჩნდა ინგლისურ ენაში. მცირე ჯგუფია იმ სიტყვებისა, რომლებიც გერმანიკულმა ენამ ისესხა უშუალოდ ბერძნულიდან. ისინი სესხების ადრეულ პერიოდს მიეკუთვნებიან, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთი სიტყვა გოთურმა ენამ ისესხა და აქედან გავრცელდა სხვა გერმანიკულ ენებში (Serjeantson, 1968:51). ყველა ეს სიტყვა საეკლესიო ხასიათისაა და მათი სესხება ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მოხდა. ეს სიტყვებია *angel, devil, church* და *priest*.

ძველი ინგლისური **angel**(1) ანგელოზი, ბერძნული *ἄγγελος* –იდან (“messenger, envoy, one that announces,”) იქნა ნასესხები, თუმცა ძველ ინგლისურში

არსებობდა მისი სინონიმური *aerendgast*, (“errand-spirit”). ბერძნული ძირი ებრაული *mal'ākh* „მაცნედან“ მოდის.

სხვადასხვა პერიოდში სიტყვას *angel* პოლისემია განუვითარდა და ანგელოზთან ასოცირებით დაახლოებით XVI საუკუნეში (2) საყვარელის, მოსიყვარულეს მნიშვნელობა შეიძინა. საეკლესიო მნიშვნელობით (3) „ღვთიურ ხმასაც“ გულისხმობდა. გვიან შუა საუკუნეებში გამოშვებულ (4) მონეტას, რომელზეც მთავარანგელოზი მიქაელი ამარცხებს ურჩხულს, *angel* ეწოდა. ეს მონეტა იმ პაციენტებს ეძლეოდათ ვისაც საყმაწვილო სენი ჰქონდათ შეყრილი. კულინარიაში (5) *angel cake* ბისკვიტის ნაირსახეობას წარმოადგენს 1881 წლიდან. (6) *angel dust* ანუ „ფენილციკლიდინი, ძლიერი ჰალუცინოგენი“ ამერიკულ ინგლისურში 1968 წლიდან ფიქსირდება.

ავიაციაში (7) *angel* ფრენის სიმაღლის საზომი ერთეულია, ხოლო როგორც რადიოტექნიკური ტერმინი (8) უცნობი ობიექტიდან არეკლილ ბგერით სიგნალს აღნიშნავს.

სიტყვას ზმნის ფუნქციაც სავარაუდოთ ანგელოზთან, მფარველთან ასოციაციით გაუჩნდა და (9) მხარდაჭერა, დაფინანსება (სხვადასხვა კულტურული საქმიანობის თუ საარჩევნო კამპანიის), ლობირება აღნიშნა.

**devil** – ბერძნული *διαβολος*-იდან არის ნასესხები. ბერძნულსა და ხალხურ ლათინურში *diabolus* და *dæmon* განსხვავებულ ცნებებს აღნიშნავდნენ, მაგრამ ინგლისურსა და სხვა ენებში მათი მნიშვნელობები გაერთიანდა. ფრ. *diable*, იტ. *diavolo*, გერმ. *teufel*, ჰოლ. *duivel*, შვედ. *djävul*, რუს. *дьявол*. **demon** ძირი კი პროტო ინდო-ევროპული უნდა იყოს *\*dai-mon-* “divider, provider” (of fortunes ან destinies), ძირი ამ ფორმისა კი არის პროტო ინდო-ევროპული ზმნა *\*da-* (“to divide”).

*devil* <ძველი ინგლისური *dēofol* ებრაული და ქრისტიანული მნიშვნელობით (1) „ეშმაკი, სატანა“ ებრაული *satan*-ის ბიბლიური კალკია, რაც „ცილისმწამებელს“ ნიშნავდა. სიტყვის ძირი *διαβολειν* “throw across” ნიშნავს, სადაც *δια-* “across, through” + *βολειν* “to throw” ( რამდენად საოცარიც არ უნდა იყოს სიტყვა *ballistics*-ს და *devil*-სსაერთო ძირი აქვთ). იერონიმე სტრიდონელმა (Jerome Stridona) ბიბლიის ლათინურად თარგმნისას ბოროტი სული „სატანად“

მოიხსენია, ხოლო ინგლისელმა მთარგმნელებმა თანაბარი მონაცვლეობით გამოიყენეს „ემმაკი“ და „სატანა“.

რაც შეეხება სიტყვას *daimonion*, ბერძნულ ქრისტიანულ თარგმანებში და ხალხურ ლათინურში ის “god of the heathen” და “unclean spirit”-ის მნიშვნელობებით გვხვდება. მათეს სახარების ძველ ინგლისურ თარგმანში გვხვდებით *dēofol*, ხოლო საშუალო ინგლისურში *feend* ან *deuil*, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ინგლისურში თითქმის იგივე მნიშვნელობით უკვე არსებობდა *hellcniht*, (hell-knight).

მითოლოგიური დემონების განსასხვავებლად დამწერლობაში მცირე ცვლილებაც შევიდა და *daemon* გახდა.

შუა საუკუნეებში სიტყვის პოლისემიურმა მნიშვნელობებმა ანგელოზის მნიშვნელობებს გადააჭარბა. ზედსართავი *daemonic*, *დემონური* (2) ბოროტთან, ავ სულთან ასოცირდა. იგი აღნიშნავს (3) რისკიან, ფათერაკების მოყვარულ; (4) შეუპოვარ, ჟინიან, აზარტულ ადამიანს; (5) ბოროტების განსახიერებას; (6) ცელქ, მოურჯულეებელ ბავშვს; (7) კნინობითი მნიშვნელობით საცოდავ ადამიანს; (8) ბეჭდურ საქმეში შეგირდის მნიშვნელობა აქვს. (9) კულინარიაში ზედმეტად მწარე კერძთან მიმართებაში გამოიყენება. (10) აღნიშნავს მელანქოლურ განწყობასაც; (11) ერთგვარი ფეიერვერკიც არის. როგორც ტექნიკური ტერმინი (12) მიღების საწმენდი ჯაგრისია. (13) საშინელ ქარბორბალას “dust devil” გამოხატავს. ასევე შეიძლება შეგვხვდეს როგორც ემოციის გამაძლიერებელი როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მნიშვნელობით.

### **church**

სიტყვის ძველი ინგლისური ფორმაა *cirice, circe*, საშუალო ინგლისურში გვხვდება *chirche, chireche, cherche*, რაც ეკლესიას, ღვთისმსახურების ადგილს „ბატონს, მმართველს“ ნიშნავდა. სიტყვის თანამედროვე დამწერლობა 1200 წლიდან ფიქსირდება, ხოლო ზედსართავი სახელის ფუნქციით, სიტყვა 1570-იანი წლებიდან გამოიყენება.

ბერძნული *κῆριακον* ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში გამოიყენება დაახლოებით 300 წლიდან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რეგიონებში, თუმცა ნაკლებ პოპულარობით სარგებლობდა ვიდრე *ἐκκλησία* ან *βασιλική*. სიტყვის

სესხება აშკარა ნიმუშია ქრისტიანული სიტყვების ბერძნულ-გერმანიკული ურთიერთობისა, როდესაც გოთური ენის გავლით ხდებოდა სიტყვის გავრცელება სხვადასხვა გერმანიკულ ენაში. სიტყვა აშკარად გამოიყენებოდა დასავლეთ გერმანელი ხალხების მიერ (\*kirika) ქრისტიანობამდელ პერიოდშიც. ამის დასტურია გერმანული kirche; ჰოლანდიური kerk, დანიური kirke, შვედური kyrka, ისლანდიური kirkja, შოტლანდიური kirk ძვ. ნორვეგიული kirkja-დან იქნა ნასესხები, რომელიც თავისმხრივ ძველ ნორვეგიულში ძველი ინგლისურიდან შევიდა.

**priest** (ძველი ინგლისური *prēost*) ბერძნული *πρεσβύτερος* შემოკლებული ფორმაა, რომელიც საეკლესიო წოდებას აღნიშნავს დიაკვანსა და ეპისკოპოსს შორის. სიტყვის ბერძნული ძირი *πρεσβυς* ზედსართავია და ასაკით უფროსს (elder) აღნიშნავდა. ახალი აღთქმის ბერძნულ თარგმანში გამოყენებულია ეკლესიის უფროსის, მღვდელის მნიშვნელობით. ლათინური ძირი *presbyter* საფუძვლად დაედო ინგლისურ *presbyterian*-ს XVII საუკუნეში.

რომაელი მისიონერების გავლენით ძველმა ინგლისურმა მოგვიანებით ისევ საეკლესიო ხასიათის სიტყვები ისესხა ბერძნულიდან. ესენია: abbot, alms, clerk, monk, pope, synod და სხვა.

მრავალი ბერძნული ძირის სიტყვა საშუალო ინგლისურ პერიოდში პირდაპირ ბერძნულიდან ან ლათინურის და ფრანგულის გავლით მოხვდა ენაში. ამ პერიოდში ნასესხები სიტყვები სამეცნიერო ან ლიტერატურული ხასიათისაა და “წიგნური” სიტყვების ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა მცირე ნაწილი საკმაოდ პოპულარული გახდა და ყოველდღიურ სიტყვათა ჯგუფს შეუერთდა. ესენია: acrobat, alphabet, asylum, atom, bulb, camera, celery, character, chemist, chorus, comma, cycle და სხვა.

საშუალო ინგლისური პერიოდისათვის აშკარაა ბერძნულის ისეთი აქტიური გავლენა, რაც მას თავის დროზე ლათინურ ენაზე ჰქონდა.

ბერძნული სიტყვები ამ პერიოდებში, ძირითადად, როგორც აღვნიშნეთ ლათინური ენის გავლით გადადიოდა ინგლისურში. ამასთანავე, ეს სიტყვები ლათინურის გავლენასაც განიცდიდნენ. მოქმედებდა გარკვეული კანონზომიერებაც:

ბერძნული k ლათინიზაციის შედეგად გადადიოდა c-ში;



u > y,

ხოლო ბერძნული სუფიქსი -os > -ous.

ის ბერძნული სიტყვებიც კი, რომლებიც უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში შევიდნენ თანამედროვე ინგლისურში, პირდაპირ სესხებას არ ამჟღავნებენ. უმრავლესობა თანამედროვე სამეცნიერო ტერმინისა საერთაშორისო ხასიათისაა და შექმნილი არიან ბერძნული სიტყვებისაგან ან ბერძნული ძირებისაგან ფრანგულად და შემდეგ სესხულობს მათ ინგლისური ენა. ასეთი სიტყვებია მაგალითად: **barometer** (Barometer < barometer < baro წონა + L. Metrum < Gr.métron) და **thermometer** (Thermometer < F. thermometer < Gr. Thermós სითბო + métron). და არამარტო სამეცნიერო სიტყვები, ზოგიერთი თანამედროვე პრეფიქსები და სუფიქსებიც ბერძნული წარმომავლობისაა.

იმის დასადგენად, თუ როგორი აღწევს ბერძნული ელემენტი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ნებისმიერ დისციპლინაში, დაგაკვირდეთ მეცნიერებისა თუ ხელოვნების ერთ სფეროს და ვნახოთ როგორ აკუმულირდებიან ეს სიტყვები. საკმარისია თვით სფეროების დასახელებაც კი: **bacteriology, botany, histology, physiology, physics** და **zoology**; ან თანამედროვე სამედიცინო სიტყვები: **adenoids, osteopathy, pediatrics, psychiatry** და **psychoanalysis** და ა.შ. ელექტრონიკის სფეროდანაც ვხვდებით ისეთ ახალ ფორმირებებს როგორცაა: **dynatron, kenatron, phanotron, pliotron, magnetron, thyratron**; ფიზიკიდან: **atomic, cyclotron, proton, meson, gamma-rays, isotope** და ა.შ.

## 2. 2. 2. ბერძნული სიტყვები საშუალო ინგლისურში

როგორც უკვე აღვნიშნეთ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ისესხა გერმანიკულმა ენამ პირდაპირ ბერძნული ენიდან, ე. ი. იმ პერიოდამდე, სანამ ინგლისური ენა დამოუკიდებელ ენად თუ გერმანიკული ენის ერთ-ერთ ვარიანტად ჩამოყალიბდებოდა. მაგრამ შემდგომ პერიოდებში ლათინური ენა გახდა მრავალი ბერძნული სიტყვის უშუალო წყარო ინგლისურ ლექსიკაში და შესაბამისად საშუალო ინგლისურ პერიოდში უმრავლესობა ბერძნული სიტყვებისა ლათინურ-ფრანგული ენების გავლით გადმოვიდა ენაში. სიტყვები, რომლებიც ინგლისურმა პირდაპირ ან ლათინური ენის გავლით ისესხა საშუალო და თანამედროვე ინგლისურში ისესხა ლიტერატურიდან ან

სამეცნიერო ნაშრომებიდან. ამიტომ უმეტესობა „წიგნური, სამეცნიერო“ ხასიათისაა, თუმცა ზოგიერთი იმდენად მნიშვნელოვანი იყვნენ, რომ თავიდანვე პოპულარული გახდა. მაგალითად: acrobat, alphabet, asylum, atom, bulb, camera, celery, character, chemist, chorus, comma, cycle და სხვა.

საშუალო ინგლისურ პერიოდში ბერძნულ ხელოვნებას, ლიტერატურას თუ მეცნიერებას ისეთივე ძლიერი გავლენა ჰქონდა არა მარტო ინგლისურ ენაზე, არამედ მთელ ინგლისზე და ევროპაზეც, როგორც ადრე ლათინურსა და რომს.

ბერძნული ტექნიკური მნიშვნელობის სიტყვებს მრავალ ლექსიკონში დიდი ადგილი უკავია, თუმცა უმრავლესობა ყოველდღიურ სიტყვას არ წარმოადგენს. ისინი ძირითადად რთული სიტყვებია, რომლებიც წარმომავლობით რთული ბერძნული ელემენტებია ან უფრო ხშირად ცალკეული ბერძნული ელემენტებისაგან შემდგარი სიტყვები. რთული სიტყვების შემადგენელი ელემენტები თანაბარი ალბათობით შეიძლება ყოფილიყვნენ გამოყენებულნი ძველ ბერძნულში რთული სიტყვების შესაქმნელად. შედარებით მცირე ჯგუფი ასეთი სიტყვებისა „წიგნურია“, მაგრამ ზემოთ აღნიშნული სიტყვების მსგავსად თავიანთი მნიშვნელობის გამო პოპულარულნი გახდნენ telephone, thermometer, barometer, gramophone, რთული სიტყვები –graph-ით და სხვა. რთული სიტყვების შექმნაში ძირითადად ბერძნული მარტივი სიტყვები: არსებითი, ზედსართავი სახელები და წინდებულები მონაწილეობდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერძნული სუფიქსები მშობლიურ სიტყვებს ვერ/არ უკავშირდებოდნენ და ზოგიერთმა მათგანმა განიცადა ნაწილობრივი ან სრული ანგლიცირება. ეს არ ეხებათ პრეფიქსებს, რომლებიც თავისუფლად ერწყმიან ნებისმიერი ძირის სიტყვას.

არსებითი სახელები: **Anemo** (Gk. anemos-wind): anemograph, anemometer, anemoscope

**Antho** (Gk. anthos- flower) anthology, anthochlorin, anthogenetic, anthopagous

**Bio** (Gk. bios-way of life) biochemistry, biogenesis, biograph, bionomics, biosphere

და უამრავი სხვა სიტყვა, რომელთა შეთხზვაშიც მონაწილეობენ **Broncho-, Cepalo-, Chrono-, Geo-, Helio-, Hydro-, Litho-, Logo-, Neuro-, Phisio-** და ა.შ.

შემდეგი ზედსართავი სახელები კი ქმნიან საკმაოდ პოპულარული სიტყვების დიდ ჯგუფს: **Acro-, Aero-, Archaeo-, Auto-, Caco-, Eu-, Hemi-, Hetero-, Holo-, Homo-, Idio-, Macro-, Megalo-, Mono-, Neo-, Pan-, Poly-**და ა.შ.

ბერძნულ წინდებულებსაც არანაკლები მნიშვნელობის სიტყვების შექმნაში აქვთ მონაწილეობა მიღებული: **Amphi-, Anti-, Apo-, Cata-, Dys-, Endo-, Epi-, Hyper-, Meta-, Para-, Peri-, Syn-, Syl-, Sym-** და ა.შ.

ბერძნულ რთულ სიტყვებში მეორე ელემენტი ხშირად მეორდება სხვადასხვა სიტყვებში, მაგალითად: **-phile, -phobe (-phobia), -archy, -mania, -logy, -mancy, -gram, -graph, -scope, -phone, -morphic, -pathy, -meter (metry)**. ყველაზე ფართოდ გავრცელებული ზმნური სუფიქსი, რომელიც დღესაც არსებობს არის **-ize**, რომელიც ერთვის არა მარტო პირდაპირ ბერძნული სიტყვის ძირს, არამედ ბერძნულიდან ლათინური ან ფრანგული ენის გავლით ნასესხებ სიტყვას (**-ise**) და არამარტო ბერძნული ძირის სიტყვასაც (**macadamise**).

არსებითი სახელის მაწარმოებელი ბერძნული სუფიქსები **-ism** და **-ist** დღესაც მოქმედი სუფიქსებია, რომლებიც ასევე თავისუფლად ერთვის არაბერძნული ძირის მქონე სიტყვასაც.

მიზეზები, რის გამოც ხდებოდა ბერძნული ენიდან სიტყვების შესება ინგლისურ ენაში აშკარაა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ლექსიკური სიახლის მიზანია ახალი საგნების, ადგილების, ადამიანების თუ ზოგადად ნებისმიერი ცნების დასახელება, სახელის დარქმევა. ვაინრიხი ნასესხებ სიტყვას ასეთ სიახლედ მიიჩნევს და თვლის, რომ ნასესხობა ლინგვისტს ეხმარება განსაზღვროს თუ რა შეიძინა ერთმა ენობრივმა საზოგადოებამ სხვა ენობრივი საზოგადოებისაგან (Weinreich, 1968:56). ბლუმფილდი კი განმარტავს, რომ „კულტურული ნასესხობა“ (სხვა ენებიდან ნასესხები ნიმუშები) უპირისპორდება „დიალექტურ ნასესხობას“ (იგივე ენობრივი არეალიდან). იგი მიიჩნევს, რომ ადამიანთა სახელები (Alexander, Ambrose, Andrew, Demetrius, Dennis, George, Nick, Timothy, Barbara, Cassandra, Helene, Irene, Olympia, Sophia და სხვა) „კულტურული ნასესხობის“ მაგალითებია, ხოლო „ლექსიკური ნასესხობა“, მზა აღნიშვნები, საგანთა სახელები და სხვადასხვა ცნებები უფრო ეკონომიურია ვიდრე ხელახალი სახელდება (Bloomfield, 1968:37).

არასაკმარისი თუ არაშესატყვისი ერთეულების არსებობა ენაში არ არის ერთადერთი მიზეზი ლექსიკური სიახლეების ძიებისა. შიდა ლინგვისტური ფაქტორებიც ხელს უწყობს ახალი ერთეულების სესხების პროცესს. ასეთ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვათა გამოყენების დაბალი სიხშირე. ხშირად გამოყენებული სიტყვები ადვილად რჩება გონებაში და გაცილებით სტაბილურობით ხასიათდება. როგორც ვნახეთ, ზოგჯერ „წიგნური“ სიტყვაცი ჩაენაცვლება მშობლიურ სიტყვას გამოყენების სიხშირისა და პოპულარობის გამო. გარკვეულწილად ეს სოციალურ ღირებულებებსაც უკავშირდება, როდესაც „პრესტიჟულად“ შერაცხული ენიდან თავისუფლად ხდება ახალი ცნებებისთვის იქ არსებული სახელების გადმოტანა. ბერძნულს ესეთი პრივილეგია ყოველთვის ჰქონდა. ასეთი გავლენა განსაკუთრებით „წიგნური“ სიტყვების ნასესხობაში ვლინდება. ბერძნულმა ფრაზებმაც გარკვეულწილად საერთაშორისო მნიშვნელობები შეიძინეს და ყოველდღიურ გამოყენებაში აქტიურად ჩაერთვნენ: Pandora's box, Achilles' heel, in the arms of Morpheus, Elysian fields, Oedipus complex, platonic love, deux ex machina, Herculean task, Hippocratic oath, Parthian shot, between Scylla and Charybdis და სხვა.

როგორც ვნახეთ, პირდაპირ ბერძნულიდან ნასესხები სიტყვების ჯგუფი მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩევა. მათი უმრავლესობა საეკლესიო და წიგნური ხასიათისაა. ადრე ნასესხებ სიტყვებში პოლისემია სესხების პერიოდისათვის არ არის დამახასიათებელი, იგი მოგვიანებით უფითარდებათ საუკუნისა და გამოყენების არეალის მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება სამეცნიერო ტერმინოლოგიას, თუკი სიტყვის სესხება ტერმინად ხდებოდა იგი ტერმინადვე რჩებოდა, ხოლო თუ ნასესხები ელემენტებისაგან ხდებოდა მისი შეთხზვა იგი იქმნებოდა ინგლისურ ენაში და აქედან ვრცელდებოდა მთელ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. ამ მხრივ კი განსაკუთრებითი აქტიურობით გამოირჩევიან პრეფიქსები.

### თავი III

#### ბერძნულ-ლათინური ნასესხობების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ინგლისურ ენაში

##### 3. 1. სემანტიკური ცვილებების ტიპები და გამომწვევი მიზეზები

საზოგადოდ, არ არსებობს ენა, რომელშიც არ იყოს ნასესხები სიტყვები. ეს არის ფაქტი და არა ღირსება. ამასთან, სესხება არაა ნებისმიერი, ანუ თავისუფალი. ენა თვითონ აწესებს ნორმებს, იქმნის ე.წ. იმუნიტეტს, რომლითაც იგი ფილტრავს სხვა ენის ერთეულებს. ენა თვითონ შეიმუშავებს თავდაცვის იმ ხერხებს, რომელთა საშუალებით, იგი არა ყოველ და არა ნებისმიერი ფორმით იღებს სიტყვას. იმ შემთხვევაში, როცა უცხო სიტყვა სხვა ენაში ფუნქციურ სტატუსს მიიღებს და ზეპირიდან წიგნიერ (წერილობით) მეტყველებაში გადავა, თავის „უცხოურობას“ კარგავს და კონტექსტისთვის ბუნებრივ ელფერს იძენს. ზეპირ მეტყველებაში უცხო ენიდან შემოსული სიტვა ლეგიტიმური ხასიათის არაა. ის ლეგიტიმური ხდება მხოლოდ წერილობით მეტყველებაში გადასვლის შემდეგ და კარგავს უცხოურობის სტატუსს. ენის განვითარების ერთ-ერთ ასპექტად მოიაზრება მისი ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ეს პროცესი კი მოიცავს ენაში შემოსულ ნეოლოგიზმებს, ახალი ცნების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს, ნასესხებ სიტყვებს. „ნეოლოგიზმებსა და ნასესხებ სიტყვათა შორის ურთიერთკავშირი იმდენად არსებობს, რამდენადაც ნეოლოგიზმების წარმოქმნდა ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, ჩვეულებრივ, ახალი ობიექტების გაჩენით არის განპირობებული. ეს ერთეულები ენაში მოქმედი

წესების მიხედვით იქმნება უკვე არსებული მორფემებისა და ლექსემების საფუძველზე ან შემოდის სესხების გზით (თ. გამყრელიძე, 2003: 389). ნეოლოგიზმი ერთ ენიდან მეორეში გადასვლისას ენის გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. იგი, შესაძლებელია, რეციპიენტი ენის მოდელის მიხედვით იქნეს წარმოებული ან ნასესხები. ზოგადად, ენაში უცხო სიტყვა ორი გზით შემოდის: წიგნიერით და ზეპირი საშუალებით. ამას ლინგვისტური ენით სესხება ჰქვია. წიგნიერი და ზეპირი სესხება ურთიერთკავშირშია და მათი ურთიერთდამოკიდებულება იმის მაჩვენებელია, რომ სესხების ეს საშუალებები, უცხო ენიდან შემოსული სიტყვების დამკვიდრების ფორმა, დამოკიდებულია როგორც სამეტყველო, ისე წერილობით მხარეზე. ზოგადად, არსებობს ნასესხობათა სამი ჯგუფი: 1. სრულად ადაპტირებული – ისინი არაფრით გამოირჩევიან მკვიდრი ერთეულებისგან; დაშორებულნი არიან პირველწყაროს. ასეთმა ნასესხობამ შეიძლება გამოდევნოს მკვიდრი ერთეული. 2. ნაწილობრივ ადაპტირებული – ამ დროს ლექსემებს შეიძლება ჰქონდეთ ფონეტიკური ან გრამატიკული თვისებები. 3. არადაპტირებული – ისინი მკვიდრი ერთეულებისგან გამოირჩევიან ბგერითი, ორთოგრაფიული, სემანტიკური, გრამატიკული ნიშნებით. ძირითადად, აღნიშნავენ უცხო რეალიებს ან განეკუთვნებიან სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკას (თ. გამყრელიძე, 2003: 390).

ენაში უცხო სიტყვათა შემოსვლა-დამკვიდრება ხშირად საჭიროებითაა გამოწვეული. საჭიროებას, თავის მხრივ, ქმნის ენაში ის ხარვეზი, როცა რაიმე ცნების აღმნიშვნელი სიტყვა არ არსებობს ენის ლექსიკურ მარაგში. თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ნასესხებ სიტყვას მიმღებ ენაში ხვდება იმავე მნიშვნელობის სიტყვა, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, სხვა ან იმავე ენიდან ადრე ყოფილიყო მიმღებ ენაში დამკვიდრებული (display-monitor). მიუხედავად ამ ტენდენციისა, სესხება მაინც ხდება. ამ შემთხვევაში ეს ორი სიტყვა ერთმანეთის სინონიმებად ფორმდება. ასეთი სიტყვები მრავლად მოიძებნება ტერმინთა შორის.

ფაქტია, რომ არც ერთი ენის ლექსიკა არ შეიძლება ჩაითვალოს ჰომოგენურ და უცვლელ ერთიანობად. ენა, შედარებით იზოლირებულიც კი, რომელიც მოწყვეტილია გარე ზეგავლენას, ვერ დარჩება მუდმივად უცვლელი. ეს

ცვლილება ენის ყველა სფეროს ერთნაირად ეხება – ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსსა და რაც ყველაზე მთავარია, ლექსიკას. ლექსიკა ყოველთვის ყველაზე მეტად არის ღია და მიდრეკილი ცვლილებებისაკენ და დამოკიდებულია მისი მატარებელი ხალხის განვითარებასა და ისტორიულ გარემოცვაზე. ჯერ კიდევ ჰორაციუსი აღნიშნავდა ლექსიკაში მიმდინარე ცვლილებებს და მათ აუცილებელ მოვლენად მიიჩნევდა:

“Ut silvae foliis mutantur in annos,

Prima cadunt; ita verborum vetus interit aetas,

Et iuvenum ritu florent modo nata vigentque” (Horatius Flaccus: 60-62).<sup>6</sup>

ლექსიკური ერთეულების ეტიმოლოგიური კვლევისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ელემენტები, რომელთა წარმომავლობის დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება. ეს შეიძლება იყოს ის ერთეულები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო მხოლოდ განსახილველ ენაშია შემორჩენილი; ან ის გარე ფაქტორები, რომლებიც ადგილობრივ ენაზე მოქმედებდნენ. როგორც ისტორიულ მიმოხილვაში აღვწერეთ, ჩვენს შემთხვევაში ერთერთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს დამპყრობელთა მიერ ადგილობრივი ენის შეზღუდვის ან გაძევების ფაქტიც. ეს შეიძლება იყოს, როგორც ვნახეთ, აგრეთვე, ნასესხობები, რომლებიც კულტურულ და კომერციულ ურთიერთობებზე მიუთითებს, ასევე საომარი ტერმინოლოგია და სხვა.

ყველა ენაში უცხოენოვანი ლექსიკის არსებობას, რა თქმა უნდა, თავისი წინაპირობა აქვს კონტაქტების სახით, რომლებიც ისტორიულად არსებობდა ამ ენების მატარებელ ხალხებს შორის, რადგანაც ასეთი სახის კონტაქტები უდაოდ იწვევს ამ ენათა მჭიდრო ურთიერთგავლენას, რასაც შედეგად ენათა შენაცვლება მოჰყვება. ამ ურთიერთგავლენის აშკარა მაგალითებია ინგლისური ენის ურთიერთობები ლათინურ, ფრანგულ და სკანდინავიურ ენებთან. ჩვენს მიერ განხილული მასალა, შეიძლება ითქვას, ლექსიკური ინტერფერენციის შედეგია. ლექსიკა ყველაზე მეტად ექვემდებარება ასეთი ინტერფერენციის გავლენას, რადგან ფონეტიკური და გრამატიკული სისტემებისაგან განსხვავებით, იგი ნაკლებად სტრუქტურირებულია და ამიტომ

---

<sup>6</sup>“როგორც ხეები იცვლიან ფოთლებს დროთა განმავლობაში, და ძველები ადრე დასცვივდება, ისე კვდებიან სიტყვების ძველი თაობაც, და როგორც ახალგაზრდები, ყვავიან და არსებობენ ახლად დაბადებულნი”.

უფრო ღია ცვლილებების მიმართ. მეიე აღნიშნავს, რომ „ლექსიკა სესხების სფერო“ (Meillet, 1958:84). დონორი ენიდან სიტყვების სესხება არ არღვევს რეციპიენტი ენის ლექსიკის მთლიანობას, პირიქით, გარკვეულწილად ავსებს და ამდიდრებს მას, თუკი საქმე ეხება ახალი და სრულიად უცნობი ცნებების სესხებას. შინაარსობრივი სიახლე უზრუნველყოფს ახალი ნასესხობების სიცოცხლისუნარიანობას მიმღებ ენაში. ვაინრაიხის მტკიცებით: „ახალი საგნების, ადგილებისა და ცნებების აღნიშვნის საჭიროება ლექსიკური ინოვაციების აშკარა მიზეზია“ (Weinreich, 1963:56). ასეთი ნასესხობები მეტნაკლებად ასიმილირდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შედის ხმარებაში საგანი თუ ცნება, რომელსაც ის აღნიშნავს. ნასესხებმა სიტყვამ უნდა გაიაროს ხანგრძლივი ადაპტაციის პერიოდი სანამ ის საბოლოოდ დამკვიდრდება ენაში. შინაარსობრივი ჯგუფების გამოყოფა კი აადვილებს იმის დადგენას თუ რა შეითვისა ერთმა ენობრივმა ჯგუფმა მეორისაგან ლექსიკური სესხებისას.

ისტორიულ-ფილოლოგიური სემანტიკა სემანტიკური ცვლილებების ოთხ ძირითად ფაქტორს გამოარჩევს. მათი გამოყოფა კი ეფუძნება განსხვავებებს სემასიოლოგიურ და ონომასიოლოგიურ მექანიზმებს შორის. თუკი სემასიოლოგიური მექანიზმი განიხილავს ახალი მნიშვნელობის განვითარებას ენაში არსებული ლექსიკური ერთეულის შიგნით, ონომასიოლოგიური ან ლექსიკოგენეტიკური მექანიზმი, როგორც მას ზოგიერთი ევროპელი ლინგვისტი უწოდებს (Taylor, 2015:419. Traugott, 1989:179. Winters, Tissari, Allan, 2010:93), სემასიოლოგიურისაგან განსხვავებით სრულიად ახალი, ალტერნატიული ლექსიკური ერთეულით გამოიხატება. სემასიოლოგიური მექანიზმის არსებობა ენაში უზრუნველყოფს არსებული სიტყვების ახალი მნიშვნელობებით გამდიდრებას, ხოლო ონომასიოლოგიური მექანიზმი ცნებებს ისე აკავშირებს სიტყვასთან, რომ სიტყვა ჯერ კიდევ არ არის ენის ლექსიკური მარაგის ნაწილი. სემასიოლოგიურ მექანიზმებში განსხვავება არის დენოტაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობებს შორისაც. დენოტაციური მნიშვნელობის ცვლილება თავისმხრივ იყოფა ანალოგიურ და არაანალოგიურ ცვლილებებად იმის მიხედვით იმეორებს თუ არა ახალი მნიშვნელობა მასთან დაკავშირებული გამონათქვამის სემანტიკას. აქედან გამომდინარე



განასხვავებენ დენოტაციური მნიშვნელობის არაანალოგიური ცვლილებების ოთხ ძირითად ტიპს: მნიშვნელობის დავიწროება, მნიშვნელობის გაფართოება, მეტონიმია და მეტაფორა.

სემანტიკური მნიშვნელობის დავიწროება და გაფართოება ლექსიკურ-სემანტიკური ცვლილებების ტიპია, რომლის დროსაც ლექსიკური ნიშანი ახალ მნიშვნელობას განივითარებს, რომელიც თავისმხრივ ძველი მნიშვნელობებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. დავიწროების შემთხვევაში ძველი მნიშვნელობა შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ დაიკარგოს ენიდან და მისი ადგილი სრულიად ახალმა მნიშვნელობამ დაიკავოს. რაც შეეხება მნიშვნელობის გაფართოებას, აქ ახალი მნიშვნელობა მოიცავს ძველსაც ან დამოუკიდებლად ვითარდება ძველი მნიშვნელობის პარალელურად.

რადგან არაანალოგიური ცვლილებების დარჩენილი ორი ტიპი მეტონიმია და მეტაფორა ჩვენი კვლევის საზღვრებს სცილდება შემოვიფარგლებით მხოლოდ მცირე მიმოხილვით. მეტონიმია – სემანტიკური კავშირია ლექსიკური ერთეულის ორ მნიშვნელობას შორის, რომელიც ამ ნიშნების ცნებით მომიჯნავეობას ემყარება; ხოლო მეტაფორა განიხილება როგორც მსგავსება და არა მნიშვნელობის მომიჯნავეობა.

მნიშვნელობის არადენოტაციური ცვლილებები კონოტაციურ მნიშვნელობებს ეხება. ძირითადი ტიპებია კნინობითი (pejorative) ცვლილება – დადებითიდან უარყოფითი მნიშვნელობისაკენ და ამელიორაციული (amelioration) - გაუმჯობესებელი, გაკეთილშობილებელი ცვლილება უარყოფითიდან დადებითი მნიშვნელობისაკენ. მაგალითად სიტყვა boor, რომელიც მეცამეტე საუკუნეში ინგლისურმა ენამ ძველი ფრანგულიდან ისესხა „ფერმერს, გლეხს, მიწასთან მომუშავეს“ აღნიშნავდა (ფრ. bovier >ლათ. bovis (გენტივის ფორმა) >ლათ. bos „ძროხა, ხარი“). მეთექვსმეტე საუკუნიდან მას განუვითარდა „გაუთლელი, ხეპრე, უხეში ადამიანის“ მნიშვნელობაც. სიტყვამ ამ შემთხვევაში განიცადა დენოტაციური და ემოციური მნიშვნელობების ცვლილება. ემოციური მნიშვნელობის შეცვლა ამ შემთხვევაში დენოტაციური მნიშვნელობიდან დამოუკიდებლად ვერ მოხდებოდა. ასეთი ცვლილებების გავლენით ზოგიერთ შემთხვევაში საწყისი მნიშვნელობის შენარჩუნება ვერ

ხერხდება. (თუმცა როგორც ჩანს მხოლოდ ჰოლანდიურში შეინარჩუნა boor-მა ორივე მნიშვნელობა).

აქვე უნდა აღვნიშნოთ კინობითი და ამელიორაციული ცვლილებების დამოკიდებულება ევფემიზმსა და დისფემიზმს შორის. ევფემიზმი არის დადებითი (თუმცა შედარებით ნეგატიური) მნიშვნელობის სიტყვის გამოყენება უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სიტყვის ნაცვლად, რომელსაც მცირედ განსხვავებული დენოტაციური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

დისფემიზმი კი ნეგატიური, უხეში, მკვახე სიტყვის გამოყენებაა.

ანალოგიური ცვლილებების ჯგუფი მოიცავს სემანტიკურ ცვლილებებს, რომელშიც ერთი ენის სიტყვას გადმოაქვს მეორე ენის იმავე სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობა. ეს პროცესი ცნობილია სემანტიკური კალკირების ან სემანტიკური სესხების სახელით. კალკირების მაგალითია ბერძნული *ἀρχαϊσμός* არსებობა ინგლისურ ენაში.

ლექსიკურ-სემანტიკური ცვლილებების კლასიფიკაცია ძირითადად სემასიოლოგიურ მოვლენებს ეხება. ენაში არსებული სიტყვის სემასიოლოგიური მნიშვნელობების განვრცობა ონომასიოლოგიური ცვლილებების ერთ-ერთი მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ცნება, რომლის გამოხატვაც საჭიროა, უკავშირდება ლექსიკურ ერთეულებს. ამ მხრივ სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენა, ონომასიოლოგიური ცვლილებების შესწავლა უფრო ფართოდ ხდება და საკმაოდ საინტერესო „არტეფაქტებიც“ ვლინდება.

მეტონიმიაში, მეტაფორასთან კომბინაციაში, შესაძლოა სიტყვის მნიშვნელობა ნებისმიერი მიმართულებით გადახაროს. მაგალითად ლათინური ძირის მქონე სიტყვათა ჯგუფში *tempest*, *tempo* და ა.შ. ძირი ლათინური *tempus* (*time*, დრო) უკავშირდება. ძირის მნიშვნელობა არ იძლევა საკმარის ინფორმაციას მისგან ნაწარმოები სიტყვების მნიშვნელობების გასაგებად. *tempo*, *temporal*, *temporary* არ საჭიროებს მნიშვნელობის ზედმეტ, დამატებით განმარტებას, მაგრამ კავშირი „დროს, *time*“ და სიტყვათა ჯგუფს, *temper*, *temperature*, *temperament*, შორის რამდენადმე დაუკავშირებელია. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ნეიტრალური (*neutral*), დადებითი (*positive*) და უარყოფითი (*negative*) მნიშვნელობები. *weather* (ამინდი) შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი. თანამედროვე *weather* ნეიტრალური მნიშვნელობისაა, თუმცა ძველი

ინგლისური *weder*, „შტორმს, ქარიშხალს“ აღნიშნავდა, ხოლო სლავურში „*vedro*“ – „კარგ ამინდს“. მსგავსად ლათინური *tempus* დროსთან მიმართებაში აღნიშნავდა კარგ დროსაც და ცუდსაც. აშკარაა, რომ ლათინური *temperare* დადებითი შინაარსის სიტყვა იყო, ხოლო *tempestas* აერთიანებდა „სეზონის, პერიოდის“ მნიშვნელობას „ცუდ დროსთან, შტორმთან“. ამიტომ *temperate* და *tempest* სემანტიკური სპექტრის საპირისპირო მხარეს აღმოჩნდებიან, ხოლო *temperature* მათ შორის.

მეტონიმის შემთხვევები შესაძლოა განუსაზღვრელი იყოს, რადგანაც ყველა საგანს ასევე განუსაზღვრელი, მასთან დაკავშირებული „რამ“ ჰქონდეს. მაგალითად, *poltrone* (უსულო, მხდალი) სიტყვის მნიშვნელობას თუ დავაკვირდებით დავინახავთ მნიშვნელობის განვითარებას „ავეჯის ნაწილიდან“ ამ „ავეჯზე მიტმასნილ ადამიანამდე“. ეს იშვიათი და წიგნური სიტყვა ინგლისურ ენაში ფრანგულიდან შევიდა. სიტყვა პირველად ფრანსუა რაბლემ გამოიყენა. ფრანგულში იტალიური *poltrone*-დან „უსაქმური, უქნარა, ზარმაცი“-ის მნიშვნელობით. იტალიურში *poltrona* აღნიშნავდა „ზარმაც ქალს“ და „რბილ სავარძელსაც“. იტალიელებმა თავის მხრივ *poltrone-poltrona* გერმანელებიდან *polster*-ის (ბალიში) ფორმით ისესხეს. *poltrone* საწყისი მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო ტახტი, დივანი (*coach*) ან დივანზე მიჯაჭვული ადამიანი (*coach potato*). მაგრამ თანამედროვე ეტიმოლოგიური კვლევების მიხედვით ფრანგული *poltron* უკავშირდება ლათინურ *pullus*-ს (ახალგაზრდა ცხოველი) ხალხური ლათინურის გავლენით. ეს მოსაზრებაც გასათვალისწინებელია, რადგანაც ახალგაზრდა ცხოველი, კვიცი, ჩოჩორი შეიძლება ზანტი, ზარმაცი, ჯიუტი იყოს. აქ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ცხოველთა სახელები ადვილად გადადიოდა ნებისმიერ საგანზე; მაგალითად, ცხენი, დვირი როგორც ერთ-ერთი ათლეტური სავარჯიშო ერთეული. ლათინური \**pulliter* ფრანგულმა ისესხა *poutre* ფორმით, როგორც ავეჯის სახე. ასოციაცია ამ მნიშვნელობასთან არის წოლა, დასვენება, განტვირთვა ვიდრე მორიდება ან ცხენი. ისტორიული ჭრილიდან გამომდინარე *poltrone* (*foal* და *idler*) ერთი და იგივე ეტიმონიდან უნდა ყოფილიყო განვითარებული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ომონიმებიც, ერთი და იგივე სიტყვები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებით. იაკობ გრიმის მიხედვით ომონიმთა ძირები ერთი და იმავე ეტიმონს უკავშირდება. მაგალითად დავაკვირდეთ სიტყვებს, რომელთა ძირშიც არის spa. Spade (მიწათმოქმედების იარაღი) გერმანიკული სიტყვაა, რომელიც ბერძნულ *spáthē*-ს (ხანჯალი, ბასრი საჭრელი) უკავშირდება. Spade, ბანქოს ფერი იტალიური spade-დან იქნა ნასესხები, რომელიც თავის მხრივ ლათინურის გავლით ისევ ბერძნულ არსებით სახელს უკავშირდება.

სიტყვა ხშირად მის ანტონიმურ მნიშვნელობასაც იძენდა. მაგალითად ზედსართავი restive მეთექვსმეტე საუკუნეში ფრანგულიდან ისესხა ინგლისურმა ენამ „უმოდრაო, უძრავი, ადგილზე გაჩერებული“ მნიშვნელობით, თუმცა სიტყვის ძირი ლათინურ *restāre*-ს (უკან დახევა, დარჩენა *re-* "უკან" + *stāre* "დგომა") უკავშირდება. ცხენი ითვლებოდა ურჩად, ოჩანად (restive-დ) თუ გაჯიუტდებოდა და არ უნდოდა ფეხის გადადგმა. ამიტომ სიტყვამ ურჩის, ჯიუტის (stubborn) მნიშვნელობა შეიძინა. ორი საუკუნის განმავლობაში restive გახდა აბსოლუტურად საპირისპირო restless, მოუსვენარი, დაუდგრომელი, დაუცხრომელისა.

ხშირად ანტონიმური წყვილების განვითარება გამოწვეულია იმით, რომ ნეიტრალური მნიშვნელობა ვითარდება საწინააღმდეგო მიმართულებით. მაგალითად, ლათინური hostis (მტერი), საწყისი მნიშვნელობა აღნიშნავდა უცხოელს. მისი გერმანიკული შესატყვისია \*gastiz (guest, სტუმარი), გერმანული Gast, გუთური gasts. სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა საწყისი მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო „უცხო, უცხოელი“. ლათინური hospes (host, guest, stranger) hostis მონათესავე ეტიმონია hospitable-ისა, თუმცა hostis-ის ძირი აშკარაა host-ში და hostile-შიც.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს ენანტიოსემია (enantiosemy, პოლისემიის შემთხვევა, როცა ერთი მნიშვნელობა მეორის საპირისპიროა) არ არის კავშირში ამელიორაციასა და დაკნინებასთან, თუმცა მათ შორის კავშირი ზოგიერთ შემთხვევაში აშკარაა.

სიტყვებს თავიანთი ლინგვისტური ისტორია აქვთ. სხვადასხვა მათემატიკური სიდიდეების, სამეცნიერო თემისა თუ ფენომენის სახელწოდებები შექმნილია

ზმნების, არსებითი თუ ზედსართავი სახელებისაგან იმ პერიოდში, როდესაც ბერძნული და ლათინური განათლებისა და ცივილიზაციის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ამიტომ, მრავალ სამეცნიერო სიტყვას ისტორიული დამოკიდებულება აქვს ამ ენებთან.

ამ სიტყვების ეტიმოლოგიების შესწავლამ შეიძლება ჩვენი ცოდნა ამ საგნების ან საკითხის შესახებ არ გაამდიდროს, მაგრამ მათი წარმომავლობის დადგენა და ენაში დამკვიდრების პროცესი ნათელ სურათს ქმნის იმ პერიოდის ენობრივ მოთხოვნებზე, შეზღუდვებსა თუ გამოწვევებზე. ნაცნობი სახელების შესწავლა მათი ახალი ისტორიების გამოაშკარავებას უწყობს ხელს.

### **3. 2. უშუალოდ ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები**

#### **Cell - უჯრედი**

*L. cella* (პატარა ოთახი, ქოხი) < *L. cēlāre* (დამალვა, დაფარვა) < Gr. *καλιά* (ქოხი). *cell* ადრეულ მეთორმეტე საუკუნეში ისესხა ინგლისურმა ენამ შუასაუკუნეების ლათინური *cella*-დან, რომელიც (1) პატარა მონასტერს ნიშნავდა, მოგვიანებით კი (2) ბერის, მონაზვნის კელიას(!), განდგომილის საცხოვრებელს. მეთორმეტე საუკუნეში (3) საპყრობილის ოთახების მნიშვნელობაც შეიძინა. მეთოთხმეტე საუკუნის ჩანაწერებში გვხვდება როგორც (5) „ტვინის განყოფილებები“. ბიოლოგიური ტერმინი განვითარებას იწყებს მეჩვიდმეტე საუკუნიდან, ხოლო თანამედროვე მნიშვნელობა (6) „უჯრედი“, როგორც „ცოცხალი ორგანიზმის ძირითადი შემადგენელი სტრუქტურული და ფუნქციონალური ერთეული“ ლექსიკონებში თარიღდება 1845 წლიდან.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და პოლისემიის განვითარებაც.

## Peace

ეტიმოლოგიურად *peace* დაბმას, დამაგრებას, მშვიდი მდგომარეობის მიღწევას ნიშნავს. ლათინური ძირი *L. pacem* (სახელობითი ბრუნვის ფორმა *pāx*) საფუძვლად უდევს *appease, pacific, pacify, pay* და სხვ., რომლებიც ფრანგულის გავლით შემოვიდნენ XII საუკუნეში ინგლისურ ენაში და „სამოქალაქო არეულობიდან თავისუფლებას“ აღნიშნავდა.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება თუმცა პოლისემია არ განვითარებულა და სიტყვის საწყისი მნიშვნელობა შენარჩუნდა.

## Gentle დამჯერი, მორჩილი

ME. *gentil* < L. *gens*

საწყისი მნიშვნელობა: კეთილშობილი

ახალი მნიშვნელობა: ზრდილობიანი, გაწონასწორებული ქცევით.

მეცამეტე საუკუნის დასაწყისში სიტყვა აღნიშნავდა კეთილშობილ, მდიდარ ოჯახში დაბადებულს. სიტყვის ლათინური ძირი *gens* (*gentis* გენიტის ფორმა, „იმავე გვარის, კლანის წევრი, წარმომადგენელი“ < პროტო-ინდოევროპული \**gene-* „დაბადება“) საფუძვლად დაედო მრავალ სიტყვას, *generate, gentry, degenerate, geneus, gentile, genteel* და ა.შ.

მნიშვნელობა გულისხმობდა იმას, რომ თუკი ადამიანი კეთილშობილი ოჯახიდან იყო მისი ქცევაც ადეკვატური უნდა ყოფილიყო. მეცამეტე საუკუნეში შექმნილი მოწყალე, კეთილი, შემწყნარებელის მნიშვნელობა ქრისტიანული ან რაინდული ქცევისთვის დამახასიათებელი გახდა. *gentleman* (არსებითი სახელი) და *gentile* (ზედსართავი სახელი) მოგვიანებით შექმნილი მნიშვნელობები გარკვეულწილად ინარჩუნებენ ლათინური ძირის ბიბლიურ აზრს, (საშუალო ინგლისურში *gentile* სშირად გამოიყებებოდა „წარმართის, კერპთაყვანისმცემელის“ მნიშვნელობით). ამავე ძირიდანაა ნაწარმოებიც *genteel*, რომელიც ფრანგული ენიდან ისესხა ინგლისურმა ენამ და 1800 წლებში გამოიყენებოდა „ფერიებთან მიმართებაში“.

მართალია სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა, მაგრამ სიტყვას ახალი მნიშვნელობა არ შეუძენია.

## **Gout**

### *L. gutta*

საწყისი მნიშვნელობა: დაგარდნა, დაცემა

ახალი მნიშვნელობა: ნეკრესის ქარი, სახსრების ანთება

სიტყვის ძველი და ახალი მნიშვნელობები (*L. gutta* "a drop," ) ერთმანეთს სამედიცინო სფეროში დაუკავშირდა. ესაა დაავადება, რომელიც იწვევს სახსრების შესიება-შეშუპებას და თან ახლავს საშინელი ტკივილი. ძველი დროის ექიმები თვლიდნენ, რომ ორგანიზმისათვის არასაჭირო ნივთიერებები სისხლის საშუალებით სახსრებში „ვარდებოდა“ და იქ გროვდებოდა. მართალია მაშინდელი ექიმები დიაგნოზის დასმის სიზუსტით შეიძლება ვერც გამოირჩეოდნენ, მაგრამ მიზიდულობის კანონის თანახმად ამტკიცებდნენ, რომ ეს მავნე ნივთიერებები ქვედა კიდურებისაკენ მიემართებოდნენ და ამიტომ ქვედა კიდურების სახსრების ტკივილი უფრო ძლიერი იყო. შუა საუკუნეებში ამ დაავადებას „მდიდრების ავადმყოფობასაც“ უწოდებდნენ, რადგანაც ისინი ვისაც მსგავსი ჩივილები ჰქონდა ალკოჰოლის ხშირი მომხმარებელი იყო, ე.ი. შექცეულიც.

თანამედროვე სამედიცინო განმარტებით სახსრების ანთების გამომწვევი არის შარდმჟავას დაგროვება ორგანიზმში. დიდი რაოდენობით ალკოჰოლი, ფრუქტოზა იწვევს ორგანიზმში შარდმჟავას კონცენტრაციის მომატებას, რაც სისხლის საშუალებით სახსრებში გროვდება.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის დავიწროება.

## **Hospital**

### *L. hospitem*

საწყისი მნიშვნელობა: ღარიბთა თავშესაფარი (13 ს.)

ახალი მნიშვნელობა: საავადმყოფო

სიტყვის ძირი პროტო ინდო-ევროპული უნდა იყოს \**ghostis* (“უცხო, უცნობი”). ლათინური ფორმა, საიდანაც ინგლისურმა ენამ ისესხა *hospital* იყო *hospitem* (*hospes*, სტუმარი, მასპინძელის სახელობითი ბრუნვის ფორმა). ლიტერატურულად იგი აღნიშნავდა *hospitāle*,” Lord of strangetrs”. სიტყვებს *hospital*, *hotel*, *hostel*, *hospice* აშკარად საერთო ძირი აქვთ.

დროთა განმავლობაში ღარიბთა სახლი, თავშესაფარი საქველმოქმედო ინსტიტუტად გადაიქცა, უფრო მოგვიანებით კი გახდა ადგილი სადაც სტუმარს მეგობრულად ხვდებოდნენ და hospital უფრო სპეციალიზირებული გახდა ვიდრე მისი მონათესავე hotel და hostel. თუმცა დროებითი „თავშესაფრის“ მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნეს. პირველ შემთხვევაში მოგზაურობის დროს და მკურნალობის კურსის ჩასატარებლად მეორეს შემთხვევაში. ამ მნიშვნელობით სიტყვა პირველად დაფიქსირდა 1540 წელს.

სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა. საწყისი მნიშვნელობა მართალია დაიკარგა, ახალ მნიშვნელობას კი პოლისემია არ განვითარებია.

### **Barbarian**

ME. barbar, barbarik < L. *barbarus* < Gr. *βαρβαρος*

საწყისი მნიშვნელობა: უცხოელი

ახალი მნიშვნელობა: მავნე, უვარგისი ადამიანი

barbarian ყოველთვის უარყოფითი სიტყვა არ ყოფილა. ანტიკური ხანის საბერძნეთი უღაოდ იყო კულტურის აკვანი. ბერძნები უცხოელად თვლიდნენ ყველას ვინც ბერძნულად არ საუბრობდა. მათთვის ნებისმიერი უცხო ენა ლუღლუღად, უაზრო ბგერების თანმიმდევრობად ჟღერდა, ამიტომ მათ უცხოელებს *barbaroi* უწოდეს, რაც ინგლისურმა ენამ barbarian ფორმით ისესხა.

barbarian-barbarians საუკუნეების განმავლობაში უცხოელებს აღნიშნავდა და არანაერი უარყოფითი მნიშვნელობა არ ჰქონია. ტენდენცია იმისა, რომ უცხოელები გონებრივად განსხვავდებოდნენ ბერძნებისაგან, ფიზიკურად უხეშები ან უბრალოდ მავნებლები არიან გაჩნდა მას შემდეგ, რაც ადამიანთა მოდგმამ (განსაკუთრებით მიდიელები და სპარსელები) უარყოფითი კვალი დააჩნია კაცობრიობას, სპარსეთთან ომის შემდეგ უფრო დაკნინდა სიტყვის მნიშვნელობა. ბარბაროსთა გამოჩენას ევროპაში ნგრევა მოჰყვებოდა. სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ უცხოელებთან მიმართებაში გამოიყენებოდა. იგი აღნიშნავდა დაუხვეწავ, საზოგადოებაში გამოუსვლელ, გაუნათლებელ ადამიანს, თუნდაც მაღალი წრისასაც. მოგვიანებით იგი აღნიშნავდა ქალის მჩაგვრელ მამაკაცს.



თანამედროვე მნიშვნელობით barbarian დამანგრეველთან, მხეცურთან ან არა-ადამიანურთან ასოცირდება. ამ კუთხით მოხდა მნიშვნელობის გაუარესება.

## Invest

**L. investire** <in + vestire <uestis

საწყისი მნიშვნელობა: ჩაცმა, შემოსვა

ახალი მნიშვნელობა: ფულის დაბანდება

სიტყვის ლათინური ძირი *investire* ჩაცმას, დაფარვას ნიშნავდა. *in + vestire <uestis* ტანსაცმელი, სამოსი. შუა საუკუნეებში სიტყვა აღნიშნავდა საეკლესიო მოკაზმულობის მეტაფორულ „ასხმას“.

ახალი ინგლისური ენის პერიოდისთვის სიტყვამ თანამედროვე მნიშვნელობა შეიძინა. აღმოსავლეთ ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებამ სიტყვის მნიშვნელობის ცვლილებას შეუწყო ხელი. თუ როგორ გახდა “putting clothes” მოგვიანებით “investing money” სამწუხაროდ არ არის შესწავლილი, მაგრამ მეტაფორულად თუ მივუდგებით ფულის დაბანდებით „ვნიღბავთ” ბიზნეს რისკებს.

1600 წლიდან სიტყვას ახალი სამხედრო მნიშვნელობაც გაუჩნდა და ალყის შემორტყმა, ალყაში მოქცევა აღნიშნა.

მოხდა სიტყვის მრავალმხრივი გაფართოება და პოლისემიის განვითარებაც.

## Nice

**L. nescium** > *L. ne* “not”+ *sci (scire)* “to know”

საწყისი მნიშვნელობა: სულელი

ახალი მნიშვნელობა: მისაღები, ღამაზი

სიტყვას იმდენად მრავალფეროვანი მნიშვნელობები ჰქონდა, რომ Oxford English Dictionary XVI-XVII საუკუნეები მნიშვნელობების ახსნისას ასეთ განმარტებას იძლევა: “In many examples from the 16<sup>th</sup> and 17<sup>th</sup> centuries it is difficult to say in what particular sense the writer intended it to be taken. (OED)

მანამდე კი, nice დამუხჯებულს, სიტყვაძუნწს (XIV ს.) აღნიშნავდა, ხოლო ლათინური ძირი *nescium* > *L. ne* “not”+ *sci (scire)* “to know” - უვიცს, გაუნათლებელს. დღესაც კი სიტყვას დადებითი შეფასების პარალელურად

შეიძლება ირონიულად კარგის, შესანიშნავის მნიშვნელობა ჰქონდეს. (-"nice job, idiot").

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაკეთილშობილება, თუმცა პოლისემია არ განვითარებულა და სიტყვას ერთი დადებითი მნიშვნელობა აქვს.

### **Exorcise**

L. *exorcizāre* > Gr. *εξορκίζειν*

საწყისი მნიშვნელობა: სულების გამოძახება, მოხმობა

ახალი მნიშვნელობა: სულების განდევნა

1400-1600 წლებში *exorcise* სავარაუდოთ აღნიშნავდა ავი სულების გამოყენებას თაღლითური მიზნებისათვის ან ღარიბი, უდანაშაულო ადამიანისათვის ბოროტების დაბრალებას.

1600 წლიდან კი სიტყვამ პირიქით, სულებისაგან თავის დაღწევის, ექსორციზმის მნიშვნელობა შეიძინა. ამდენად მოხდა მნიშვნელობის შეცვლა, გაკეთილშობილება, ძველი მნიშვნელობა კი დაიკარგა.

### **Orient**

L. *orient-* > *oriens*

საწყისი მნიშვნელობა: აღმოსავლეთი

ახალი მნიშვნელობა: ორიენტაცია, მიმართულება

მართალია სიტყვა ფრანგულიდან შევიდა ინგლისურ ენაში, მაგრამ მას აშკარად ლათინური ძირი აქვს. ლათინური *orient-* > *oriens* (ამომავალი მზე) > *oriri* (მიმდებარა II ფორმა).

მეთვრამეტე საუკუნეში სიტყვა „აღმოსავლეთისაკენ ყურებას, აღმოსავლეთის მიმართულებას“ აღნიშნავდა. მოგვიანებით მან დაკარგა კავშირი აღმოსავლეთთან და ნებისმიერი სწორი მიმართულებით ყურება, სვლა აღნიშნა.

ამდენად, მოხდა მნიშვნელობის გაფართოება.

## Edify-Edifice

ME.edifien > OF. edifier (to build) > L. *aedificare* (to build) > L. *ædi-* (stem) > *ædēs-* (a building) + *fic* > *fac-ere* (to make). *ædēs* თავდაპირველად შუაცეცხლს, გულს ნიშნავდა (ირლ. aodh-ცეცხლი)

საწყისი მნიშვნელობა: შენება, აშენება

ახალი მნიშვნელობა: მითითების მიცემა, სწავლება, დამოძღვრა; შეგინება

სიტყვების edify და edifice ეტიმოლოგიას თუ დაგაკვირდებით, აშკარაა მათი წარმომავლობა; რაც დროთა განმავლობაში დაიკარგა. მეოთხეულ საუკუნეში edify შენობების აღმართვას აღნიშნავდა: ბერებს შეეძლოთ ეკლესია-მონასტრების აღმართვა ან მეფეს შეეძლო სასახლის ან ციხესიმაგრის აგების ბრძანება გაეცა და ა.შ. სიტყვა რაიმეს აშენებას გულისხმობს და რადგანაც შუა საუკუნეებში ეკლესია უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა, განათლება კი რელიგიური განათლების მიღებას გულისხმობდა, ამიტომ სიტყვისთვის მეტაფორული მნიშვნელობის „ვინმეს ბედ-იღბლის შენება“ მინიჭება რთული არ იქნებოდა. ამდენად edify ნაწილობრივ დაკარგა შენების, აშენების საწყისი მნიშვნელობა და ადამიანის განათლების, მორალის „შენების“ აზრი შეიძინა.

მნიშვნელობა გაფართოვდა, მოხდა თავდაპირველი მნიშვნელობის ნაწილობრივი შენარჩუნებაც.

## Office

ლათინური ძირი *officium* < \**opificium* (*opus* მუშაობა + *-ficium* < *facere* კეთება) „სამუშაოს კეთებას“ აღნიშნავდა, რაც თანამედროვე ინგლისურში დაიკარგა და აღნიშნავს ადგილს, სადაც სამუშაო კეთდება ან სამუშაო პოსტს, თანამდებობას.

სიტყვის ძირისგან ნაწარმოებია: official, officiate, officious.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, თუმცა პოლისემია არ განვითარებულა.

## Navy

L. *nāvis* ნავი

სიტყვის უშუალო წყარო ლათინური *nāvis*-ია, რაც ნავს ნიშნავს. მოგვიანებით მისგან ნაწარმოებმა *nāvia*-მ ფლოტი აღნიშნა, რაც ფრანგული *navie*-ს გავლით ინგლისურში აღმოჩნდა. *nāvigāre*, ნავის, გემის მართვა, გახდა *navigate*-ის წყარო.

შუა საუკუნეების ლათინურში *nāvis* აღნიშნავდა ეკლესიის ცენტრალურ ნაწილს, გემის ფორმის ასოციაციით. სიტყვის ანგლიცირებული ფორმაა *navi*.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, საწყისი მნიშვნელობაც შენარჩუნდა და პოლისემიაც განვითარდა.

**Atom** – ატომი, უმცირესი ნაწილაკი

L. *atomum*, *atomus* < L. *temnein* < Gr. *ἄτομος* < ἄ (უარყოფითი ნაწილაკი) + *τομ-* (*τέμνειν*, დაჭრა, დაყოფა)

არსებითი სახელი. გვიან მეთხუთმეტე საუკუნის ნასესხობაა, რომელიც ჰიპოთეზურად განუყოფელ სხეულს, სამყაროს შემადგენელ ერთეულს აღნიშნავდა. ნასესხებია ლათინური *atomus*-იდან, რაც „განუყოფელი ნაწილაკს“ აღნიშნავდა. სავარაუდოდ ტერმინი ლუკრეციუსს (Brown, 2000:110) ეკუთვნის. ლათინურში კი მოხვდა ბერძნული *atomos*-იდან, „დაუჭრელი, გაუყოფელი“. ნაწარმოებია *a* - არა + “*tomos*” დაჭრილი, დანაწევრებული. ლათ. *tomos* < ლათ. *temnein* < ბერძ. *τομ-* – ნაწილი, ტომი; ფილოსოფიური აზროვნების ანტიკური ტერმინი, ახალი მნიშვნელობით 1805 წელს გამოიყენა ჯონ დალტონმა. კლასიკურ და შუასაუკუნეებში შეიძინა დროის ერთეულის მნიშვნელობაც: 1 საათში 22 560 ატომია.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებაც და პოლისემიის განვითარებაც.

## Idiot

Gr. *ἰδιώτης* < L. *idiōta*

საწყისი მნიშვნელობა: საერო პირი; გაუნათლებელი

ახალი მნიშვნელობა: შეურაცხყოფელი ტერმინი გაუნათლებლობის აღსანიშნავად.

ბერძნული *ἰδιώτης* < L. *idiōta* გაუნათლებელ, ხელობაში გამოუცდელ ადამიანს აღნიშნავდა.

თავდაპირველად idiot უბრალო, გაუნათლებელ ადამიანს აღნიშნავდა, რომელიც მარჯვე ხელოსნის საპირისპიროდ მოიხსენიებოდა. ბერძნები თვლიდნენ, რომ იდიოტიზმის განკურნების ყველაზე წარმატებული საშუალება განათლების მიღება იყო. ეს კი გარკვეულ ამბიციებთანაც იყო დაკავშირებული:

“All people are born idiots. If you’ve ever found yourself believing this, then you are not a misanthrope. You’re just a fan of ancient Greek philosophy.

The Athenians believed that all people are born idiots. To them, this meant that everyone is born selfish and focused on his or her own private affairs. The “cure” for idiocy was education. Once someone was educated, he or she attained citizenship. For Athenians, citizenship was a primary virtue. It meant one was focused on the good of all and not just on what was good for oneself” (Hayes,2012:124)).

ადრეულ ახალ ინგლისურში idiot სულელს ნიშნავდა. შექსპირის მაკბეტის სიტყვებია: “Life .... is a tale, told by an idiot, full of sounds and fury, signifying nothing”.

XX საუკუნის დასაწყისში ფსიქოლოგებმა გამოიყენეს სიტყვა როგორც ტექნიკური ტერმინი, რომელიც სამედიცინო თვალსაზრისით ვინმეს გონებრივ მონაცემებს აფასებდა.

მოუხედავად იმისა, რომ მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება საწყისი მნიშვნელობა მთლიანად დაიკარგა, ხოლო ახალ მნიშვნელობას პოლისემია არ განვითარებია.

## **Intoxicate**

Gr. *τόξον* < *τόξικόν* < L. *toxicum* < L. *intoxicātus*

საწყისი მნიშვნელობა: მოწამვლა

ახალი მნიშვნელობა: თრობა

სიტყვის ბერძნული ძირი *τόξον* მშვილდს ნიშნავდა, ხოლო *τόξικόν* – მომწამვლელ სითხეს, რომელშიც ბერძნები მშვილდებს ასველებდნენ. ლათინური *toxicum* (საწამლავე) და *intoxicātus* (მოწამვლა) აქედანაა ნასესხები. სწორედ ლათინური ფორმიდანაა ინგლისური *intoxicate*.

მეთხოუმეტე საუკუნის შუა წლებიდან სიტყვას *intoxicate* კავშირი ალკოჰოლთან არ ჰქონია, გარდა ცნებისა ალკოჰოლური თრობა. ამ პერიოდში იწყება ჯინის, შნაფსის, არყის და სხვადასხვა ლიქიორების გამოხდა, რომელშიც ალკოჰოლის კონცენტრაცია უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღინოში. იგივე რაოდენობით ახალი სასმელის დაღევა იწვევდა ალკოჰოლურ თრობას და არა შხამიანი სასმელით მოწამვლას, როგორც ეგონათ. მოგვიანებით კი მოხდა იმის გარჩევა, რომ მსმელი მოწამლული კი არ იყო, არამედ მას ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობა ჰქონდა მიღებული.

სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა, გარკვეულწილად მოხდა მნიშვნელობის შეცვლაც, თუმცა პოლისემია არ განვითარებულა და საწყის მნიშვნელობასთან კავშირი მთლიანად არ დაკარგულა.

**Algebra** -შუასაუკუნეების ლათინურიდან ისესხა ინგლისურმა ენამ, რომელიც არაბული აღ ჯაბრ-იდან იყო თავდაპირველად ნასესხები და „დაშლილი, დანაწევრებული ნაწილების შეერთებას“ ნიშნავდა და 15-16 საუკუნის ინგლისში ესპანეთში მოღვაწე არაბი მკურნალების მიერ ძვლების წყობის მნიშვნელობით მოხვდა.

სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა, თუმცა პოლისემია არ განვითარებულა.

### **Medicine** მედიცინა < *L. medērī* განკურნება

დაახლოებით 1200 წელს ისესხა ინგლისურმა ენამ „სამედიცინო მკურნალობის, საშუალების“ მნიშვნელობით ფრანგული სიტყვიდან *médicine*, რაც „მედიცინას, განკურნების ხელოვნებას, მკურნალობას, წამლის დოზას“ აღნიშნავდა. მეთოთხმეტე საუკუნიდან კი „წამლის დოზას და სახვევსაც“ აღნიშნავდა.

ლათინური ძირიდან განვითარდა *medicus* „ექიმი“, რაც საფუძვლად დაედო ინგლისურ ენაში „მედიცინასთან“ დაკავშირებულ ყველა სიტყვას: *medicate*, *medicinal*, *medicament* და სხვ.

## **Gestation**

### **L. *gestationem***

საწყისი მნიშვნელობა: ცხენის ჭენება

ახალი მნიშვნელობა: ფეხმძიმობა, ორსულობის პერიოდი

ამ ორ მნიშვნელობას შორის თითქოს საერთო არაფერია, მაგრამ როდესაც ინგლისურმა ენამ მეთექვსმეტე საუკუნეში სიტყვა ლათინურიდან ისესხა, იგი ვარჯიშის მიზნით ცხენზე ამხედრებულ სიარულს აღნიშნავდა. მაგრამ რადგან ლათინური ძირი *gestationem* (სახელობითი ბრ. *gestatio*) „ტარება“-ს აღნიშნავდა (<L. *gestare* მიმღეობა II, „ტარება“, bear, carry < L. მრავალგზისი ზმნა *gerere*) და ცხენზე ამხედრება კი ნიშნავდა, რომ ცხენი ატარებდა ადამიანს, და სიტყვამაც შეიძინა მისი ახალი მნიშვნელობა, 1610 წლიდან იგი ორსულობის, მუცლად ტარების პერიოდს აღნიშნავს. იგივე ძირისაა progesterone, gestate (ზმ.)

სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა, მან დაკარგა კავშირი საწყის მნიშვნელობასთან და სრულიად ახალი ცნება აღნიშნა.

## **Imbecile**

### **L. *imbécillum***

საწყისი მნიშვნელობა: სუსტი

ახალი მნიშვნელობა: ვინმეს ინტელექტის ეჭვქვეშ დაყენება

სიტყვამ imbecile მნიშვნელობის მრავლობითი ტრანსფორმაციები განიცადა. ლათინური *imbécillum* „შემადგენლობის გარეშე“-ს (without staff) ნიშნავდა. თუკი იყავი ვინმეს ან რაიმეს გარეშე იყავი უფრო სუსტი ვიდრე ის, ვისაც ეს რაღაც ჰქონდა ან ვინმე ახლდა.

მოგვიანებით ფსიქოლოგმა ჰენრი გოდარმა /Henry H. Goddard/ პოპულარიზაცია გაუწია სიტყვას imbecile, როგორც ტექნიკურ ტერმინს, იმ ადამიანთა აღსანიშნავად, ვისი IQ 26-50 ფარგლებში მერყეობდა. მან ასევე განსაზღვრა idiot-ისა და moron-ის მნიშვნელობები. imbecile მოხვდა სულელსა (idiot) და ჭკუასუსტს (moron) შორის.

რადგანაც ჭკუასუსტობა შეურაცხმყოფელი იყო, მან დაკარგა სამედიცინო ტერმინის ელფერი და ინტელექტის შეფასების ერთგვარი ერთეული გახდა.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, ფიზიკური სისუსტე გონებრივ ნაკლში განვითარდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობის გარკვეული დაკნინება, გაუარესებაც კი მოხდა.

## **Quarantine**

*L. quadrāginta <L. quattuor*

საწყისი მნიშვნელობა: ორმოცდღიანი პერიოდი

ახალი მნიშვნელობა: დაავადებული ადამიანის მოთავსება იზოლაციაში, დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით.

სიტყვის ლათინური ძირია *quadrāginta* (ორმოცი) <*quattuor* (ოთხი), მაგრამ ისტორიულად “quarantine” ის უდაბნოა, სადაც იესო განმარტოებული ებრძოდა სატანის ცდუნებებს 40 დღის განმავლობაში.

მეთექვსმეტე საუკუნის ევროპაში ეს იყო ის ორმოცდღიანი პერიოდი, როცა ქვრივს შეეძლო გარდაცვლილი მეუღლის ოჯახში დარჩენილიყო, მოგვიანებით ამ პერიოდში შეეძლო მას მოეთხოვა დარჩენილი ქონების განკარგვის უფლება.

ნაოსნობის განვითარებამ სიტყვას ახალი ელფერი შესძინა. თვლიდნენ რომ გემები სხვადასხვა დაავადების გადამტანები იყვნენ და განსაკუთრებით კი შავი ჭირის შიშით, სამშობლოში დაბრუნებისას სანაპიროსთან „იზოლაციაში“ ტოვებდნენ მთელ ეკიპაჟს არც მეტი არც ნაკლები ... ორმოცი დღის განმავლობაში. სწორედ აქედან გავრცელდა „კარანტინში მოთავსება“, თუმცა ორმოცდღიანი ვადა მკაცრად განსაზღვრული აღარაა.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება. მართალია, სიტყვა სხვადასხვა სფეროში გამოიყენებოდა მას მხოლოდ სამედიცინო გამოყენება შემორჩა.

## **Explode**

*L. explaudere*

საწყისი მნიშვნელობა: სცენიდან გაგდება ხმაურითა და უხეში ტაშით.

ახალი მნიშვნელობა: აფეთქება

explode –ს საწყისი მნიშვნელობა ლათინური ძირისაა *ex-* (out) + *plaudere* (to clap) და ნიშნავდა მსახიობის ან მთლიანი დასის სცენიდან გაგდებას, ფეხების



ბაკუნით, ხმაურითა და არასასიამოვნო აპლოდისმენტებით დადგმის არმოწონების შემთხვევაში. სიტყვა ამ მნიშვნელობით ისესხა ინგლისურმა ენამ. მოგვიანებით კრიტიკოსები აღნიშნავენ რომ მსახიობები „აფეთქეს“ სცენიდან. კავშირი სცენასა და აფეთქებას შორის არის ის, რომ ორივე ხმაურიანია და შიშის მომგვრელ ხმას გამოსცემს.

სიტყვას თანამედროვე დამანგრეველი აფეთქების მნიშვნელობა არ შეუძენია XIX საუკუნემდე. შესაძლოა ძნელი იყო წარმოდგენა სცენაზე ცუდ თამაშსა და ყუმბარებს შორის, მაგრამ ისტორიულად ეს კავშირი არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის საწყისი მნიშვნელობა მთლიანად დაიკარგა და არც პოლისემია განვითარებულა მაინც მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება.

### **Fact**

L. *factum* "an event, occurrence, deed, achievement" მოვლენა, მიღწევა, საქმიანობა < ML. "state, condition, circumstance," <საშუალო სქესის არსებითი სახელი *factus* <მიმდებარე II *facere* "to do."

საწყისი მნიშვნელობა: საქმე, ხელობა, ბოროტი საქმე

ახალი მნიშვნელობა: ჭეშმარიტი ინფორმაცია

სიტყვა ლათინური ძირისაა და ნასესხებია *factum*-იდან, რაც მოვლენას, საქმეს ნიშნავდა. შუა საუკუნეების ლათინურში სიტყვა "მდგომარეობას, გარემოებასაც" აღნიშნავდა. ლიტერატურულად კი „ჩადენილ, შესრულებულ საქმეს“.

ძირითადი თანამედროვე მნიშვნელობით „ის რაც სიმართლეა“ გამოიყენეს 1630 წლიდან და საფუძვლად დაედო ცნება „ის რაც ფაქტიურად, რეალურად მოხდა“. ეს თუნდაც ცუდი და ბოროტი რამ ყოფილიყო. მაშინდელ დროში ინფორმაციის გავრცელება ზეპირსიტყვიერებით ხორციელდებოდა და ამიტომ ყველაფერი "ფაქტიურად" ვერ გადაიცემოდა, და ვერც ყველაფერი იქნებოდა სრული ჭეშმარიტება. თუმცა რამდენად ჭეშმარიტი იყო თვით "fact" ამას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

დორთი ჯონსონი თავის ნოველაში *The Man Who Shot Liberty Valance* ფაქტთან მიმართებაში ამბობს, რომ: “When the legend becomes fact, print the legend” (Hayes, 2012:100)

რადგანაც უარყოფითი მნიშვნელობა დადებითით შეიცვალა მოხდა მნიშვნელობის გაკეთილშობილება.

## **Fanatic**

### **L. *fānum***

საწყისი მნიშვნელობა: ღვთაებრიობით შეპყრობილი

ახალი მნიშვნელობა: ზედმეტად ენთუზიასტი, ზედმიწევნით გულმოდგინე, თავგამოდებული

სიტყვა ფრანგული ენის გავლენით შევიდა ინგლისურ ენაში, ფრანგული *fanatique* გაგიჟებულს, გააფთრებულს (*mad, frantic*) აღნიშნავდა. ლათინური *fānum* ტაძარს ნიშნავდა, ხოლო *fānāticus* 1. ეკლესიისა, 2. ღვთაებრიობით შეპყრობილს ნიშნავდა.

ანტიკური ხანის რომში იყვნენ ისეთი გულმოდგინე მორწმუნენი, რომელთათვისაც ტაძრის კარი მუდამ ღია იყო. ასეთი ღვთისმოსიში ადამიანები იმდენად იყვნენ რწმენით შთაგონებულნი, რომ ბუტბუტებდნენ და შეპყობილებივითაც იკრუნხებოდნენ. ლათინური ძირის მნიშვნელობაც აქედანაა, „ის ვინც ღვთაებრიობით შეპყრობილივით იქცევა“.

როდესაც ინგლისურმა ენამ მეთექვსმეტე საუკუნეში ისესხა სიტყვა *fanatic*, იგი რელიგიურ ხალხთან მიმართებაში მოიაზრებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნეში მან უფრო გაიფართოვა მნიშვნელობა და აღნიშნავდა ნებისმიერ რამით ძალზედ დაინტერესებულ, „ინტერესით შეპყრობილ“ ადამიანს.

თანამედროვე მნიშვნელობით *fanatic* და მისი შემოკლებული ფორმა *fan* ჯანსაღი მნიშვნელობით აღნიშნავს გუნდის მხარდამჭერს, გულშემატკივარს და ა.შ.

სიტყვის მნიშვნელობა მრავალმხრივ გაფართოვდა.

## **Economy**

L. *œconomia* <Gr. *oikonomia*

საწყისი მნიშვნელობა: სახლის მართვა, ოჯახის გაძღვლა

ახალი მნიშვნელობა: ქვეყნის ფინანსური წყაროები, ეკონომიკა

სიტყვა ოჯახის გაძღვლას აღნიშნავდა, რადგანაც ფინანსური მხარე განსაზღვრავდა ოჯახის ჭკვიანურ მართვას. შემდგომ პერიოდში საჭირო გახდა ოჯახზე უფრო დიდი „ინსტიტუტების“ მართვა და ამიტომაც 1650-60 წლებიდან გამოიყენება, როგორც ქვეყნის რესურსების, სიმდიდრის მნიშვნელობითაც.

საბანკო სფეროში შეღწევის შემდეგ გამოიყო მიკრო-(მცირე, ინდივიდუალური ბიზნესის აღსანიშნავად) და მაკროეკონომიკა, რომელშიც მთელი მსოფლიოს ფინანსური საშუალებებიც კი არის მოაზრებული.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება, უფრო გლობალური ცნებების აღსანიშნად.

### **Egregious**

L. *egregius* "distinguished, excellent, extraordinary," ფრაზიდან *ex grege* "rising above the flock," >*ex* "out of" + *grege, grex*-ის აბლატივის ფორმა (herd, flock)

საწყისი მნიშვნელობა: გამორჩეული, ბრწყინვალე

ახალი მნიშვნელობა: გამონაკლისი, ცუდი მხარით გამორჩეული, გამოუსწორებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ლათინურ ძირს კომპლიმენტის მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვამ უარყოფითი, ირონიული მნიშვნელობა შეიძინა მეთექვსმეტე საუკუნეში და გამოხატავდა მუშტი-კრივის, ხმაურის, თავყრილობისა და აყალმაყალის „არასასურველ, ცუდ“ არსს.

შესაძლოა, მნიშვნელობის ასეთი ტრანსფორმაცია სარკაზმით იყოს გამოწვეული. *egregious* გამოიყენებოდა ისევე როგორც *great job*, ხშირად *rotten job*-ის მნიშვნელობითაც კი, რაც უფრო განვითარდა და სიტყვამაც დაკარგა თავისი „კომპლიმენტურობა“.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაუარესება, დაკნინება.

### **Accentuate (v.)**

ML. *accentuatus*, pp. *accentuare* < L. *accentus*

საწყისი მნიშვნელობა: აქცენტით გამოთქმა

ახალი მნიშვნელობა: ხაზგასმა, ემფაზა (1865)

სიტყვის საწყისი მნიშვნელობა აქცენტით საუბარია, მაგრამ დროთა განმავლობაში ხალხების ურთიერთობების გაფართოების შედეგად აუცილებელი იყო მათ ერთმანეთისთვის გაეგოთ. ამიტომ ისინი ცდილობდნენ გამოთქმით, გარკვევით, გამოკვეთილად ესაუბრათ, რათა მსმენელი მათ თზრობას მიჰყოლოდა და მოსაუბრის გაეგო. მოგვიანებით კი უცხო ენაზე საუბარი მეტნაკლებად ყველასთვის გასაგები გახდა და სიტყვამ შეიძინა ახალი მნიშვნელობა, აქცენტი კეთდებოდა არა გამოთქმაზე, არამედ საუბრის შინაარსზე.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება.

**Quantum** – წილი 1610 წელს არის ნასესხები ლათინური *quantum*-იდან (მრავლობითი *quanta*), იმდენი რამდენიც, რამდენი. როგორც ფიზიკური ტერმინი მაქს პლანკმა უშუალოდ ლათინურიდან გადმოიტანა 1900 წელს, ხოლო აინშტაინმა განამტკიცა მისი არსებობა *quantum theory*, *quantum mechanics*, *quantum jumps*-ით.

მართალია მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, მაგრამ ნასესხებ ტერმინს ფიზიკის სფეროდან პოლისემია არ განვითარებია.

**Genus** – გვარის, ტიპის ლათინური *gener*-იდანაა ნასესხები და მრავალი რთული სიტყვის შექმნაში აქვს მონაწილეობა მიღებული. **Generic** – 1670 წლიდან გარკვეული საგნების ან ნივთიერებების დიდ ჯგუფს აღნიშნავს. **Miscegeneration** < ლათ. *miscere* – to mix+ *genus* “race” გვარი, ტიპი. ამერიკულ ინგლისურში შეიქმნა 1864 წელს, რასების აღრევის მნიშვნელობით. **degenerate** – გვიან 15 საუკუნის ტერმინია ლათინური *degeneratus*-იდან, რომელიც წარსულის მიმდევობის ფორმაა *degenerare*-სი, აღნიშნავს იმას, რაც არ არის წინაპართა რასის, ტიპის მსგავსი. **De+genus** (გენტივი *generis*), როგორც ბიოლოგიური ტერმინი ფიქსირდება 1550 წლიდან.

აქაც მოხდა მნიშვნელობის გაფართოება და ბიოლოგიურ ტერმინს პოლისემია არ განვითარებია.

**Formula** – 1630 წელს ლათინური formula- დან (form-ის კნინობითი ფორმა) ისესხა საეკლესიო ენამ, როგორც ცერემონიებზე და რიტუალის დროს წარმო-  
თქმული სიტყვების მნიშვნელობით. მათემატიკური ტერმინი გახდა 1796  
წლიდან, ხოლო მოგვიანებით 1846 წლიდან გამოიყენება როგორც ქიმიური  
ფორმულის მნიშვნელობითაც.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება, ტერმინი გამოიყენება მეცნიერების  
სხვადასხვა სფეროში.

**Trigonometry** –მათემატიკის დარგია, რომელიც აღწერს ურთიერთობას სამ-  
კუთხედის კუთხეებსა და გვერდებს შორის. სახელი ბერძნული trigonon-იდან  
არის ნაწარმოები. tri- აღნიშნავს „სამს“, „gonia“ – კუთხეს, „metron“ –  
გაზომვა. ბერძნული gony „მუხლი“, gonia „კუთხე“, ლათინური genu „მუხლი“.  
გონიომეტრი კი არის კუთხეების სიდიდის საზომი ინსტრუმენტი.

სიტყვის შესება მოხდა როგორც გეომეტრიული ტერმინისა.

**Equilibrium** - *L. aequilibrium*-იდან. aequus- “equal” ტოლი + *libra* ბალანსი,  
სასწორი. სიტყვა ინგლისურმა ენამ ისესხა წონასწორობის აღსანიშნავად.  
მნიშვნელობის გაფართოების შემდეგ მან ხასიათის სიდიდზე, სიმშვიდე,  
ზომიერებაც აღნიშნა.

## **Ignoramus**

### **L. ignoramus**

საწყისი მნიშვნელობა: იურიდიული ტერმინი „არ ვიცით“

ახალი მნიშვნელობა: სულელი

ignoramus ლათინური იურიდიული ტერმინია, რომელიც „არ ვიცით“ (we do  
not know) ნიშნავდა დაახლოებით 1615 წლამდე. თუკი დიდი უიური ჩათვლიდა,  
რომ საბრალდებო აქტში წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისი იყო,  
დოკუმენტს მიაწერდნენ “ignoramus,” რაც იმას ნიშნავდა, რომ „ჩვენ ვერ  
ვცნობთ ბრალის ვალიდურობას.“ ამ დროისათვის სიტყვას „სულელთან“  
კავშირი ჯერ კიდევ არ ჰქონია.

მნიშვნელობა შეიცვალა 1615 წელს, როდესაც კემბრიჯის უნივერსიტეტში დაიდგა ჯორჯ რაგლის (George Ruggle) კომედია “Ignoramus,” რომელიც ეპონიმიც არის მაგისტრანტი და რომელსაც საკმაოდ დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. ასეთი ამბიციის შედეგად ბატონი იგნორამუსი ხშირად ხვდება შეურაცხმყოფელ სიტუაციებში.

კომედიას დიდი წარმატება მოჰყვა და სიტყვამ *ignoramus* მაშინათვე შეწყვიტა არსებობა როგორც იურიდიულმა ტერმინმა და აღნიშნავდა თავის თავში დაჯერებულ სულელ ადამიანს.

მხატვრული ნაწარმოების გავლენით მოხდა მნიშვნელობის ტრანსფორმირება უარყოფითი მნიშვნელობისაკენ.

### **Decimate**

*L. dēcimātus <decimāre*

საწყისი მნიშვნელობა: ყოველი მეათე ადამიანის მოკვლა

ახალი მნიშვნელობა: განადგურება

საწყისი მნიშვნელობის მიხედვით ნიშნავდა ყოველი მეათე აჯანყებულის ან დამნაშავის სიკვდილით დასჯას ანტიკურ პერიოდში. 1660 წლიდან კი არა ყოველი მეათის, არამედ უმრავლესობის განადგურებას აღნიშნავდა.

როგორც ტექნიკური ტერმინი „დეციმაცია“ ათეულის ერთით შემცირებას ნიშნავს, ხოლო სამხედრო განიარაღების სფეროში შეიარაღების სრულ განიარაღებას ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის საწყისი მნიშვნელობა დაიკარგა მან მანინც შეინარჩუნა კავშირი სამხედრო საქმესთან, ამდენად მოხდა მნიშვნელობის გაფართოება.

### **Lobby**

*L. lobia*

საწყისი მნიშვნელობა: გადახურული გასასვლელი, კორიდორი.

ახალი მნიშვნელობა: საჯარო მოხელის არჩევნებზე გავლენის მოხდენა.

თავიდან, *lobby* გადახურულ გასასვლელს აღნიშნავდა, რომელიც ძირითადად ეკლესიისკენ მიემართებოდა. *L. lobia < G. loube* (ფანჩატური)

მეჩვიდმეტე საუკუნიდან lobby დიდ შენობაში შესასვლელ დარბაზს აღნიშნავდა. ეს ერთგვარი ერთიანი ადგილი იყო, სადაც თავს იყრიდნენ თანამშრომლები სამუშაოს დაწყებამდე. ასე რომ, ხალხი ვინც lobby-ში მოგვიანებით პოლიტიკოსებს ელოდა გარკვეულწილად გახდნენ “lobbying.” არსებითი სახელი გახდა ზმნა და „ფანჩატურშიც“ ამ პოლიტიკოსის მხარდამჭერი კამპანია იმართებოდა. ტერმინიც „ლობისტი“ 1860 წლიდან ფიქსირდება.

სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება მოხდა სიტუაციიდან გამომდინარე.

### **Ludicrous**

L. *lūdicrus* (done in sport) < L. *lūdi-* < L. *lūdus* (sport) < L. *lūdere* (to play)

საწყისი მნიშვნელობა: თამაში, სპორტით დაკავება

ახალი მნიშვნელობა: სასაცილო

ლათინური სიტყვა *lūdicrus* თამაშს ნიშნავდა. ძველი რომაელები დისკოსა და კოჭს შენობაში თამაშობდნენ, ხოლო სირბილში შეჯიბრი გარეთ ტარდებოდა. სირბილში შეჯიბრი ერთგვარი „თამაში“ იყო დადევნებით. მოგვიანებით, ლათინურმა სიტყვამ შეიცვალა მნიშვნელობა და აღნიშნავდა ისეთ რამეს, რაც „გაგართობდა“. თამაშები, შეჯიბრები გასართობი იყო, ისევე როგორც ხუმრობები, ფოკუსები და სხვადასხვა ოინები.

დაახლოებით 1600-იანი წლებისთვის, როცა *lūdicrus* ისესხა ინგლისურმა ენამ, სიტყვა ისევ საწყისი მნიშვნელობით სპორტს დაუკავშირდა. რაინდთა ტურნირები “ludicrous” სპორტული შეჯიბრების ნაირსახეობას წარმოადგენდნენ.

1700-იანი წლებისათვის, ludicrous ემფატურს ხდიდა იმას, რაც გასართობი იყო. 1800-იანი წლების დასაწყისიდან აღნიშნავდა „ძალიან სასაცილოს“. სიტყვამ საწყის მნიშვნელობასთან გარკვეული კავშირი შეინარჩუნა და თუ ვიტყვით, რომ someone says something ludicrous, it's as though he or she is playing a game with you.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება. საწყისი მნიშვნელობა სიტუაციიდან გამომდინარე დაიკარგა.

## **Nucleus**

*L. nucleus* (თხილის კნინობითი ფორმა) < *L. nux* (თხილი)

ლათინური *nucleus*- „გული, ბირთვის“ მნიშვნელობით ნასესხებია *nucula*-დან „პატარა თხილის“ კნინობითი ფორმიდან *nux* (მოთხრობითი ბრ. *Nucis*) ფორმა სავარაუდოდ პროტო ინდოევროპული *\*kneu* („თხილი“) უნდა იყოს რადგანაც მისგან ნაწარმოები სიტყვები გვხვდება საშუალო ირლანდიურში *cnu*, უელსურში *cneuen*, საშუალო ბრეტონულში *kneon*, ძველ ნორვეგიულში *hnot*, ძველ ინგლისურში *hnutu*. სიტყვამ *neucleus* თავისი ძირითადი მნიშვნელობა „რაიმეს ცენტრალური ნაწილი“ შეიძინა 1762 წლიდან. უჯრედებთან მიმართებაში პირველად 1831 წელს გამოჩნდა, ხოლო თანამედროვე ატომური მნიშვნელობით ერნსტ რუტერფორდთან ვხვდებით, თუმცა „ატომის ცენტრალური ნაწილის, ბირთვის“ არსებობის თეორიული ვერსია ჯერ კიდევ ფარადეიმ აღნიშნა 1844 წელს.

კავშირი საწყის მნიშვნელობასთან დაიკარგა და როგორც ტერმინი, მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება.

## **Salt**

Gr. *ἅλς* < *L. sal*

*\*sal-* პროტო ინდო-ევროპული ძირის სიტყვაა. ბერძნულად *hals*, ლათინურად *sal*, ძვ. სლავურად *solī*, ძვ. ირლანდიურად *salann*, უელსურად *halen*, პროტო გერმანიკული ფორმაა *\*saltom*, ძვ. საქსონურად, ძვ. ნორვეგიულად, ძვ. ფრიზულად და გუთურად *salt*, პოლანდიურად *zout*, გერმანულად *salz*.

თანამედროვე ქიმიური ნაერთის მნიშვნელობით გამოიყენება 1790 წლიდან. მოხდა მნიშვნელობის გაფართოება. სხვადასხვა სფეროში გამოიყენება ტერმინად.

## **Pollen**

Gr. *πάλη* (fine sifted meal) < *L. pollen, pollis* (fine flour, dust)

ყვავილის მტვერი, როგორც ბოტანიკური ტერმინი გამოიყენება 1760 წლიდან, მანამდე კი ლათინური *pollen* წისქვილის მტვერს, ხორბლის ფქვილს აღნიშნავდა. ნაწარმოებია პროტო ინდო-ევროპული ძირიდან *\*pel* „მტვერი,



ფქვილი”. ბერძნული *poltos*, სანსკრიტი *pálalam*, „დაფქული თესლი”, ლიტვური *pelenai*, ძველი სლავური *popelu*, რუსული *пепель* ფერფლი.

იგივე ძირიდანაა *powder, pulverize*. ამდენად მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და სიტყვას ორი მნიშვნელობა განუვითარდა.

### **Paraphernalia**

*L. paraphernalia < paraphernalia bona* (მზითვის ნივთები) < *Gr. parapherna < para* „გარდა”+ *pherne* “მზითვი” (*Gr. pherein* “ტარება”)

საწყისი მნიშვნელობა: ქალის საკუთრება მზითვის გარდა

ახალი მნიშვნელობა: აღჭურვილობა, მოწყობილობა

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის სიტყვამ დაკარგა კავშირი ქალის მზითვთან და აღნიშნავდა ათას წვრილმანს, სხვადასხვა მოწყობილობას და ა.შ.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, თუმცა საწყისი მნიშვნელობა მთლიანად არ დაკარგულა და როგორც იურიდიული სფეროს ტერმინი შემორჩა ლექსიკონს.

**Abdomen** – ლათინური „მუცლის ქონი”. *abdere* – დაფარვა, ის რაც დაფარულია. ზოოლოგიურ-ანატომიური მნიშვნელობა, როგორც ფეხსახსრიანთა სხეულის ქვედა ნაწილი პირველად 1788 წელს დაფიქსირდა.

სიტყვის მნიშვნელობის განვითარება მოხდა ბიოლოგიაში და სიტყვამ მთლიანად „მუცელი” აღნიშნა.

**Vector** – წრფივ ალგებრაში აღნიშნავს რაოდენობას, რომელსაც აქვს მიმართულება და სიდიდე. სიტყვა ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან *vehere* რაც „გადატანას, გადაცემას” ნიშნავს. *vehere* უდევს საფუძვლად *vehicle*-საც (*vehicle < vehiculum < vehere*).

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, თუმცა როგორც ტერმინს მას პოლისემია არ განვითარებია.

**Revolutionary** – გამოიყენებოდა დადებითი მნიშვნელობის მქონე ახალი, განსხვავებული ცნების გამოსახატავად. რამდენად საოცარიც არ უნდა იყოს

სიტყვის წარმომავლობა ასტრონომია-ასტროლოგიას უკავშირდება. ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან *revolvere*, რაც ტრიალს ნიშნავს. კოპერნიკმა სიტყვა გამოიყენა მზის გარშემო პლანეტების მოძრაობის თეორიის აღსაწერად, რაც თავიდან საზოგადოებისათვის მიუღებელი, ხოლო თანამედროვე მნიშვნელობით „რევოლუციური“ აღმოჩნდა. მოგვიანებით სიტყვა „revolution“ ასტროლოგებმა და ვარსკვლავთმრიცხველებმა „აიტაცეს“ ნებისმიერი არასასურველი, მოულოდნელი თუ დრამატული მოვლენის წინასწარმეტყველებისათვის, რაც სიტყვის პირვანდელ მნიშვნელობას ასტრონომიაში, პლანეტების მიმდევრულ, მოწესრიგებულ, მწყობრ მოძრაობას, ეწინააღმდეგებოდა.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება. საწყისი მნიშვნელობა დაიკარგა, თუმცა ახალმა მნიშვნელობამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თანამედროვე ყოველდღიურ ლექსიკაში.

**Corolla** – გვირგვინი ლათინური *corolla*–დან, რომელიც თავისთავად კინობითი ფორმაა *corona*-ისა, გვირგვინი, გირლანდი. ბოტანიკური ტერმინი 1753 წლიდან.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება ბოტანიკაში.

**Cortex** ლათინური *cortex*– ხის მერქანი, საფარი, ქერქი. ტვინის ქერქის მნიშვნელობით 1741 წელს დაფიქსირდა.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება ანატომიასა და ბოტანიკაში.

**Vulcanization** – ვულკანიზაცია ქიმიური პროცესია, რომელიც გამოიყენება გამძლე მასალების მისაღებად პოლიმერების ტრანსფორმაციით. ეს პროცესი ჩვეულებრივ გოგირდის ურთიერთქმედებით ხდება.

რომაულ მითოლოგიაში კი Vulcan ცეცხლის ღმერთია. მისი სახელი დაედო საფუძვლად *volcano* „ცეცხლოვანი მთა“ - ვულკანს.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება ქიმიას და ფიზიკაში, თუმცა გამოიყენება როგორც ტერმინი.

**Bacillus-** სამედიცინო ლათინურიდან არის ნასესხები. bacillus „პატარა ჯოხი“ baculum ჯოხის კნინობითი ფორმა. პროტო ინდო-ევროპული ფორმა \*bak წყაროა ბერძნული bakterion-ისაც. ბაქტერიოლოგიაში გერმანულმა ბოტანიკოსმა ფერდინანდ კოჰმა შემოიტანა თანამედროვე მნიშვნელობით 1853 წელს. მოხდა მნიშვნელობის გაფართოება, მაგრამ ნასესხებ ტერმინს პოლისემია არ განვითარებია.

**Molecule** – მოლეკულა

Fr. *molecule* < L. *molecula* < L. *mōles*

უმცირესი ნაწილაკის მნიშვნელობით ნასესხებია ფრანგული *molecule*-დან, ფრანგულში კი ლათინური *molecula*-დან, (ლათ. *mōles* „მასა, ბარიერი“ კნინობითი ფორმა). თანამედროვე მნიშვნელობით პირველად 1811 წელს ქიმიკოსმა ამაღეო ავოგადრომ გამოიყენა და ასეთ ტერმინადვე დარჩა ფიზიკა-ქიმიაში.

**Inoculate**

L. *inoculātus* > *in+oculus*

საწყისი მნიშვნელობა: გადანერგვა, ინპლანტაცია (მებაღეობის ტერმინი)

ახალი მნიშვნელობა: აცრა, ვაქსინაცია

1800-იანი წლების დასაწყისამდე inoculate მედიცინასთან არანაერი კავშირი არ ჰქონია. სიტყვა მებაღეობაში გამოიყენებოდა როგორც ბოტანიკური ტერმინი. სიტყვის ლათინური ძირი *inoculātus*, „გადასანერგ თვალს“ (*in+oculus* “თვალი”) ნიშნავდა. ეს კი გულისხმობდა იმას, რომ „თვალის“, კვირტის გადანერგვით ახალი შტამის მიღება იყო შესაძლებელი.

როდესაც ვიტარებთ აცრას, ექიმს ჩვენს ორგანიზმში შეჰყავს დაავადების გამომწვევი ელემენტის მცირე დოზა. „გადანერგვის“ ეს ფორმა ჩვენს

ორგანიზმში იწვევს დაავადებისადმი ბრძოლისუნარიანობის გაზრდას.

ამდენად, ბოტანიკური მნიშვნელობა თავისუფლად განვითარდა მედიცინაშიც. პირველად იგი გამოიყენეს 1714 წელს ყვავილთან მიმართებაში (“to vaccine inoculate”).

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება, განვითარდა პოლისემიაც სხვადასხვა სფეროებშიც, მებაღეობაში კვირტით მყნობას აღნიშნავს, ქიმიაში - კრისტალიზაციას, მედიცინაში - აცრას, შენარჩუნებულია საწყისი მნიშვნელობაც ჩანერგვისა (აზრის, იდეის).

### 3. 3. ფრანგული ენის მეშვეობით ინგლისურ ენაში შემოსული ლათინური ძირის მქონე ნასესხები სიტყვების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები

#### **Fruit**

Fr. *fruit* < L. *fructum* < *fructus*-ის ბრალდებითი ბრუნვის ფორმა < L. *fructus*, *frui* -ს (to enjoy) მიმღობა II.

ძველი ფრანგული *fruit*-დან შევიდა ძველ ინგლისურში გვიან მეთორმეტე საუკუნეში ნაყოფის, მოსავლის მნიშვნელობით, რომელიც თავდაპირველად ლათინური *fructus*- სიამოვნება, კმაყოფილებიდან იქნა ნაწარმოები. ძირი *frui* (გამოყენება, სიამოვნება) პროტო ინდოევროპული \**bhrug*-იდანაა. შუა საუკუნეებიდან იგი რაიმეს შედეგს, მიღებულ პროდუქტს აღნიშნავს.

სიტყვის მნიშვნელობა საწყისი მნიშვნელობიდან გაფართოვდა.

#### **Castle** კოშკი

ეს ერთ-ერთი იმ პირველ სიტყვათაგანია, რომელიც ინგლისურმა ენამ ჩრდილოელი დამპყრობლებისაგან ისესხა. ანგლო-საქსურ ქრონიკებში იგი ჰასტინგების ბრძოლის აღწერისას გვხვდება და ადგილის სახელების წარმოებაშიც იღებს მონაწილეობას როგორც ერთ-ერთი აქტიური კომპონენტი. –*caster* ან –*chester*. სიტყვის ლათინური ძირი *castellum* (თავდაცვითი ნაგებობა, ფორტი) კინობითი ფორმაა *castrum*-ისა. ძველი ფრანგული ფორმა *castel*, *chastel*

საფუძვლად დაედო დღევანდელ *château* და მისგან ნაწარმოებ *châtelaine*-ს რომელიც ინგლისურმა ენამ XIX საუკუნეში ისესხა.

მნიშვნელობა არ შეცვლილა.

**Court** სასამართლო

L. *cōrtem, cohortem* (ბარიერი, ღობე)

Gr. *χόρτος* (შიგა ეზო)

ლათინური *cohors* შემოსაზღვრულ ეზოს აღნიშნავდა. მნიშვნელობის გაფართოების შემდეგ იგი აღნიშნავდა იმ ხალხსაც, ვინც ამ შემოსაზღვრულ ეზოში იყრიდა თავს, ანუ კოჰორტას, *cohort*. საწყისი და ახლად განვითარებული მნიშვნელობების გაერთიანებით ინგლისურში მივიღეთ ახალი სიტყვა *court*, ძველი ფრანგული *cort*-ისა და ანგლო-ნორმანული *curt*-ის გაკლით. ამ პერიოდებში სიტყვას ჯერ ისევ ჰქონდა კედლებით ან შენობებით შემოსაზღვრული ტერიტორიის მნიშვნელობა. სიტყვის ასოციაციამ ლათინურ *curia*-სთან, რომელიც მმართველობით საკანონმდებლო ორგანოსა და სასამართლოს აღნიშნავდა ინგლისურ ენაში *court*-ს საინტერესო მნიშვნელობები განუვითარდა, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლოსთან, პროცესებთან და აბსოლუტურად მათგან განსხვავებულ სფეროსთან. მაგალითად, როგორც ჩოგბურთის კორტი, რომელიც ისევ შემოსაზღვრულ ტერიტორიას, ფართს უკავშირდება.

**Feast** ღხინი, ქეიფი, ნადიმი, პირის ჩატკბარუნება

L. *festus* (მხიარული, სიცოცხლით სავსე) მრავლობითის ფორმა  *festa* გამოიყენებოდა დღესასწაულების, განსაკუთრებით კი რელიგიური ცერემონიების აღსანიშნავად. ამ მნიშვნელობით შევიდა იგი ძველი ფრანგული *feste*-ს გაკლით ინგლისურში. რაიმე გემრიელის მირთმევის მნიშვნელობა მოგვიანებით განვითარდა ისევ სადღესასწაულო მდიდრულ/დიდებულ სუფრასთან დაკავშირებით.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება, საწყის მნიშვნელობასთან ერთად ახალი მნიშვნელობაც განვითარდა და რელიგიური დღესასწაულის მნიშვნელობაც აღნიშნა.

### **Govern** მართვა სახელმწიფოსი

Gr. *kubernân* <L. *gubernāre* <OF. *govrner*. გემის საჭით მართვა, მიმართულების მიცემა. ბერძნული ძირი უდევს საფუძვლად ინგლისურ სიტყვას *cybernetics*, ხოლო ლათინური ძირი შემორჩენილია სიტყვაში *gubernatorial*.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, თუმცა კავშირი საწყის მნიშვნელობასთან არ დაუკარგავს.

### **Honor** ღირსება, პატიოსნება

L. *honor, honōrs* <OF. *(h)onor, (h)onur*. ლათინური *honorarium* საპატიო თანამდებობაზე დანიშნისთვის გადახდილ ქრთამს აღნიშნავდა. რამდენადაც სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობა „ღირსება, პატიოსნებაა“ მოხდა მნიშვნელობის გაკეთილშობილება.

### **People**

L. *populus* <OF. *pople, pueple* → AN. *people, poeple* → ME. *p(o)eple, people*.

სიტყვის საწყისი მნიშვნელობა შენარჩუნებულია.

### **Diet**

Gr. *diāita* ცხოვრების წესი < L. *diaeta* < OFr. *diēte*

ჰიპოკრატე და მედიცინით დაინტერესებული მისი თანამედროვენი სიტყვას გამოიყენებდნენ „ცხოვრების გამოწერილი წესის“ სპეციფიური მნიშვნელობით. ეს კი გულისხმობდა „კვების მითითებულ რეჟიმსაც.“ განსხვავებული შეფასებით (Ayto, 1990:171) სიტყვა ასოცირდება ლათინურ *diēta*-დღესთან, რაც საფუძვლად დაედო *diēta*-ს და შუასაუკუნეების ლათინურში აღნიშნავდა დღის რეჟიმს, განრიგს, დღის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოებს. თანამედროვე მნიშვნელობით ინგლისურმა ენამ სიტყვა XV საუკუნეში ისესხა. მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება.

## Current

*L. currere* - სირბილი

დენი. ძვ.ფრანგ. *Curant* სირბილი < *L. currere* სირბილი, სწრაფად მოძრაობა < პროტო ინდო-ევროპული \**kers* – სირბილი. სიტყვა ზედსართავის ფორმით დაახლოებით მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მიჯნაზე ისესხა ინგლისურმა ენამ „მიმდინარეს“ მნიშვნელობით. შემდგომ პერიოდში განუვითარდა (1) „გავრცელებული, მიღებული“, (2) „თავისუფალი, გამართულის“ მნიშვნელობები. გვიან მეთოთხმეტე საუკუნეში კი სიტყვა როგორც არსებითი სახელი დაფიქსირდა (1) „დინების, ნაკადის“, (2) სვლა, მსვლელობის მნიშვნელობებით. 1747 წლიდან კი მან „ელექტროდენის“ მნიშვნელობაც შეიძინა.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება, განვითარდა პილისემია და სიტყვამ შეინარჩუნა ყველა მნიშვნელობა.

**Resistance** – მეთოთხმეტე საუკუნის ძველი ფრანგული ფორმიდან *resistance* < *resistence* < *L. resistentia* < *L.* აწყო მიმდებარის ფორმიდან *resistēre* „წინააღმდეგობის გაწევა“. სიტყვის სესხება მოხდა მეთოთხმეტე საუკუნის შუა წლებში და ზოგადად ნებისმიერი სახის წინააღმდეგობის გაწევას აღნიშნავდა. ელექტრომაგნიტური მნიშვნელობით „წინააღმდეგობა“ გამოიყენება 1860 წლიდან. ოქსფორდის ლექსიკონი კი 1939 წლიდან კიდევ ერთ მნიშვნელობას აფიქსირებს, „არსებული მმართველი ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართულ ორგანიზებულ, ფარულ ოპოზიციას.“

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება, თუმცა პოლისემია სხვა სფეროებში არ განვითარებულა, ტერმინი გამოიყენება ფიზიკაში.

**Division** – გაყოფა, ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან *dividēre*, რაც “ to share, გაზიარებას” ნიშნავდა. ეტიმოლოგიურად სიტყვა რთული ზმნაა, სადაც *dis-* პრეფიქსია, ხოლო *-videre* ზმნური ელემენტი, რომელიც განცალკავებას ნიშნავს. იგივე ძირიდანაა *device* და *devise*, რომელთაც საფუძვლად *dividēre*-ს ხალხური ლათინურის ფორმა \**divisāre* უდევს.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება და სიტყვა სხვადასხვა სფეროში გამოიყენება (1) გაყოფა, განაწილების, (2) უთანხმოების, (3) კენჭისყრის დროს ხმების გაყოფის, (4) ბიოლოგიასა და ზოოლოგიაში კლასიფიკაციური დანაყოფების, (5) სამხედრო დივიზიის, (6) ტექნიკური ნაკვეთურის, ტიხარის, ბარიერის, საზღვრის, (7) ადმინისტრაციული ოლქის, სასამართლო განყოფილების მნიშვნელობებით.

### **Umpire**

L. *noumpere* > OFr. *nonper* "odd number, not even," > *non* "not" *per* "equal," > L. *par*

საწყისი მნიშვნელობა: კენტი, ზედმეტი

ახალი მნიშვნელობა: მსაჯი

XIV ს-ში ფრანგული *nonper*-იდან ისესხა ინგლისურმა ენამ, რაც „კენტი, არა წყვილი, ზედმეტი რიცხვს“ ნიშნავდა. ძირი კი ლათინურია *non* "not" + *per* "equal". ძველი ფრანგული *nonper* ინგლისური *nomper* გახდა, რადგანაც *n* *p*-ს გაველით გახდა *m*, ისევე როგორც E. *hamper* < Fr. *hanaper*. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ერთადერთი საშუალო ინგლისური სიტყვა არაა სადაც ფრანგული პრეფიქსი *non-* გვხვდება. მაგალითად, *nonpower* < *nounpower*, *noumpower*, *unpower* დამწერლობის ფორმებით, სადაც საწყისი *n* დაკარგვა ფრანგულ *non-* და ინგლისურ *un-* პრეფიქსებში გაურკვეველია, თუმცა ორივეს ერთნაირად უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ.

მნიშვნელობის ცვლილება კი გამოიწვია იმან, რომ ფრანგული *nonper* და ინგლისური *umpire* გამოიყენებოდა კენტი რიცხვის აღსანიშნავად, მაგრამ ასევე აღნიშნავდა იმ მესამე პირს, რომელიც ორ მოდავე მხარის საქმეს გაარჩევდა, ან მოწინააღმდეგეთა შედეგებს შეაფასებდა და გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებოდა. 1714 წელს *umpire* უკვე ჭიდაობაში შეჯიბრს მსაჯობდა.

საწყისი ორი მნიშვნელობიდან ერთი დაიკარგა.

### **Farce**

Fr. *farce* < L. *farciare* (to stuff) < Gr. *φρασσειν* (to shut in)

საწყისი მნიშვნელობა: კერძის სატენი, ფარში, შემავსებელი



ახალი მნიშვნელობა: ფარსი, კომედიის ერთ-ერთი სახეობა

farce 1400 წლამდე კულინარიულ ტერმინს წარმოადგენდა. მაგალითად, people enjoyed “farce-filled” guinea fowl...

სავარაუდოდ, ამ პერიოდში ეკლესიის მსახურნი არ იყვნენ მკაცრად შეზღუდული ლიტურგიული ტექსტებით. კათოლიკური მესა რელიგიურ დოგმატს მიჰყვებოდა, მაგრამ მოძღვარს თავისუფლად შეეძლო საკუთარი „მესიჯის“ ჩართვა ტექსტში. ამას კი იგი ადგილობრივ ენაზე ან დიალექტზე უფრო იტყოდა ვიდრე ლათინურზე, რათა გასაგები ყოფილიყო ყველასათვის. მოძღვრის ასეთ არალიტურგიულ, არალათინურ ჩართვას farce, წირვის „შემავსებელი“ უწოდეს.

სპექტაკლებსა და წარმოდგენებში farce ეკლესიიდან გადმოვიდა. მაშინდელი თეატრალური დადგმები ძირითადად ბიბლიურ სიუჟეტებს წარმოადგენდნენ. ხშირად მსახიობები შუა წარმოდგენაში კომიკურ, მსუბუქ პასაჟებს რთავდნენ. ასეთი „ბუფონადა“ აღიქმებოდა როგორც შემავსებელი, ჩართული საიდუმლოებით მოცულ წარმოდგენებში. საბოლოო ჯამში ესეთი კომიკური გადახვევები ის საკმაოდ პოპულარული გახდა და ცალკე ჟანრად განვითარდა, რომელიც დღესაც არსებობს.

სიტყვის მნიშვნელობა არსებითად შეიცვალა.

## **Jury**

### **Fr. *ajurie***

საწყისი მნიშვნელობა: დროებითი (ზედსართავი)

L. *iuris*>*iūrāre*> Fr. *juree*

ახალი მნიშვნელობა: ნაფიცი მსაჯული

jury ენაში არსებობდა როგორც არსებითი და როგორც ზედსართავი სახელები. არსებით სახელს ყოველთვის ჰქონდა იურიდიული მნიშვნელობა, ხოლო ზედსართავი რაღაც დროებითს აღნიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა ერთია, მნიშვნელობების წარმომავლობა სხვადასხვაა. jury, დროებითის მნიშვნელობით ფრანგული *ajurie*-დანაა ნასესხები, რომელიც დახმარებას, შველას აღნიშნავდა. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ზედსართავის ფორმას ისევე

ფრანგული სიტყვა *jour*, „დღე“ დაედო საფუძვლად. „something juried“ იგივეა რაც „to be temporary“.

ზედსართავმა *jury* საზღვაო-სანაოსნო ტერმინის მნიშვნელობა შეიძინა და სათადარიგო ანბა აღნიშნა. რადგანაც იგი სათადარიგო იყო დროებით ასრულებდა ანბის ფუნქციას.

*jury-rig* როგორც სანაოსნო ტერმინი არსებობს, მაგრამ ზედსართავი *jury* დამოუკიდებლად აღარ გამოიყენება.

*jury* – ნაფიცი მსაჯულები, რომელთაც ვერდიქტის გამოტანა ევალებათ ლათინური ძირისაა და *iūrāre* ფიცს, დაფიცებას ნიშნავს. (L. *iuris* – “law”. Fr. *juree*).

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის მრავალმხრივი გაფართოება.

### **Army**

L. *armāta* (შეიარაღება, ზმ) <OF. *armée* <ME *army* (ჯარი).

როგორც „შეიარაღებული ექსპედიციის“ მნიშვნელობით ინგლისურში ფიქსირდება XIV, ხოლო როგორც *armed force* XV საუკუნიდან. სიტყვის სესხება ფრანგული *armée*-დან მოხდა, რომელიც „შეიარაღებული ჯარის, შეიარაღებული ექსპედიციის“ მნიშვნელობებს აერთიანებდა. სიტყვის ძირი კი შუასაუკუნეების ლათინურ *armata* „შეიარაღებულ ძალებს“ < *armatus* „შეიარაღებულს, აღჭურვილს“ <*arma* „იარაღს“ უკავშირდება. სესხებისას სიტყვა საზღვაო და სახმელეთო ექსპედიციების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. „სახმელეთო ძალების“ მნიშვნელობით პირველად დაფიქსირდა 1786 წლიდან, თუმცა გადატანითი მნიშვნელობა „სიმრავლის, მრავალრიცხოვნებისა“ გაცილებით ადრე 1500 წლიდან ფიქსირდება.

### **Captain** კაპიტანი (სამხ.)

L. *capitāneus* (ჯარისკაცთა მეთაური, ხელმძღვანელი) <L. *caput* (თავი) <late OF *capitaine* < ME. *captain* (XIVc.)

სიტყვას არ განუცდია ცვლილება და მნიშვნელობაც იგივე დარჩა.

### **Judge** მოსამართლე

L. *jūdex* <OF. *juge*.

ეტიმოლოგიურად *judge* ის პირია, ვინც კანონის სახელით მეტყველებს. ლათინური ძირი რთული სიტყვაა და *jūs* კანონს, ხოლო *-dicus* მეტყველებას, საუბარს ნიშნავდა (*diction, dictionary*). მონათესავე ნასესხეობებია *juridical, jurisdiction, judicature, judicial, judiciary, judicious*.

### **Mayor** მერი

L. *māior* <MedL. *māior* უფრო დიდი.

საწყისი მნიშვნელობა სხვადასხვა ოფიციალური პირის წოდებას აღნიშნავდა. საშუალო ინგლისურში სიტყვის დამწერლობა *mair* ან *mer* ფრანგული ფორმის *maire*-ს გავლენა იყო, ხოლო თანამედროვე დამწერლობა სიტყვის ლათინურ საწყისს უკავშირდება.

მოხდა მნიშვნელობის გარკვეულწილად გაფართოება, თუმცა საწყის მნიშვნელობას არ დაშორებია.

### **Tower**

OF. *tur, tor* <L. *turris, turr-*, < Gr. *túrris, túrsis, túrsos*

ძველი ინგლისური *torr* „კოშკს, სათვალთვალ კოშკურას“ აღნიშნავდა. ლათინური *turris* კი, „კოშკს, ციტადელს, მაღალ კონსტრუქციას.“

სიტყვის საწყისი მნიშვნელობა შენარჩუნებულია.

### **Fabulous**

Fr. *fable* < L. *fābula, fabul-ous*

საწყისი მნიშვნელობა: მითიური, ლეგენდარული

ახალი მნიშვნელობა: მშვენიერი, გასაოცარი, საარაკო, ექსტრაორდინალური ადრეულ მეთხუთმეტე საუკუნეში ნასესხებ სიტყვას ლათინური ძირი აქვს და *fabulosus* მითებში ცნობილი, გაგრცელებულის (“celebrated in fable”) მნიშვნელობა ჰქონდა. E. *fable* < L. *fabula* ”story, tale” იგავ-არაკი, მხატვრული, გამოგონილი ამბავია, რომელის მორალი უნივერსალური ჭეშმარიტებაა. ხშირად იგი შინაარსობრივად მითებს უკავშირდება, რადგანაც მითები

ოდესღაც ნამდვილ ამბებს აღწერდნენ, ახლა კი მხატვრულად ითვლება. სიტყვა *fabulosus* იმ საგნებს, ცხოველებსა და ადამიანებს აღწერდა, რომლებიც მითებში ან იგავ-არაკებში გვხვდებოდნენ. მაგალითად, დრაკონი – მითიური, ლეგენდარული იყო; ევროპელ ხელმწიფეთა გმირობები ლეგენდარულად ფასდებოდა, ალქიმიამ გამოგონილად ითვლებოდა და ა. შ.

სიტყვის მნიშვნელობის ტრანსფორმაცია ადვილად გასაგებია. მითიური და ლეგენდარული გმირები ანტიკური ხანის „სუპერგმირები“ იყვნენ, როდესაც მათზე ითხზებოდა არაკები, მათი ცხოვრება და ბრძოლები არაორდინალურად ითვლებოდა.

ადრეულ ახალი ინგლისური ენის პერიოდში *fabulosus* გამოხატავდა იმ ადამიანთა გრძნობებსა და ემოციებს, რასაც ისინი იგავ-არაკებისა და მითების მოსმენისას განიცდიდნენ. „დაუჯერებელის“ მნიშვნელობა კი 1600 წლიდან ფიქსირდება, შემდგომში გამოიყენებოდა *enormous, immense, amazing*–ის მნიშვნელობით, რაც 1950 წლებში *marvelous, terrific*–ით შეიცვალა. სიტყვის შემოკლებული ვარიანტი *fab*– 1957 წელს სლენგად იქცა.

მოხდა მნიშვნელობის გარკვეული გაფართოება და ტრანსფორმაცია.

**Composite** – ნაწარმოებია ლათინური ზმნიდან *componere*, რომელიც „აწყობას, to assamble together“ ნიშნავდა. პრეფიქსი *com-* ნიშნავს „ერთად“, *penere*– “მოთავსება, დაწყობა, დალაგება.” იგივე ძირი უდევს საფუძვლად სიტყვას *position*.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, თუმცა პოლისემია არ განვითარებულა.

## Culture

MFr. *culture* < Latin *cultura* ”a cultivating, agriculture, care, culture, an honoring.” <მიმღეობა II ძირიდან *colere* ”tend, guard, cultivate, till”.

საწყისი მნიშვნელობა: მიწის დამუშავება, კულტივირება

ახალი მნიშვნელობა: ხელოვნება, ტრედიციები და ჩვევები, რომლებიც ახალიათებს გარკვეულ ჯგუფს, საზოგადოებას, ერს და ა.შ.

სიტყვა ინგლისურ ენაში ფრანული ენის გავლით შევიდა, ფრანგულში კი ლათინური *cultūra*-დან მოხვდა, რაც მიწის მოწყობას, დამუშავებას, ხოლო მეტაფორული მნიშვნელობით „მოვლას, პატივისცემას“ ნიშნავდა. სიტყვა *agricultura* პირველად დაფიქსირებულია ცნობილი რომაელი მწერლის და პოლიტიკური მოღვაწის მარკუს პორციუს კატონის (ძვ.წ. 234-149) თხზულებაში „მიწათმოქმედების შესახებ“

დაახლოებით 1500 წლიდან აღწერდა კარგი განათლების შედეგებს. სკოლებში ჩარიცხვა გონების „დამუშავებას“ “culture of mind” ნიშნავდა (Hayes, 2012:73).

მოგვიანებით კი, სიტყვის მნიშვნელობამ განიცადა ტრანსფორმაცია და აღნიშნავდა „მაღალ კულტურას“, რაც პოეზიასთან, ოპერასთან და ა. შ. იყო დაკავშირებული. ე.წ. „დაბალ კულტურაზე“ (ტაბლოიდებზე, ყვითელ პრესაზე, კომიქსებზე) მოთხოვნების გაზრდამ გამოიწვია ის, რომ კულტურამ განასხვავა ცუდი და კარგი ნებისმიერ ჯგუფში, საზოგადოებაში თუ ერში.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება, სიტყვამ უფრო ფართო ცნება აღნიშნა ვიდრე მხოლოდ მიწის დამუშავება.

**Democracy** 1570 წლიდან ფიქსირდება ინგლისურ ენაში. დემოკრატია <ფრანგული (14 ს.) *démocratie* <ლათინური (13 ს.) *democratia*.

სიტყვის პირველწყაროა ბერძნული *δημοκρατία* რაც “სახალხო მმართველობას” ნიშნავდა. *δημος* – „ხალხი“ + *κρατος* „მმართველობა, ძალაუფლება.“ *δημος* - ოლქს, უბანს ნიშნავდა და იმ ხალხთან მიმართებაშიც გამოიყენებოდა ვინც ამ ოლქსა თუ უბანში ცხოვრობდა და მონაწილეობას იღებდა ამ რაიონის მმართველობაში. დემოკრატია გულისხმობს ადამიანის მონაწილეობას არჩევნებში.

Democracy implies that the man must take the responsibility for choosing his rulers and representatives, and for the maintenance of his own 'rights' against the possible and probable encroachments of the government which he has sanctioned to act for him in public matters (Ezra Pound, “ABC of Economics,” 1933).

სიტყვის ძირიდანაა ნაწარმოები *democrat*, რომელიც ფრანგულში შეიქმნა, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ და გარკვეულწილად არისტოკრატის საპირისპირო მნიშვნელობა ჰქონდა. ზმნის ფორმა *democratize*-იც ფრანგულ ენას უკავშირდება და ძირს თვით ბერძნული ზმნიდან *demokratizein* იღებს, რაც „დემოკრატიის მხარეს ყოფნას“ აღნიშნავდა. ამერიკაში 1798 წელს ერთერთმა პოლიტიკურმა პარტიამ დემოკრატიული პარტიის სახელი დაირქვა.

**Gravity-** (1500) წონა, ღირსება, სერიოზულობა. საშუალო ფრანგული *gravité*-სერიოზულობა, გააზრებულობა. თავისთავად ნასესხებია ლათინური *gravitatem* წონა, სიმძიმე.ლათ. *Gravis* – (ზედსართავი) მძიმე. როგორც ფიზიკური ტერმინი – ძალა, რომელიც საგნებს სიმძიმეს, მიზიდულობას ანიჭებს პირველად 1640-იან წლებში გამოიყენეს. იგივე ძირიდანაა ზედსართავი *grave* – ემოციურად მძიმე წუთების ან ხასიათის მეტაფორულად გამოსახატავად.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება, მაგრამ როგორც ტერმინს პოლისემია არ განვითარებია.

**Orator** < L. *orāre* „საუბარი, სასამართლოს წინაშე დამცველად გამოსვლა, დაცვა.“

სიტყვის სესხება დაახლოებით 14 საუკუნეში მოხდა და უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მხოლოდ დამცველს სასამართლო პროცესზე, 1580 წლიდან ფიქსირდება როგორც სახალხო გამომსვლელის მნიშვნელობით. იგივე ძირის ლათინური სიტყვა *oratoria* დაედო საფუძვლად სიტყვის კიდევ ერთ მნიშვნელობას „ლოცვა, თხოვნა.“ აქედან გამომდინარე *oratory* გახდა პატარა სამლოცველო, სადაც ლოცვა აღევლინებოდა. *oratorio* გრძელ მუსიკალურ ნაწარმოებს აღნიშნავდა, რომელიც საღმრთო წერილის მიხედვით იყო შედგენილი. 1500 წლიდან აღნიშნავს ლექციას, მჭევრმეტყველებას, დასაბუთებულ მსჯელობას, საჯარო გამოსვლას.

მეთოთხმეტე საუკუნიდან ენამ ფრანგულიდან ისესხა *oracle* -ის მნიშვნელობა ორაკულისა, ტაძრისა სადაც ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ.

სიტყვის საწყისი მნიშვნელობა არ დაკარგულა, მოხდა მნიშვნელობის გაფართოება.

## Power

სიძლიერე (განსაკუთრებით ბრძოლაში), შესაძლებლობა, უნარი. ინგლისურ ენაში ფიქსირდება 1300 წლიდან. ნასესხებია ხალხური ლათინურიდან *potēre* < ლათ. *potis* ძლიერი (<ბერძ. *potis* <პროტო ინდო-ევროპული \**poti* ძლიერი, მმართველი <სანსკრიტი *patih* < *patis* პატრონი, მეუღლე). ელექტრომომარაგების და ზოგადად ელექტრო ენერჯის მნიშვნელობით დაფიქსირდა 1896 წლიდან და ამდენად მოხდა მნიშვნელობის გაფართოება.

## Parasite

Fr. *parasite* < L. *parasitus* < Gr. *παράσιτος*, *παρά* (beside) + *σιτος* (wheat, bread, food)

სიტყვის არსებობა ინგლისურ ენაში ფიქსირდება 1530 წლიდან სხვის ხარჯზე მცხოვრები, გაიძვერა, მლიქვნელი ადამიანის მნიშვნელობით. ნასესხებია ფრანგული *parasite*-დან ან უშუალოდ ბერძნული *parasitos* ან ლათინური *parasitus*-დან მეთექვსმეტე საუკუნეში. სამეცნიერო მნიშვნელობა ცხოველის ან მცენარისა, რომელიც სხვა ორგანიზმზე ცხოვრობს შეიძინა 1640 წლებში.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, საწყისი მნიშვნელობა არ დაკარგულა, რომლიდანაც განვითარდა ბიოლოგიური ტერმინი.

## Enthusiasm

დაახლოებით 1600 წელს ისესხა ინგლისურმა ენამ.

MF *enthousiasme* < L. *enthūsiasmus* < Gr. *ἐνθουσίασμος* ”divine inspiration, enthusiasm (შთაგონება, გამოწვეული გარკვეული მუსიკით და ა.შ.) <Gr. *ἐνθουσίαζω* ”შთაგონებული ვარ, I am inspired” <*ἐνθεος* „ღვთით აღსავსე”, full of the god,” < Gr. *ἐν* ”within” + *θεός* ”god”.

თუკი ადამიანი „ენტუზიაზმით” იყო „შეპყრობილი” ნიშნავდა იმას, რომ იგი თვით ღმერთისგან იყო შთაგონებული და „რელიგიური ექსტაზი” ჰქონდა მიღებული, შეეძლო სხვადასხვა ენებზე საუბარი და კრუნჩხვებში ჩავარდნაც კი. პურიტანული მოძრაობამ უმეცრობად ჩათვალა „რელიგიური ექსტაზი”. ამრიგად, *enthusiasm* –მა გარკვეულწილად დამამცირებელი ელფერი შეიძინა

რელიგიური ემოციების მოჭარბებული ან არაადეკვატური, შეუფერებელი გამოხატვისა.

მეთვრამეტე საუკუნეში სიტყვამ დაკარგა კავშირი რელიგიურ გულმოდგინე-ბასთან, გაფართოვდა და შეიძინა მონდომების, აღტაცების, გულმოდგინების, ინტერესის მნიშვნელობა.

### **Bravery**

Fr. brave, “splendid, valiant” < Italian bravo ”brave, bold” < Med. L. bravus ”cutthroat, villain” < L. pravus ”crooked, depraved;”

საწყისი მნიშვნელობა: ტრაბახი, უტიფრობა (უარყოფითი)

ახალი მნიშვნელობა: სიმამაცე, გამბედაობა (დადებითი)

სიტყვას, რომლიდანაც ნაწარმოებია bravery უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. იტალიურ და ესპანურ სიტყვებს უგუნურობის, ყოყონობის (“bravado”) მნიშვნე-ლობა აქვთ, ხოლო ლათინური ძირი ბარბაროსს (“barbarous”), აღნიშნავს და არა გულადს ან მამაცს. თუკი ვინმე იყო ტრაბახა და კვებარა ანუ brave, იგი უშიშარიც უნდა ყოფილიყო. განსაცდელს უგუნურად, გაუაზრებლად უნდა შებრძოლებოდა, მაშინაც კი თუკი სერიოზულ უმცირესობაში იქნებოდა.

მეთექვსმეტე საუკუნეში სიტყვის უარყოფითმა მნიშვნელობამ ტრანსფორ-მაცია განიცადა დადებითი მნიშვნელობისკენ. მან დაკარგა „შეურაცხყოფელი” მნიშვნელობა და გახდა კომპლიმენტი. ამ დროისათვის მამაცობის გამოჩენა მამაკაცთა პრეროგატივა იყო და კარგად აღწერდა ხელისუფალთა მიერ წარმოებულ ბრძოლებს.

სიტყვის საწყისი მნიშვნელობა არ დაკარგულა, მაგრამ იშვიათობას წარმო-ადგენს, თუმცა სიტყვამ ახალი მნიშვნელობაც შეიძინა და ძვირფას, გამოსასვლელ ტანისამოსს აღნიშნავს.

მოხდა მნიშვნელობის ერთის მხრივ გაკეთილშობილება, და მეორეს მხრივ გაფართოებაც.

### **Disaster**

MFr désastre < It. disastro ”ill-starred” < dis-+ astro ”star, planet,” < L. *astrum* < Gr. *astrón*.



საწყისი მნიშვნელობა: ვარსკვლავების არასასურველი განლაგება.

ახალი მნიშვნელობა: მოულოდნელი, უეცარი, ქაოსური მოვლენა.

სიტყვა დაახლოებით 1590 წლიდან ისესხა ინგლისურმა ენამ ფრანგული ენიდან. საწყისი მნიშვნელობა ვარსკვლავთა არასასურველ განლაგებას, სიტყვასიტყვით კი, უვარსკვლავობას აღნიშნავდა. თუკი ასტროლოგიური პროგნოზი არაკეთილსაიმედოდ მიიჩნეოდა, ითვლებოდა, რომ ეს ვარსკვლავების ბრალი იყო და რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო.

მოგვიანებით მეცნიერულად დასაბუთებულმა კვლევებმა ადვილად ჩაანაცვლა ვარსკვლავთმრიცხველური პროგნოზები და მეთვამეტე საუკუნეში სიტყვის მნიშვნელობა მთლიანად გაემიჯნა ასტროლოგიას, მაგრამ აზრი „მოსალოდნელი უბედურებისა“ მაინც შეინარჩუნა.

## Obsession

Fr. *obsession* > L. *obsessionem*

საწყისი მნიშვნელობა: ალყის შემორტყმა, ალყაში მოქცევა

ახალი მნიშვნელობა: არაჯანსაღი ყურადღება

შუა საუკუნეებში სიტყვას სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა და სავარაუდოდ ფრანგული *obsession*-იდან იქნა ნასესხები, რომელსაც საფუძვლად ლათინური *obsessionem* (სახელობითი ბრუნვის ფორმა *obsessio*, ალყა) დაედო. მოგვიანებით მოხდა მნიშვნელობის გაფართოება და საომარი „ბოროტი სულის მტრული ქმედება“ გადავიდა ადამიანის სხეულზე და გონების მოცვა, ყურადღების არაჯანსაღი კონცენტრირება აღნიშნა. 1901 წლიდან ფსიქოლოგიური ტერმინიც გახდა.

## Facial

Fr. *facial* < Med. L. *facialis* (სახისა)

საწყისი მნიშვნელობა: პირისპირ

ახალი მნიშვნელობა: სპა მომსახურება

დაახლოებით 1600 წელს სიტყვა *facial*, „პირისპირ“-ის მნიშვნელობით ფრანგულ-

ის გავლით შევიდა ინგლისური ენის ლექსიკონში. მაგალითად: I had a facial discussion..., Would you have a facial meeting with.....

დაახლოებით 1800 წლიდან გავრცელდა სიტყვის გამოყენება „სახისა“-ს მნიშვნელობით. მაგალითად, facial blemish.

100 წლის მოგვიანებით კი ამერიკელმა ბოტანიკოსებმა მომხმარებლებს შესთავაზეს სახის ნიღბები და დამატენიანებლები, facial masks და facialmoisturisers. სწორედ ამერიკიდან გავრცელდა სპა ტერმინად facial.

სიტყვის საწყისი მნიშვნელობა ჩაანაცვლა face-to-face ან უფრო ხშირად გამოყენებულმა ფორმამ tèt-a-tèt.

მოხდა მნიშვნელობის გაფართოება და ახალი მნიშვნელობის დამატება.

**Accolade** (n.) შექება, ხოტბა. ნასესხებია მეჩვიდმეტე საუკუნეში ფრანგული ფორმიდან *acolade* < Vulgar Latin \**accollare* "to embrace around the neck," < Latin *ad-* "to" + *collum* "neck".

სიტყვას ლათინური ძირი აქვს და კისერზე შემოჭდომას ნიშნავდა და გარკვეულ მოქმედებას აღნიშნავდა რაინდად კურთხევის ცერემონიალის დროს. სამეფო ოჯახის წევრი რაინდობის კანდიდატს გადაეხვეოდა და მხრებზე იარაღით შეეხებოდა. წლების განმავლობაში სიტყვის საწყისი მნიშვნელობა ამ ცერემონიალს აღნიშნავდა, ხოლო მას შემდეგ რაც რაინდობა და რაინდები რომანების თემა გახდა სიტყვამ *acolade* დაკარგა კავშირი ცერემონიასთან მნიშვნელობა გაფართოვდა და ზოგადად „შექების, ხოტბის შესხმის“ აღმნიშვნელი გახდა.

### **Apron**

L. *mappa* > L. *m* > OFr. *n* > *naperon*

საწყისი მნიშვნელობა: *naperon* – ხელსახოცი ან მაგიდის გადასაფარებელი, სუფრა

ახალი მნიშვნელობა: წინსაფარი

სიტყვა ინგლისურ ენაში შემოვიდა ძველი ფრანგულიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ლათინური *m* ფრანგულ *n*-ად ჩაწერა. სიტყვის ლათინური ფორმა L. *mappa* ფრანგულმა ენამ ისესხა როგორც *naperon*.

*mappa, წინსაფარი, ხელსახოცი*, მეუღლის, დიასახლისის საქმიანობის განუყრელი ნაწილი იყო, რასაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ატარებდა. 1610 წლიდან სიტყვის მნიშვნელობა ასოცირებულად გამოვიდა საწყისი მნიშვნელობიდან, თუკი *napkin*-ით სახეს ვიწმენდთ, *tablecloth* იცავს მაგიდას, *napron* –მა ადვილად შეიძინა მისი ახლანდელი მნიშვნელობა.

მაგრამ რატომ *apron* და არა *napron*? სავარაუდოთ, ახალი სიტყვა ფრანგული გამოთქმით “*un naperon*” მსმენელმა გაიგო როგორც *an apron* და არა *a napron*. იგივე მოხდა *umpire* –ს შემთხვევაშიც.

საწყისმა მნიშვნელობამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, თუმცა ახალი მნიშვნელობა ძველს ძალიან არ დაშორებულა.

## **Fatigue**

L. *fatigāre* <OFr. *fatigue*

მეიფე. ის, რაც იწვევს დაღლილობას ნაწარმოებია ფრანგული *fatigue* <ლათ. *fatigare* = ლათ. *\*fati-agos* <ლათ. *\*fatis* დაღლილი + *agree* ტარება. სიტყვას სხვადასხვა პერიოდში განუვითარდა პოლისემია. 1776 წლიდან ჯარისკაცის დამატებით მოვალეობას აღნიშნავდა, აქედან გამომდინარე მოგვიანებით (1836) ჯარისკაცის სპეცტანსაცმლის, კამუფლაჟის (*fatigue dress/cap*) მნიშვნელობაც განვითარდა. ტექნიკურ სფეროში მასალის დაღლილობა აღნიშნა, ხოლო სოფლის მეურნეობაში ნიადაგის გამწირება.

**Force** (1300) ძალა, ფიზიკური სიძლიერე < ძველი ფრანგული *force* < ხალხური ლათინური *\*fortia*. სამხედრო მნიშვნელობა შეიძინა მეთოთხმეტე საუკუნეში, ხოლო როგორც ფიზიკური ტერმინი გვხვდება 1860 წლიდან.

## **Bohemian**

Fr. *bohemién*

საწყისი მნიშვნელობა: ბოჰმა

ახალი მნიშვნელობა: დისიდენტი, არაკონფორმისტი მწერალი ან მსახიობი

“The term 'Bohemian' has come to be very commonly accepted in our day as the description of a certain kind of literary gipsy, no matter in what language he speaks, or what city he inhabits .... A Bohemian is simply an artist or littérateur who, consciously or unconsciously, secedes from conventionality in life and in art. (“Westminster Review,” 1862)

ფრანგული სიტყვა ნიშნავდა ბოშას, ძირი ლათინურია და ეგვიპტელს აღნიშნავდა. არც gypsy-ს და არც bohemian-ის თანამედროვე მნიშვნელობა არ უკავშირდება ამ სიტყვების საწყის მნიშვნელობას. რომაელებს არასწორად სჯეროდათ, რომ ბოშები ეგვიპტიდან იყვნენ, ხოლო ფრანგები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი ბოჰემიიდან მოდიოდნენ.

ბოჰემია, ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი რაიონი იყო და ჩეხეთის ორ-მესამედს იკავებდა. „ბოჰემიელები“ ხეტიალის მოყვარულ ხალხად ითვლებოდნენ და მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონდათ, ამიტომ ევროპის სხვა ხალხები მათ ზემოდან უყურებდნენ. ბევრს ისიც კი სჯეროდა, რომ მათთვის მაგიაც არ იყო უცხო და ბუნებრივად ჭუჭყიანები იყვნენ. თუმცა უმრავლესობა თვლიდა, რომ ისინი შარლატანები იყვნენ და რაღაც ელექსირების გაყიდვით ირჩენდნენ თავს.

სიტყვის მნიშვნელობა რამდენაღმე შეიცვალა უილიამ თეკერის რომანის „ამაოების ბაზრი“ გამოსვლის შემდეგ. რომანის ერთ-ერთი გმირის, ბეკი შარფის მშობლები ბოჰემიიდან იყვნენ. ბეკი კი შესანიშნავი მუსიკოსი, მომღერალი და მსახიობი იყო. რომანისა და ბეკის პოპულარობამ საზოგადოებაში გარკვეულწილად გამოიწვია სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა „ბოშიდან“ „ბოჰემურ“, არტისტულ ადამიანამდე, რომელიც საზოგადოების ცხოვრების დინებას არ მიჰყვება. სიტყვამ „ბოშა“ დაკარგა კავშირი ეთნიკურობასთან და თავისუფალი სულის ადამიანის აღმნიშვნელი გახდა. აზრობრივად gypsy და bohemian სინონიმებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა მხატვრული ლიტერატურის გავლენით.

### 3.4. ბერძნული ენიდან ნასესხები სიტყვების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები

## Iconoclast

Gr. *εἰκών* + *κλάστης*

საწყისი მნიშვნელობა: ხატის გამანადგურებელი, ხატმებრძოლეობა

ახალი მნიშვნელობა: ის, ვინც მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება

სიტყვის ძირი ბერძნულია და *εἰκών* ხატს ნიშნავს, (ლათინურად *icōn*), *κλάστης*–მტკეხელი, გამტკეხავი (*κλάειν* – ზმ. გატეხვა)

დაძაბულობამ რომაულ კათოლიკურ და აღმოსავლეთ ორთოდოქს ეკლესიებს შორის VIII-IX საუკუნეებში გამოიწვია ის, რომ დაიწყეს კათოლიკური ხატებისა და სხვა რელიგიური სიწმინდეების განადგურება იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო მათი გაიგივება კერპებთან. iconoclast ანგლიციზირებული სიტყვაა ხატების გამანადგურებელის (“icon breaker”) აღსანიშნავად.

XIX საუკუნეში სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა და აღნიშნავდა ისეთ ადამიანს ვინც მართლმადიდებლურ რწმენას ეწინააღმდეგებოდა.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება, ნაწილობრივ დაკარგა კავშირი რელიგიასთან და უფრო ზოგადი ცნება აღნიშნა.

## Pope

OE. *papa* (IX საუკუნე, არსებითი სახელი), საეკლესიო ლათინური *papa* ”bishop, pope” ( კლასიკური ლათინური “tutor”), <ბერძნული *πάπας* ”patriarch, bishop,” “father.” სიტყვა თავიდან მხოლოდ ანატოლიის ეპისკოპოსებთან მიმართებაში გამოიყენებოდა, 250 წლიდან ალექსანდრიის ეპისკოპოსის წოდება გახდა, ხოლო V საუკუნიდან რომის ეპისკოპოსს, კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს აღნიშნავდა. 1073 წლიდან ინგლისურში რომის პაპის მნიშვნელობით დიდი P-თი იწერება.

**Cosmos** წიგნური სიტყვაა და დაახლოებით 1200 წელს ისესხა ინგლისურმა ენამ პირდაპირ ბერძნულიდან, *κόσμος* აღნიშნავდა (1) „წესრიგს, მწყობრს, მოწესრიგებულ რიგს”. ზმნა *κόσμειν* აღნიშნავდა „მომზადებას, განლაგებას (ჯარის საომრად)”, (2) „საბრძოლო წყობას”, (3) „დამყარებას (რეჟიმის, ხელისუფლების)”, (4) „მორთვა, მოკაზმვა, გალამაზება (განსაკუთრებით

ქალის)”. ამ მნიშვნელობით *kosmos* მეორადი მნიშვნელოვანი მნიშვნელობაც ჰქონდა და აღნიშნავდა (5) „ორნამენტებს ქალის სამოსზე”, *κόσμοκομης* (6) ვარცხნილობის გაკეთებას ნიშნავდა; რა გასაკვირიც არ უნდა იყოს იგივე ძირიდანაა თანამედროვე (7) *cosmetics*-იც. ამ მნიშვნელობების გარდა აღნიშნავდა (8) სამყაროს და (9) მსოფლიოს. მეოცე საუკუნის საბჭოთა მიღწევებმა კოსმოსში განასხვავა კოსმონავტი და ასტრონავტი. მეცხრამეტე საუკუნის მონაპოვარი კოსმოპოლიტი კი „მსოფლიო მოქალაქე” უნდა ყოფილიყო. სამყაროს მნიშვნელობით კოსმოსი პირველად პითაგორამ გამოიყენა, სავარაუდოდ ვარსკვლავური ცის თაღის მნიშვნელობით, თუმცა მნიშვნელობა გაფართოვდა და მთელი სამყარო, დედამიწის ჩათვლით, კოსმოსი გახდა. ქრისტიანულ მწერლობაში კოსმოსი (10) ამქვეყნიურ ცხოვრებას გულისხმობს. სიტყვის მნიშვნელობის ერთგვარი თანამედროვე პოპულარიზაცია ეკუთვნის ჰუმბოლდტს.

**Period** (არსებითი სახელი)

XIV საუკუნეში ინგლისურმა ენამ აშკარად (1) დროის გარკვეული მონაკვეთის ასაღნიშნად ისესხა სიტყვა, “course or extent of time,” < Fr. *periode* < Med L. *periodus* „ციკლი, რეგულარული წილი, recurring portion, cycle,” < L. *periodus* „სრული წინადადება, a complete sentence,” „ბერძნული თამაშების ციკლი, cycle of the Greek games,” < Gr. *περίοδος* „ციკლი, დროის მონაკვეთი, cycle, circuit, period of time,” “a going around.” მოგვიანებით კი მას განუვითარდა პოლისემია დროსთან მიმართებაში და აღნიშნავს: (2) სტადიას; (3) ეპოქას, ხანას; (4) გაკვეთილს, სალექციო საათს; (5) წერტილს; (6) არითმეტიკული მთელისა და მათედიის გამყოფ ნიშანს; (7) ფიზიოლოგიურ ტერმინს; (8) ფიზიკურ პერიოდს (მაგ.: რხევისა); (9) ციკლს; (10) მუსიკალურ პერიოდს; (11) რაიმეს დასასრულს; (12) გრამატიკაში დასრულებულ წინადადებას; (13) სპორტული თამაშების პერიოდს; (14) მრავლობითი რიცხვის ფორმით რიტორიკას.

**Cycle** (არსებითი სახელი)

XIV საუკუნეში წრეს, ბორბალს, მრგვალ საგანს აღნიშნავდა. *L. cyclus*, < Gr. *κύκλος* "circle, wheel, any circular body, circular motion, cycle of events".

1842 წლიდან სიტყვას ზმნის ფუნქციაც გაუჩნდა და ტრიალს აღნიშნავდა, ხოლო 1883 წლიდან ველოსიპედის ტარებას.

### **Character** (არსებითი სახელი)

სიტყვის სესხება მოხდა XIV საუკუნეში. *carecter*, (1) დამდას, ბეჭედს, "symbol marked or branded on the body" აღნიშნავდა. XV საუკუნიდან სიმბოლოს, დამდას ჯადოქრობასა და შავ მაგიაში "symbol or drawing used in sorcery," < OFr. *caratere* "feature, character" < *L. character*, < Gr. *χαρακτήρας* "engraved mark," ასევე "symbol or imprint on the soul," "instrument for marking," < *χαρασσειν* "to engrave," < *χαραχ* "pointed stake." მოგვიანებით სიტყვას განუვითარდა პოლისემია და თანამედროვე ინგლისურში აღნიშნავს: (2) ხასიათს, ზნეს; (3) თვისებას, ბუნებას; (3) დამახასიათებელ, განმასხვავებელ ნიშანს ან თვისებას; (4) ავტორიტეტს, სახელს, რეპუტაციას; (5) რეკომენდაციას ან წერილობით დახასიათებას; (6) ფიგურას, პიროვნებას; (7) უცნაურ, ახირებულ, თავისებურ ადამიანთან მიმართებასაც გამოიყენება; შეიძლება იყოს ლიტერატურული ნაწარმოების (8) პერსონაჟი, გმირი; ბეჭდური საქმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სიტყვა აღნიშნავდა (9) ასოს, იეროგლიფს, ციფრს, შროფტს, ხელწერას, სიმბოლოს; და ასევე (10) სხვადასხვა კოდს, შიფრსა თუ კრიპტოგრამას.

### **Asylum**, თავშესაფარი

*L. asylum* "sanctuary," < Gr. *ἀσυλον* "refuge" < *ασυλος* "inviolable, safe from violence," მყარ, ხელშეუხებელ ადგილს, განსაკუთრებით კი დაუცველ ფენასთან მიმართებაში < *α-* "without" + *σιλε* "right of seizure." ლიტერატურულად კი ეს იყო (1) ხელშეუხებელი ადგილი. 1640 წლიდან სიტყვამ აღნიშნა (2) უსაფრთხო ადგილი, ხოლო 1776 წლიდან (3) გაჭირვებულთა, უსახლკაროთა თავშესაფრის ზოგადი მნიშვნელობით ფიქსირდება.

### **Comma**, მძიმე

სიტყვის სესხება 1520 წლით ფიქსირდება. *L. comma* „მოკლე ფრაზა“ < Gr. *κόμμα* „წინადადებაში ჩართული,“ „გამოყოფილი მოკლე ფრაზა“ < *κορτειν* „გამოყოფა“. თუკი სესხების მომენტში სიტყვა მოკლე ფრაზას აღნიშნავდა მოგვიანებით მნიშვნელობა ტრანსფორმირდა და ამ მოკლე ფრაზის გამომყოფელი (1) პუნქტუაციის ნიშანი აღნიშნა.

### **Phrase, ფრაზა**

ბერძნული *phrasis*-დან (არს. სახ. „საუბარი, მეტყველება, საკუთარი აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება“ < *φρασ-γειν* ზმ. „საუბარი“) ისესხა ინგლისურმა დაახლოებით 1530 წელს და აღნიშნავდა „გამოხატვის სტილს, მანერას“, ასევე (1) „ერთი აზრის მქონე სიტყვათა ჯგუფს.“

მნიშვნელობის გაფართოება მოხდა მუსიკაში და 1789 წლიდან იგი (2) მოკლე პასაჟს ნიშნავს, თუმცა საწყისი მნიშვნელობა ფრაზისა, გამოთქმისა დღესაც მყარად აქვს შენარჩუნებული.

### **Encyclopedia (არსებითი სახელი)**

1530 წლიდან ფიქსირდება ინგლისურ ენაში „ინსტრუქციების, მითითებების ზოგადი კურსის“ მნიშვნელობით. *L. encyclopaedia* (c. 1500), Greek *εγκυκλοπαιδεία*-ს რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა და აღნიშნავდა “general education,” “training in a circle,” “circle” of arts and sciences, the essentials of a liberal education < *εγκυκλιος* “circular,” also “general” (*εγ* “in;” + *κυκλος* “circle;” (n.)) + *παιδεία* “education, child-rearing,” < *παις* (genitive *παιδος*) “child”. 1640 წლიდან კი შეიძინა (1) თანამედროვე ენციკლოპედიის მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენდა ანბანურ საძიებელს, “reference work arranged alphabetically”.

### **Chorus, ქორო, გუნდი**

სიტყვა 1560 წელს ისესხა ინგლისურმა ენამ < *L. chorus* “a dance in a circle, the persons singing and dancing, the chorus of a tragedy,” < Gr. *χορός* “band of dancers or singers, dance, dancing ground.” ახალ ინგლისურში სიტყვას განუვითარდა პოლისემიური მნიშვნელობა და “a choir”, (1) გუნდის მნიშვნელობით



გამოიყენება 1650 წლიდან, ხოლო (2) მისამღერის მნიშვნელობით, “the refrain of a song” (which the audience joins in singing) – 1590 წლიდან.

**Bulb**, ნათურა

1560 წელს სიტყვა ინგლისურმა ენამ „ხახვის“ მნიშვნელობით ისესხა, Mid Fr. *bulbe* < L. *bulbus* “bulb, bulbous root, onion,” < Gr. *βολβός* “plant with round swelling on underground stem.” პოლისემიის წყალობით სიტყვა აღნიშნავს (1) ბოლქვს, 1800 წლიდან ზოგადად (2) ნათურას, “swelling in a glass tube” (thermometer bulb, light bulb); (3) მრგვალ ან სფეროსებრ საგანს, (4) ფიზიოლოგიაში თვალის კაკალს; (5) მუცლიან ჭურჭელს.

**Alphabet**, ანბანი

დაახლოებით 1570 წელს მოხდა სიტყვის სესხება, Latin *alphabetum* < Greek *αλφάβητος*, ბერძნული ანბანის პირველი ორი ასოს სახელის მიხედვით *alpha* + *beta*. თუმცა სიტყვას პოლისემია არ განვითარებია მან სესხებისთანავე მოიპოვა საერთაშორისო სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენაში არსებობდა ანბანის აღმნიშვნელი სიტყვა OE *stæfræw*, “row of letters,” *stæfrof* “array of letters.”

**Electric** – ელექტრული, ელექტრო პირველად 1600-იან წლებში გამოჩნდა ინგლისურ ენაში. სახელი ნაწარმოებია ქარვის ბერძნული სახელწოდებიდან *ēlectrum*, რომელიც შალის ნაჭერზე ხახუნისას იზიდავდა ქაღალდის ნაკუწებს.

**Crisis**, კრიზისი. ჰიპოკრატე და გალენოსი *κρίσις* მიიჩნევდნენ (1) „ავადმყოფობის გარდამტეხ ეტაპად“, კრიზისად. (2) არა სამედიცინო მნიშვნელობა განუვითარდა ინგლისურში 1620 წლიდან და ნებისმიერ სფეროში (3) გარდამტეხ ფაზას აღნიშნავს. (4) ეკონომიკური, ფინანსური კრიზისი კი თანამედროვე მსოფლიოს პრობლემაა.

**Rhapsody**, რაფსოდია

ბერძნული *ραψωδία* „ლექსი, ეპიკური პოეზიის (1) მხატვრულად კითხვას, წიგნს, პოემის თავს“ აღნიშნავდა. *ραψωδός* „ეპიკური პოემის მხატვრულად წამკითხველს,“ ლიტერატურულად კი „სიმღერის შემსრულებელს, დამგვირისტებელს“ (one, who stitches, strings odes or songs together) გულისხმობდა. *ραπτειν* - „დაგვირისტება, ქარგვა“ (stitch (ზმ.)) + *ὠδή* < ode „სიმღერა“.

ინგლისურ ენაში სიტყვას განუვითარდა პოლისემია. (1) ამაღლებული გრძნობის გამოსახატავად გამოიყენება 1630 წლიდან. (2) მხიარული მუსიკალური კომპოზიციის აღსანიშნავად გამოიყენება 1850 წლიდან.

### **Celery**, ოხრახუმი

1660 წლიდან აღნიშნავს (1) ოხრახუმს, Fr. *céleri* < L. *selinon*, < Gr. *σέλινον* „parsley.“

ბოტანიკურ ტერმინს სემანტიკური ცვლილებები არ განუცდია.

### **Pathos** შემართება, პათოსი

1660 წლიდან სიტყვა ინგლისურ ენაში აღნიშნავდა იმ (1) გრძნობას, რაც მოწყენილობას, სიბრაღულს, თანაგრძნობას იწვევდა. ბერძნული *πάθος* „ტანჯვას, ემოციას, განსაცდელს, ხიფათს“ აღნიშნავდა.

თანამედროვე ინგლისურში მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება და მნიშვნელობის გაკეთილშობილებაც, სიტყვა (2) შემართებას, ენთუზიაზმს აღნიშნავს (pathetical). იგივე ძირი აქვს სიტყვებს pathology, sympathy.

### **Nous** გონება, ინტელექტი

ინგლისურმა ფილოსოფიამ ათენური დიალექტური ფორმის *noos* სლენგური ვარიანტი *nous* ისესხა 1670-იან წლებში „გონების, ინტელექტის“ მნიშვნელობით და შეინარჩუნა საწყისი მნიშვნელობა. სიტყვა ასევე აღნიშნავს საღ აზრს, „მსოფლიო გონს,“ ნუსს.

### **Dogma**

Gr. *δόγμα*

საწყისი მნიშვნელობა: ფილოსოფიური აზრი, შეხედულება (თუნდაც სადაო)

ახალი მნიშვნელობა: აბსოლუტურად ჭეშმარიტი და შეუდავებელი აზრი სიტყვის ფორმა ემთხვევა ლათინური სიტყვის მხოლობითი რიცხვის ფორმას, ხოლო მრავლობითია *δόγματα*. ბერძნულ ძირს Gr. *δόγμα* აზრის, შეხედულების მნიშვნელობა ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ფართოდ გავრცელდა, dogma ნასესხები იქნა ქრისტიანული რწმენის, მრწამსის, აზრის გადმოსაცემად. ამდენად, მან დაკარგა ინდივიდუალური შეხედულების მნიშვნელობა და საეკლესიო, ოჯახური თუ ეროვნული განხეთქილებების მიზეზი გახდა.

მეზვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში dogma ერთ-ერთი ბერძნული სიტყვა იყო, რომელიც ინგლისურმა ენამ პირდაპირ ბერძნული ენიდან ისესხა.

### **Hysterical** ისტერიული

**Gr.** *ιστέρικος* <*ιστέρα*

საწყისი მნიშვნელობა: საშვილოსნო

ახალი მნიშვნელობა: ძალიან სასაცილო, აგზნებული

მნიშვნელობიდან გამომდინარე რაც არ უნდა გასაკვირი შეიძლება აღმოჩნდეს, სიტყვის ძირი ბერძნულია და *ιστέρικος*, ისტერიულს, საშვილოსნოს ტკივილებით გამოწვეულს, დატანჯულს” ნიშნავს (Gr. *ιστέρα* - საშვილოსნო). ძველი ექიმები თვლიდნენ, რომ ეს იყო (ქალებისთვის დამახასიათებელი!) მდგომარეობა, როდესაც ადამიანს არ შეეძლო თავის გაკონტროლება. და რადგან ეს ქალებისთვის იყო დამახასიათებელი მათ ეს ქცევა საშვილოსნოს დაუკავშირეს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში კი hysterical სასაცილო ან ზედმეტად ემოციურ მდგომარეობას გამოხატავდა, რომლის გაკონტროლებაც ძნელი იყო. სიტყვას კვლავ აქვს რაღაც ნერვოზულთან დაკავშირებული, მაგრამ თანაბრად გამოიყენება ორივე სქესთან.

მოხდა სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება. საწყისი მნიშვნელობა მთლიანად დაიკარგა.

### **Philosophy** ფილოსოფია

„ცოდნის, განათლების” მნიშვნელობით ისესხა ინგლისურმა ენამ მეცამეტე საუკუნეში პირდაპირ ლათინური *philosophia* და ბერძნული *φιλοσοφία*-დან, რაც „ცოდნის სიყვარულს, სიბრძნისკენ ლტოლვას” აღნიშნავდა. შემდგომ შესხედულებების, ღირებულებების მნიშვნელობით განვითარდა. მოგვიანებით, დაახლოებით მეთხუტმეტე საუკუნიდან გამოიყენება როგორც ზმნის ფორმა *philosophize*, ზედსართავის ფორმა *philosophic*.

### **Philander** მექალთანე, მუსუსი

ბერძნული ზედსართავი *φιλανθρως* „ხალხის მოსიყვარულეს” ნიშნავს. 1700 წლიდან იგი ზოგადად მოსიყვარულეს აღნიშნავდა, ხოლო 1730-იანი წლებიდან სიტყვის მნიშვნელობა ერთგვარად დაეწროვდა და მხატვრულ ნაწარმოებებში (1) საყვარელს, ქალების მუსუსს, მექალთანეს აღნიშნავდა. *φίλ-* „მოსიყვარულე” + *ανθρω-*, *ανθρω* „კაცი, ადამიანი”-ს ძირი. სიტყვიდანაა ნაწარმოები არსებითი სახელი *philanderer*. იგივე სიტყვის ძირი უდევს საფუძვლად სიტყვებს *philanthropist*, *philanthropy*, რაც ფილანტროპს, ქველმოქმედს, ხალხის მოყვარულს აღნიშნავს.

### **Phlox** ფლოქსი

მცენარის სახელი (1) ფლოქსი, რომელიც 1706 წლიდან გვხვდება ინგლისურ ტექსტებში.

### **Camera** კამარა

სიტყვის სესხება 1708 წლით ფიქსირდება და (1) თაღოვანი, კამარებიანი შენობის, ნაგებობის მნიშვნელობა ჰქონდა *L. camera* „თაღოვან ოთახს, vaulted room” < Gr. *καμαρα* ”vaulted chamber.” მოგვიანებით ფიზიკაში გამოიყენებოდა (2) კამერა-ობსკურასა და კამერა-ლუციდას ასაღნიშნად. ფოტოგრაფიის განვითარებასთან ერთად მან (3) ფოტოაპარატი აღნიშნა (1840), ხოლო ტელევიზიის განვითარებას უკავშირდება (1928) ფილმის გადასაღები (4) აპარატის, კინო-, ვიდეოკამერის სახელიც; ტერმინი *camera-shy* 1890 წელს დაფიქსირდა ენაში.

**Photolithography** – ქიმიური პროცესია, რომელიც გამოიყენება მიკროტექნოლოგიაში ნიშნულზე ანაბეჭდის გადასატანად. სახელი ნასესხებია გერმანული Lithographie-დან 1804 წელს, რომელსაც საფუძვლად დაედო ბერძნული lithos, „ქვა“ + graphein, „წერა“ და პირველადი მნიშვნელობით ტერმინი ქვაზე წერას აღნიშნავს.

### **Pylon** პილონი

სესხების პერიოდისთვის (1820-იანი წლები) სიტყვა ძველევგვიპტური ტაძრების შესასვლელის ორივე მხარეს აღმართულ მონუმენტურ კოშკს აღნიშნავდა. ბერძნული *pylon*, შესასვლელს ერქვა, ხოლო ძირი *pyle* – ჭიშკრის ცალ ფრთას, შენობაში ან ქალაქში შესასვლელს, მთაზე გადასასვლელს აღნიშნავდა.

თანამედროვე ინგლისურში სიტყვას განუვითარდა პოლისემია და საწყისს მნიშვნელობასთან ერთად აღნიშნავს:

1. მაღალი ძაბვის გადამცემ ანძას;
2. ავიაციის საორიენტაციო კონუსს; თვითმფრინავის ფრთაზე ძრავას დასამაგრებელ კონსტრუქციას;
3. საგზაო კონუსს;
4. ეკლესიის ან ნებისმიერი ნაგებობის საყრდენ ბოძს;
5. ხიდის საყრდენს, ბურჯს;

### **Bathos** (არსებითი სახელი)

სიტყვის ბერძნული ძირი *βαθος* „სიღრმე“ > *βαθυσ* „ღრმა“ 1727 წლიდან ფიქსირდება. თანამედროვე ინგლისურში სიტყვას განუვითარდა პოლისემია და აღნიშნავს:

1. მოულოდნელ გადასვლას ამაღლებულიდან სტილიდან ვულგარულზე; სერიოზული თემიდან კომიკურზე ან ტრივიალურზე;
2. ყალბ პათოსს; სასაცილო მაღალფარდოვანებას ან სენტიმენტალობას;
3. გაცვეთილობას, ბანალობას;
4. სიღრმეს, უფსკრულს.

### **Rhizome** ფესურა, რიზომი

სახეშეცვლილი ფესვი, რომლითაც ხდება მცენარის ვეგეტატიური გამრავლება. სირტყვის ბერძნული ძირი *ρίζωμα* ხის ფესვებს აღნიშნავს, ხოლო *ρίζα*, ფესვს. მართალია, სიტყვას პოლისემია არ განვითარებია, მაგრამ როგორც ბოტანიკური ტერმინი ისე ისესხა ინგლისურმა ენამ 1830-იან წლებში.

### **Myth** მითი

ბერძნული *mythos* აღნიშნავდა „საუბარს, ფიქრს, მოთხრობას, ყველაფერს რაც სიტყვით გადმოიცემოდა“.

ზოგადი ცნება „გამოგონილი, არარსებული ამბავისა ან პიროვნებისა“ ინგლისურ ენაში დამკვიდრდა 1840-იანი წლებიდან.

### **Rhea** ნანდუ

სამხრეთ ამერიკული სირაქლემას სახეობის სახელია, გაურკვეველი მიზეზების გამო დაერქვა ბერძნული მითოლოგიიდან ზევსის დედის (ურანოსისა და გეას ასულის) სახელი. სავარაუდოდ, ამ სიტყვის შესახებ სახეობის აღმოჩენის თარიღს, 1801 წელს უკავშირდება.

### **Acrobat** აკრობატი

1825, French *acrobate* (14c.), “tightrope-walker,” Greek *ακροβάτης* “rope dancer, gymnastic performer,” <*ακροβάτης* “going on tip-toe, climbing up high,” < *ακρος* “topmost, at the point end” + *βαίνειν* “to go, walk.” სიტყვის საწყისი მნიშვნელობა „თოკზე მოსიარულეს, მოცეკვავისა“ არ შეცვლილა.

### **Triptych** ტრიპტიქი, სამკარედი ხატი, სურათი

1849 წელს დაფიქსირდა ენაში და ნასესხები იქნა ბერძნული *τρίπτυχον* –იდან, (*τρί* „სამი“ + *πτυχο* „დაკეცვა“) და სამნაწილიანს ნიშნავს. ინგლისურმა ენამ სიტყვა ისესხა როგორც საეკლესიო ტერმინი.

### **Agnostic** (არსებითი სახელი)

აგნოსტიკოსი, ის, ვინც ამტკიცებს, რომ ყველაფრის საწყისი და ბუნება ვერ და არ იქნება ცნობილი. ტერმინის შექმნა ბიოლოგ თომას ჰაქსლის სახელს უკავშირდება 1869 წელს, ბერძნული ძირიდან *agnostos*, α-, „არა“ + *γνωστός* „ცნობილი“ <*γνωσί* „ცოდნა“.

### **Therm** (არსებითი სახელი)

თერმი, სიტბოს საზომი ერთეული 1888 წლიდან ფიქსირდება ფიზიკაში. *θερμ* (*θερμo*-ხმოვნის წინ) ბერძნული ძირი *θερμος* ცხელს, თბილს აღნიშნავდა. სიტყვის სესხება მოხდა სამეცნიერო-ტექნიკური მიზნებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, *therm-* დღესაც აქტიურად გამოიყენება რთული სიტყვების საწარმოებლად სხვადასხვა ძირის მქონე კომპონენტებთან ერთად.


ამ და სხვა მრავალმა სამეცნიერო ტერმინმა თუ სახელმა ინგლისურ ენაში განათლების ანტიკური ენებიდან დაიმკვიდრა ადგილი როგორც „ვერბალურმა დროის მანქანებმა“, რომელთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვიმოგზაუროთ საუკუნეებში და მათ შორის კავშირის დადგენა მულტიდისციპლინურ ურთიერთობებს ამყარებს ისტორიას, ლინგვისტიკასა და სხვადასხვა მეცნიერებებს შორის.

რაც შეეხება ჩვენს მიერ შესწავლილ სიტყვებში გამოვლენილი სემანტიკურ ცვლილებების ტიპებს საკმაოდ საინტერესო სურათი მივიღეთ. ეტიმოლოგიური ფონით მოხდა დაახლოებით 1000 სიტყვის შესწავლა (იხ. დანართი 4). შეჯერდა მათი საწყისი და ახალი მნიშვნელობები. ეტიმოლოგიური ლექსიკონების დახმარებით მოხდა ამ სიტყვების მნიშვნელობების მოძიება დონორ ენაში, შემდგომ სესხების მომენტში რა მნიშვნელობის საჭიროებით მოხდა სიტყვის სესხება, როგორ განვითარდა სიტყვის მნიშვნელობა ინგლისურ ენაში და განუვითარდა თუ არა მას პოლისემია.

**შესწავლილი მასალიდან გამოვლინდა, რომ 66,6% შემთხვევაში მოხდა მნიშვნელობის გაფართოება. ალბათ მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ სიტყვათა მხოლოდ 1,8% მოხდა მნიშვნელობის დავიწროება. მნიშვნელობის დაკნინება მოხდა 3,6%, თუმცა არც გაკეთილშობილებას ჰქონდა მაღალი**

პროცენტული მაჩვენებელი და ამ პროცესმა მხოლოდ 4,5% შეადგინა. სიტყვათა 33,3% ძველი მნიშვნელობა შეიცვალა ახლით; 28,8% ძველი მნიშვნელობა შენარჩუნდა და ახალ მნიშვნელობასთან ერთად გააგრძელა არსებობა, სიტყვათა 23,4% განუვითარდა პოლისემია, მხოლოდ 5,4% განუვითარდა პოლისემია ახალი მნიშვნელობებით და 13,5% განუვითარდა პოლისემია ძველი მნიშვნელობის შენარჩუნებით.

სტრუქტურად ჩვენი კვლევა ასე გამოიყურება:



ჩვენი კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო გაგვეჩვენა თუ ხდება სიტყვათა შესხება თანამედროვე ინგლისური ენის მიერ კლასიკური და სხვა თანამედროვე ენებიდან. ამისათვის გავაანალიზეთ ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის მიერ 2015 წლის მხოლოდ ივლისის თვეში დამატებულ სიტყვათა სია, აშკარაა შესხების აქტიური პროცესი მსოფლიოს სხვადასხვა ენებიდან.



1. Antikythera mechanism, n.- ასტრონომიული მექანიზმი, ამერიკული ინგლისურის ინოვაცია. ძირი - ბერძნული კუნძული ანტიკითერა (Αντικύθηρα)
2. arré, int. - ინდური
3. audax, n. ფრანგულ-ლათინურიძირის L.-Fr. audacious გრძელი ტრასა, რომელიც მძღოლმა გარკვეულ დროში უნდა დაფაროს
4. autotune, v. } ამერიკული ინოვაცია ბერძნული ძირით (αυτο)
5. autotuned, adj. } ჩამწერი მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად ასწორებს ჩანაწერის ხარვეზს
6. backronym, n. – back + Gk. ακρονυμó
7. bahala na, int. - ფილიპინური
8. balikbayan, n. - ფილიპინური
9. baon, n. - ფილიპინური
10. barangay, n. - ფილიპინური
11. barkada, n. - ფილიპინური
12. barong tagalog, n. - ფილიპინური
13. barong, n. - ფილიპინური
14. baro't saya, n. - ფილიპინური
15. batchmate, n. - ინდური
16. bhelpuri, n. - ინდური
17. biomethane, n. – Gk. βιο + Gk. methane
18. birdhouse, n.
19. blazar, n. ძვ. ნორვეგიული ძირი blesi- ცხენის შუბლზე არსებული თეთრი ნიშანი. პოლარულობის განმსაზღვრელი ასტროლოგიური ხელსაწყო.
20. blue star, n. and adj. ამერიკული კომბინაცია star = Gk. aster. ომში მეომართა ოჯახის წევრები. მაგალითად blue star mother.
21. bluff charge, n. } პოკერის ტერმინი
22. bluff-charge, v. } პოკერის ტერმინი
23. bluff-charging, n. }

24. Blu-ray, n. DVD ფორმატი მონაცემთა შესანახად L. radius
25. boiler room, n. L. bullire – Fr. bolir საქვაბე
26. brûlée, n. } Fr. კარამელიზირებული მასა
27. brûlée, v. }
28. bukkake, n. იაპონური
29. buko, n. ფილიპინური
30. camming, n. - გადაღება < L. camera
31. arcade, n. ინდური
32. carnap, v. }
33. carnapper, n. } ფილიპინური
34. carnapping, n. }
35. chiffonade, v. } Fr.
36. chiffonaded, adj. }
37. choss, n.
38. chossy, adj.
39. Christianist, n. and adj.
40. churidar, n. - პინდი
41. cisgender, adj. and n. < L. genus Denoting or relating to someone whose sense of personal identity and gender corresponds with their birth sex
42. cluster, n. OE
43. coasteering, n < Fr. coste < L. costa “rib”
44. colourism | colorism, n. < L. color
45. comedize, v. }
46. comedogenic, adj. < Gk. κωμωδία
47. comedy of errors, n. }
48. comigrate, v. < L. migratus ბიოქიმიური ტერმინი ელექტროფორეზის გარკვეული ფაზის აღსაღნიშნად
49. comix, n. < L. comicus < Gr. κωμικός, κόμικς
50. coreferential, adj. < L. co + L. referentem საერთო წყაროს მქონე
51. crokinole, n. < Can. Fr.

52. crowdfund, v. }  
 53. crowdfunded, adj. < OE }  
 54. crowdfunding, n. }
55. cyclogenesis, n. < L. cycl + genos < Gk. κύκλος  
 56. cyclosporative, n. < Gr  
 57. dartboard, n.  
 58. decidualization, n. } < L. სამედიცინო-ფიზიოლოგიური ტერმინი  
 59. decidualized, adj. }
60. decim, n.2 < L. decimeter-ის შემოკლებული ფორმა  
 61. decision, v. < L. decīdere  
 62. declutter, n. }  
 63. declutter, v. < L. de + clutter, tidning  
 64. decluttering, n. }
65. depanneur, n. < Can. Fr.  
 66. despedida, n. < Sp.  
 67. dhaba, n. < ინდური  
 68. diabulimia, n. < Gr. dia+ boulimia  
 69. dog whistle, n.  
 70. double-double, n. < Can.  
 71. downtick, n.  
 72. drumble, n.1  
 73. drumbling, adj.1  
 74. drumette, n.  
 75. e-cig, n. } < Fr.  
 76. e-cigarette, n. }
77. ecotown, n. < Gk. οικος  
 78. e-edition, n.  
 79. eh up, n. and int.  
 80. eliminationism, n. } < L.  
 81. eliminationist, n. and adj. }
82. Enviropig, n. < Fr.

83. epazote, n. < Sp.
84. Eris, n.
85. e-skin, n.
86. estafa, n.
87. e-toll, n.
88. externship, n. < L.
89. fap fap fap, int.
90. fap, v.
91. fava, n.
92. federal fund, n. < L.
93. feed-in, adj. and n.
94. flocculant, adj. and n. < L. floccus მატყლის გუნდა
95. FLOTUS, n.
96. forensic science, n. } < L. forēnsic სასამართლო < forūm
97. forensics, n. }
98. fratty, adj.
99. freegan, adj. and n. free + L. vegan
100. Furol, n. (and adj.)
101. ganache, n. < Fr.
102. gharara, n. < ინდური
103. ghrelin, n.
104. go fish, n.
105. goey, adj.
106. go-for-broke, adj.
107. go-for-it, adj.
108. go-harvest, n.
109. going away, adv.
110. going-about, adj.
111. gointer, v.
112. go-juice, n.
113. gon, v.
114. gone away, int. and n.

- 115.gowa, v.
- 116.Gran Fondo, n. < It.
- 117.grow-op, n.
- 118.gunna, v.
- 119.H2O, n.
120. half-ass, v.
121. halo-halo, n.
122. handsy, adj.
123. har de har, int. (and n.)
124. hard launch, n.
125. hard launch, v.
126. hard plastic, n.
127. hard rocker, n.2
128. hard-arse, adv., adj., and n.
129. hard-arsed, adj.
130. hardbill, adj. and n.
131. hard-bodied, adj.
132. hard-code, v.
133. hard-coded, adj.
134. hardenable, adj.
135. hardrocker, n.1
136. hardship, v.
137. hardware woman, n.
138. hardwire, adj.
139. hardwiring, n.
140. hardyhead, n.
141. Hardy-Weinberg, n.
142. heterokont, n. and adj.
143. hex, n.4
144. Homo economicus, n. < L.
145. hot mess, n.
146. howay, int.

147. hyperlocal, adj. < Gr. υπερ
148. hyphy, adj. and n.
149. incharge, n.
150. injera, n.
151. interleading, adj.
152. internal membrane, n.
153. internalism, n. } < L. internus, within internalist, n. and adj.
154. internegative, n. }
155. internaut, n. }
156. interpositive, n.2
157. intersectionality, n. < L. internus
158. Interweb, n.
159. Inukshuk, n.
160. jank, adj.
161. JavaScript, n. < L. script
162. jeggings, n.
163. kettlebell, n. < GMC
164. kikay, n. and adj. < ფილიპინური
165. KKB, int. (and adj.) < ფილიპინური
166. koozie, n. < ამერიკული ინგლისური
167. kryptonite, n. < Gr. κρῖπτόν < κρῦπτός
168. kuya, n. < ფილიპინური
169. lede, n.2 < ამერიკული ინგლისური
170. mabuhay, int. < ფილიპინური
171. mahala, adv. and adj. < ამერიკულ ინდიელთა
172. Mamil, n.
173. mangia-cake, n. < იტალიური
174. Marco Polo, n.
175. Masshole, n. < ამერიკული ინგლისური
176. meh, int. and adj.
177. merry-go-around, n.
178. mini-stroke, n. < L.

179. Morgellons, n. < Fr. < L.
180. nanodiamond, n. < Gk. νανός
181. nanosized, adj.
182. νανός netbook, n.2 < L. internet + book
183. North Korean, adj. and n.
184. off-grid, adj. and adv.
185. old-earth, adj.
186. on sight, v.
187. on-trend, adj. and adv.
188. oophagy, n. < Gr. ωων + φαγός
189. pageview, n. < L. pagina + vidēre
190. pan de sal, n.
191. papsak, n.
192. pasalubong, n.
193. pharmacovigilance, n. < Gr. φαρμακό+ L. vigilantia
194. photobomb, n.
195. photobomb, v. < Gk. φωτό
196. photobomber, n.
197. photobombing, n.
198. presidentiable, n
199. pulutan, n.
200. ranga, n.
201. redpoint, n.
202. redpoint, v.. < L. punctum
203. redpointing, n.
204. restobar, n. < Fr. restaurant + bar
205. retweet, n.
206. retweet, v.
